

მიგრაცია და დიასპორა MIGRATION AND DIASPORA

2021

შრომთა
კრებული

№ 1



მიგრაცია და დიასპორა – გლობალური გამოწვევები

სტუდენტური კონფერენციის
ნაშრომთა კრებული



მიგრაციისა და დიასპორის კვლევით ცენტრი



ლელა გოგინავა (რედ.)

მიგრაცია და დიასპორა – გლობალური გამოწვევები

სტუდენტური კონფერენციის
ნაშრომთა კრებული



თბილისი 2021



კრებული შედგენილია აღმოსავლეთ ევროპის მიგრაციისა და დიასპორის კვლევითი ცენტრის მიერ ორგანიზებული სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის „მიგრაცია და დიასპორა - გლობალური გამოწვევები“ ფარგლებში წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომების მიხედვით.

The collection is consisted of papers submitted at the Students' Scientific Conference "Migration and Diaspora – Global Challenges" organized by the East European University Migration and Diaspora Studies Center.

სარედაქციო კოლეგია: ლელა გოგინავა (მთავარი რედაქტორი), კახაბერ ლაზარაშვილი, შალვა მაჭავარიანი, თეა იმედაძე, შალვა კვინიხიძე, თათია ღერკენაშვილი, ირმა წერეთელი, მანანა ლობჯანიძე, ინგა კუბეტია.

Editorial Board: Lela Goginava (Editor-in Chief), Kakhaber Lazarashvili, Shalva matchavariani, Tea Imedadze, Shalva Kvinikhidze, Tatia Gherkenashvili, Irma Tsereteli, Manana Lobzhanidze, Inga Kubetsia.

გამომცემელი: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის გამომცემლობა
Publisher: East European University

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიგრაციისა და დიასპორის კვლევითი ცენტრის მიერ გამოცემული კრებულის სანახავად ეწვიეთ ცენტრის ვებ-გვერდს: <https://eeu.edu.ge/portfolio/migration/>

სარჩევი

ლელა გოგინავა წინასიტყვაობა.....	4
სალომე ონიანი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქალთა შრომით მიგრაციაზე და მიმღები ქვეყნების მიგრაციული პოლიტიკის შესაბამისი განვითარება ქეისი: ქართველი ‘care workers’ გერმანიასა და იტალიაში.....	5
მარიამ რურუა შრომით მიგრანტთა უფლებები.....	18
ტატიანა სიჭინავა ევროკავშირის მიგრაციის პოლიტიკა და სამართალი.....	29
ლარისა ნაჭყებია ღიასპორის როლი და გავლენა საგარეო პოლიტიკაზე.....	43
ირაკლი ლეონიძე მიგრაციისა და ინტეგრაციის გამოწვევების სათავეებთან საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.....	56
ცოტნე უშეკაშვილი 2014-16 წლების ევროპის მიგრანტთა კრიზისი, როგორც წინააღობა ე.წ. “4 თავისუფლების” პირობობისათვის.....	71
ამირან აბაშიძე ევროკავშირის მიგრაციის პოლიტიკა და სამართალი.....	84

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებული წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიგრაციისა და დიასპორის კვლევითი ცენტრის პირველ გამოცემას. მასში თავმოყრილია 2021 წლის 18 ნოემბერს ჩატარებული სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მასალები თემაზე - „მიგრაცია და დიასპორა - გლობალური გამოწვევები“.

კონფერენცია გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტისა და საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის მხარდაჭერით. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის, ასევე საზღვარგარეთ სასწავლო მიზნით მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა.

კონფერენციის მიზანს წარმოადგენა მიგრაციისა და დიასპორის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება და სტუდენტების თვალთ დახედული გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება.

აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ მიგრაციისა და დიასპორის საკითხებით დაინტერესებული მკითხველი არ არის განებივრებული მსგავს თემატიკაზე ახალგაზრდა მკვლევარების ნაშრომებით. შესაბამისად, აღნიშნული კრებული კარგი შესაძლებლობაა, მათი მოსაზრებებისა და მიგნებების გასაცნობად. საკითხთა ჩამონათვალიც კი საკმარისია, დარწმუნდეთ თემების აქტუალობასა და მნიშვნელობაში.

კრებულის მასალებში გამოსატული შეხედულებები არ წარმოადგენს სარედაქციო საბჭოს თვალსაზრისს. კრებული განკუთვნილია მიგრაციისა და დიასპორის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

ლელა გოგინავა
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის
მიგრაციისა და დიასპორის კვლევითი
ცენტრის ხელმძღვანელი
2021 წელი

**ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქალთა შრომით მიგრაციაზე და
მიმღები ქვეყნების მიგრაციული პოლიტიკის შესაბამისი განვითარება
ქეისი: ქართველი „care workers“ გერმანიასა და იტალიაში**

სალომე ონიანი

პოლიტიკის მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი
ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი, გერმანია

ანოტაცია

კვლევითი ნაშრომის მიზანია ახსნას თუ რა იწვევს განსხვავებებს ევროკავშირის წევრი ორი ქვეყნის - გერმანიისა და იტალიის მიგრაციულ პოლიტიკებს შორის გლობალური ზრუნვის ჯაჭვის კონტექსტში (Global Care Chain, GCC). აღნიშნულის შესწავლა მოხდება ქართველი 'care worker'-ების მაგალითზე.

ტერმინი გლობალური ზრუნვის ჯაჭვი (Global Care Chain, GCC) პირველად გამოყენებულ იქნა ფემინისტი სოციოლოგის არლი ჰოხშილდის (2000) მიერ და იგი იგი გულისხმობს კავშირების სერიას მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რომელიც დაფუძვნიებულია ზრუნვით საქმიანობაზე. აღნიშნული, როგორც წესი, იწყება განვითარებად ქვეყანაში, ხოლო სრულდება განვითარებულში და ამ ჯაჭვში ჩართულთა უმრავლესობას ქალები წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ იტალია და გერმანია ევროკავშირის წევრი ქვეყნები არიან, მათ განსხვავებული მიდგომა აქვთ GCC-ში ჩართული ქალების შრომითი მიგრაციის მიმართ.

აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს აჩვენოს, რომ იტალიასა და გერმანიას აქვთ განსხვავებული საჭიროებები (labour gap) და სწორედ ეს განაპირობებს მათ განსხვავებულ მიგრაციულ პოლიტიკას ევროკავშირის შიგნით. ამისათვის თავდაპირველად განვიხილავ სემინტური შრომითი ბაზრის თეორიას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მიმღები ქვეყნების როლზე მიგრაციულ პროცესებში, შემდეგ კი გავაანალიზებ იტალიისა და გერმანიის სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებსა და სამთავრობო დოკუმენტებს, რომლებიც გვიჩვენებს, თუ რომელ სექტორებში სჭირდებოდათ ამ ქვეყნებს დამატებითი მუშა ხელი, როგორ განაპირობა ამან მათი სამიგრაციო პოლიტიკის შესაბამისი განვითარება და ეს ყველაფერი როგორ იქცა 'pull' ფაქტორად ქართველი ქალი მიგრანტებისთვის.

საკვანძო სიტყვები: Global Care Chain, მიგრაცია, პოლიტიკა

შესავალი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში შრომითი მიგრაცია გახდა ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევა თანამედროვე სამყაროსთვის, განსაკუთრებით როცა ეს ეხება ქალთა შრომით მიგრაციას განვითარებადი ქვეყნებიდან. აღსანიშნავია, რომ მათი რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება და უმეტესწილად 'care' (ზრუნველობით) სექტორში არიან დასაქმებული (Humera & Fatima, 2017). ერთ-ერთი მთავარი მცნება, რომელიც ასახავს კავშირს გლობალიზაციას, ზრუნვის სექტორსა და მიგრაციას შორის არის Global Care Chain (GCC). არლი ხოხშილდი, ფემინისტი სოციოლოგი, რომელმაც პირველად გამოიყენა ეს ტერმინი, მას აღწერს, როგორც კავშირების სერიას მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რომელიც დაფუძნებულია ზრუნვით საქმიანობაზე (Hochschild, 2000). ჰოხშილდის თანახმად, ამ ჯაჭვში ჩართული ადამიანების უმეტესობას წარმოადგენენ ქალები, რომლებიც განვითარებადიდან განვითარებულ ქვეყნებში მიგრირდებიან და ძირითადად ასრულებენ ისეთ სამუშაოს, როგორიცაა - დალაგება, საჭმლის კეთება, ბავშვებისა და მოხუცებულების მოვლა (Lutz, 2011). საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ზრუნვითი ჯაჭვები შეიძლება იყოს როგორც გლობალური, ასევე ლოკალური და ნაციონალური (ibid.).

დასავლეთ ევროპა არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მიმართულება ქალი შრომითი მიგრანტებისთვის, მაგრამ საინტერესოა, რომ ევროკავშირის შიგნითაც კი ქვეყნებს განსხვავებული პოლიტიკა გააჩნიათ შრომითი მიგრაციის მიმართ. სწორედ ეს განსხვავება მიგრაციულ პოლიტიკებს შორის წამოადგენს GCC-ის გამორჩეულ ასპექტს და იმისთვის, რომ ეს საკითხი უფრო დაწვრილებით განვიხილოთ, საინტერესო იქნება შევადაროთ ევროკავშირის ორი წევრი ქვეყნის, გერმანიისა და იტალიის დამოკიდებულება Global Care Chain-სა და მასში ჩართული 'care worker'-ების მიმართ. კონკრეტულად კი, როგორ პასუხობს იგი ამ ქვეყნებში არსებულ შრომით საჭიროებებს (labor gap), როგორ რეგულირდება დასაქმების ლეგალობა და რა როლს ასრულებენ მიგრანტები მიმღები ქვეყნების ეკონომიკებში. იმის გამო, რომ აღნიშნული საკითხი არის საკმაოდ რთული და კომპლექსური ამ ყველაფერს განვიხილავ ამ ორ ქვეყანაში ქართველი 'care worker'-ების მაგალითზე და შევეცდები მოკლედ მიმოვიხილო ის განმარტივებელი (push) და მიმყიდველი (pull) ფაქტორებიც, რომლებიც მათ GCC-ში ჩაბმას განაპირობებს. გერმანიისა და იტალიის მაგალითების განხილვა გადავწყვიტე იმის გამო, რომ, როგორც მოგვიანებით

ტექსტის ძირითად ნაწილშიც გამოჩნდება, ამ ორ ქვეყანას აქვს ერთმანეთისგან განსხვავებული მიგრაციული პოლიტიკა მიუხედავად მათი ევროკავშირის წევრობისა. ხოლო რაც შეეხება საქართველოს, ეს უკანასკნელი წარმოადგენს კარგ მაგალითს იმისა, თუ როგორ ხდება ქალთა Global Care Chain-ში ჩართვა, რა წინაპირობები უძღვის მას და როგორ ხდებიან ეს ქალები ‘agents of change’ (Lutz, 2011, p. 185). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იტალია და გერმანია მიეკუთვნებიან ხუთ ყველაზე სასურველ ქვეყანას ქართველი მიგრანტი ქალებისთვის (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019).

ქართველი ‘care worker’-ების მაგალითის განხილვით ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს უპასუხოს შეკითხვას: **რა იწვევს განსხვავებებს ევროკავშირის ორი წევრი ქვეყნის (გერმანიისა და იტალიის) მიგრაციულ პოლიტიკებს შორის Global Care Chain-ის კონტექსტში?** იმისათვის რომ პასუხი გავცე ამ შეკითხვას, ჩემს მიზანს წარმოადგენს ვაჩვენო, რომ ქვეყნები განსხვავებულად რეაგირებენ ქალთა შრომით მიგრაციაზე და ეს უკანასკნელი განპირობებულია მიმღები ქვეყნების ეკონომიკური საჭიროებებით. იმის მიხედვით, თუ ეკონომიკის რომელ სექტორში არსებობს ‘labor gap’ სახელმწიფოები განსაზღვრავენ საემიგრაციო პოლიტიკას და შესაბამის პროგრამებს, რეგულაციებსა და მათი აღსრულების მექანიზმებს. მიგრაციული პროცესების ასახსნელად ნაშრომში ასევე მიმოვიხილავ სეგმენტური შრომითი ბაზრის თეორიას. იგი გვთავაზობს გარკვეულ განმარტებებს განვითარებული ქვეყნების იმ საერთო მახასიათებლებთან დაკავშირებით, რომლებიც შრომით მიგრაციაზე მოთხოვნას წარმოშობენ. რაც შეეხება მეთოდოლოგიას, ნაშრომში გამოყენებული იქნება თვისობრივი კვლევის მეთოდები, გავანალიზებ სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს, ასევე სამთავრობო და სამეცნიერო დოკუმენტებს.

სეგმენტირებული შრომითი ბაზრის თეორია

როდესაც შრომით მიგრაციაზე ვსაუბრობთ ბევრი ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ‘push-pull’ მოდელის ხარჯებისა და სარგებლის ანალიზი ამ შემთხვევაში ძირითად როლს თამაშობს. ამ მოდელის თანახმად, პოტენციური მიგრანტები აანალიზებენ არსებულ შესაძლებლობებსა და რისკებს და შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რამდენად ღირს მათთვის სამშობლოს დატოვება. ‘Push-pull’ მოდელი გვიჩვენებს, თუ როგორ ახდენს გადაწყვეტილების მიღებისას პოტენციურ მიგრანტზე გავლენას როგორც განმარტივებული (push) ფაქტორები

საკუთარ ქვეყანაში, ასევე მიმზიდველი (pull) ფაქტორები მიმდებ ქვეყანაში. სამშობლოში 'push' ფაქტორები შეიძლება იყოს სამუშაო ადგილების ნაკლებობა, დაბალი ხელფასები, ეკონომიკური სტაგნაცია და სიღარიბე. 'Pull' ფაქტორად კი შეიძლება განვიხილოთ სხვა ქვეყანაში დასაქმების უკეთესი შესაძლებლობა და მაღალი სახელფასო ანაზღაურება. პოტენციური მიგრანტებისთვის მნიშვნელოვანია გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა, ხოლო მიმდებ ქვეყნებს კი სჭირდებათ შრომითი ძალა, რათა გააძლიერონ მათი ეკონომიკა (Velazquez, 2000).

მიგრაციის ერთ-ერთი თეორია, რომელიც ძალიან კარგად აღწერს მსოფლიო შრომითი ბაზრის მდგომარეობას, გამოწვეული განვითარებული ქვეყნების მოთხოვნით დამატებით მუშა ხელზე, არის სემენტირებული შრომითი ბაზრის თეორია, რომელიც ეკუთვნის მაიკლ პიორეს (1979). ეს თეორია ამტკიცებს, რომ მიგრაცია, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია მიმდები ქვეყნის მოთხოვნით იაფ და ხელმისაწვდომ მუშახელზე, რადგან ბევრ მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყანას არ შეუძლია შეავსოს იგი ქვეყნის შიგნით.

ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იმისა, თუ რატომ არის ქვეყნებისთვის მიმზიდველი უცხოელი მუშა ხელი, არის სტრუქტურული ინფლაცია, რომელიც შემდეგნაირად შეიძლება გავიგოთ: თუ დამსაქმებლებს სურთ უფრო მეტი მუშა ხელის მოზიდვა დაბალი საფეხურის (low-level) სამუშაოებისთვის უფრო მაღალი ხელფასის შეთავაზებით, მუშახელის იერარქიის სხვა დონეები ასევე ელოდება მათი ხელფასების პროპორციულად გაზრდას (რაც გამოიწვევს დამსაქმებლებისთვის ბევრად უფრო დიდ ხარჯებს). ეს დიდწილად განპირობებულია ფართოდ გავრცელებული რწმენით, რომ ხელფასი და მასთან დაკავშირებული სამუშაოები უნდა ასახავდეს სოციალურ სტატუსს. ამ პრობლემის აშკარა გადაწყვეტა მრავალი დამსაქმებლისთვის არის მუშა ხელის იმპორტი - იმიგრანტები, ისინი უმეტეს წილად კმაყოფილები არიან ხელფასებით, რომლებიც შედარებით დაბალია მიმდებ ქვეყანაში, მაგრამ მაღალი მათ სამშობლოსთან შედარებით (Massey, 1999).

დამატებითი სამუშაო ძალის საჭიროების განმაპირობებელი კიდევ ერთი სოციალური ფაქტორი არის მოტივაცია. უმეტეს შემთხვევაში, ადამიანები მოტივირებულნი არიან იმუშაონ არა მხოლოდ ფინანსური სარგებლისთვის, არამედ გააუმჯობესონ თავიანთი სოციალური სტატუსი. ეს წარმოშობს სირთულეს, როდესაც საქმე ეხება შრომის ბაზრის ყველაზე დაბალ დონეს, არაპრესტიჟულ სამუშაო

ადგილებს, რომელიც ძალიან ცოტა ადამიანს იზიდავს. ბევრი იმიგრანტი ამ პრობლემას აგვარებს დამსაქმებლისთვის, რადგან ისინი ცდილობენ შეაფასონ თავიანთი სოციალური სტატუსი ისე, როგორც ეს აღიქმება მათ წარმოშობის ქვეყანაში და არა მიმღებ ქვეყანაში. განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ხელფასებისა და ცხოვრების დონის დიდი განსხვავების გამო, განვითარებულ ქვეყანაში 'low-level' სამსახურიც კი ხშირად აკმაყოფილებს ბევრი ემიგრანტის მოთხოვნებს და სწორედ ეს უკანასკნელნი ავსებენ 'labor gap'-ს მიმღებ ქვეყანაში(Massey, 1999).

განვითარებულ ქვეყნებში მუშახელი ხშირად ორ სექტორად იყოფა. პირველადი სექტორი იზიდავს კვალიფიციურ მუშახელს, რომლებიც იღებენ სხვადასხვა ბენეფიტებს, ისეთებს, როგორებიცაა ტრენინგების, დაზღვევისა და სხვა მომსახურებების ხარჯების დაფარვა, სამსახურის დაკარგვის მიუხედავად გარკვეული ანაზღაურების მიღება და დამსაქმებლებისთვის ადამიანური კაპიტალის ძირითად ასპექტს წარმოადგენს. მეორად სექტორში კი ძირითადად დასაქმებულია არაკვალიფიციური მუშახელი, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით ეკონომიკური სირთულეების დროს, ძალიან მოწყვლადები არიან და არ სარგებლობენ იმ სახელშეკრულებო ბენეფიტებით, რომლებიც პირველად სექტორში დასაქმებულ ადამიანებს გააჩნიათ. 'low level' სამუშაოების არასტაბილურობა (ხელფასთან და მოტივაციასთან დაკავშირებულ ფაქტორებთან ერთად, რომლებზეც უკვე ვისაუბრე) ართულებს განვითარებულ ქვეყნებში ადგილობრივი მუშახელის მოზიდვას, რადგან ისინი უპირატესობას ანიჭებენ პირველადი სექტორის უკეთესი პერსპექტივის სამუშაო ადგილებს. აქაც ემიგრანტები, ბუნებრივია, ავსებენ შრომითი ბაზრის ამ ნაწილს(Leontaridi, 1998; Massey, 1999).

სტრუქტურული ინფლაციის, მოტივაციისა და დუალიზმის პრობლემები შრომის ბაზარზე ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ქმნის მუდმივ მოთხოვნას მუშახელზე, რომელიც თანხმდება დაბალ ხელფასებს, ნაკლებად პრესტიჟულ სამუშაოსა და სტაბილურობის დაბალ დონეს (მიმღები ქვეყნის ზოგად სტანდარტებთან შედარებით), ეს კი გავლენას ახდენს სამთავრობო პოლიტიკაზე, რომელიც მიზნად ისახავს სამუშაო ძალის ამ სექტორში შესაფერისი მუშა ხელის სხვა ქვეყნებიდან მოზიდვას. განსაკუთრებით ქალებმა შექმნეს ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფი, რომელსაც სურს და შეუძლია შეავსოს ეს საჭიროება. მათი მიმღებლობა დაბალი

ხელფასისა და სამუშაოების მაღალი არასტაბილურობის მიმართ ხშირად განპირობებულია იმით, რომ ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ მზრუნველი ცოლების, დედების და დების პირველადი სოციალური როლი თავიანთ საზოგადოებებსა და კულტურებში (Massey, 1999).

სეგმენტირებული შრომითი ბაზრის თეორია კარგად გვიჩვენებს, თუ როგორ განსაზღვრავს მიმღები ქვეყნის ეკონომიკური საჭიროებები სამუშაო მიგრაციას. ეს თეორია შეგვიძლია განვიხილოთ Global Care Chain-ში ჩაბმული მიგრანტი ქალების მიმართებითაც. ცხადია, მნიშველოვანია ის 'push' ფაქტორები, რომლებიც მათ სამშობლოს დატოვებისკენ უბიძგებთ, მაგრამ ძირითად როლს მაინც თამაშობს მიმღები ქვეყანა და მისი მიგრაციული პოლიტიკა. ამ უკანასკნელის შემუშავება კი ხდება ქვეყნების ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით. სწორედ ეს იწვევს მათ შორის განსხვავებებს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქვეყნები ერთი და იგივე ეკონომიკურ-პოლიტიკური გაერთიანების წევრი არიან.

ქართველი 'care workers' იტალიასა და გერმანიაში

'push' და 'pull' ფაქტორები - ქართველი შრომითი მიგრანტი ქალების ძირითადი მახასიათებლები

ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გამო, საქართველოს ბევრმა მოქალაქემ დატოვა სამშობლო და სხვა ქვეყანაში დაიწყო სამუშაოს ძებნა (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019). მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ეკონომიკური განვითარების გზაზეა, უმუშევრობის დონე კვლავ მაღალია (20.4% –მდე), (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020). მოსახლეობის 19.5% სიდარობის ზღვარს მიღმა ცხოვრობს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019), საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი კი საქართველოში 2020 წელს მხოლოდ 239.5 ლარი იყო (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020). ასევე მნიშვნელოვანია ლარის ინფლაცია. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საზღვარგარეთ სამუშაოს მოსაძებნად ძირითადად მამაკაცები წავიდნენ, დღეს ეს სურათი შეიცვალა. მაგალითად, 2015-2018 წლებში საქართველოდან ემიგრანტთა 43% ქალი იყო (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019). ამ ქალების უმრავლესობა Global Care Chain-ში არის ჩართული, რათა გაიუმჯობესონ მათი ეკონომიკური მდგომარეობა და სამშობლოში ოჯახებს დაეხმარონ. ლუცი (2011)

აღნიშნავს, რომ გამგზავნი ქვეყნებისთვის ხშირად ძალიან მნიშვნელოვანია ის ფულადი რესურსი, რომელსაც ემიგრანტები შინ აგზავნიან და რომ ეს მშპ-ზეც კი აისახება. ეს ფენომენი გვხვდება საქართველოს შემთხვევაშიც. რიგ მაგალითებში მიგრაცია არ განიხილება როგორც პრობლემა, არამედ როგორც განვითარების და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის საშუალება და ზოგიერთ შემთხვევაში გამგზავნი ქვეყნების მთავრობები ცდილობენ ხელიც კი შეუწყონ ამ პროცესს.

GCC-თან დაკავშირებული ლიტერატურა ხშირად უსვამს ხაზს იმასაც, რომ მასში ჩართული ქალები უმეტესწილად საშუალო კლასს მიეკუთვნებიან წარმოშობის ქვეყნებში, ზოგიერთ მათგანს აქვს საუნივერსიტეტო ხარისხიც და ამის მიუხედავად მათი შრომის ანაზღაურება, ჩვეულებრივ, უფრო მაღალია მიმღებ ქვეყანაში, ვიდრე მათი შემოსავალი (აკადემიური) თავიანთ ქვეყნებში (Gibson, McKenzie, & Stillman, 2006). ეს ეხება ბევრ ქართველ Global Care Chain-ში ჩართულ ქალსაც.

მზრუნველობით სამუშაოზე (care work) მოთხოვნა და მისი გავლენა საემიგრაციო პოლიტიკაზე - იტალია

ხანდაზმულთა დამოკიდებულების კოეფიციენტით, რომელიც განისაზღვრება 65 წელზე მეტი ასაკის (ეკონომიკურად არააქტიური) მოსახლეობის რაოდენობის სამუშაო ასაკის (15–64 წლის) მოსახლეობის რაოდენობასთან თანაფარდობით (Varrella, 2021, para. 1), იტალია არის 36.2%-ით მსოფლიოში მეორე ადგილზე (Eurostat, 2020). ეს მონაცემი ნათლად აჩვენებს, რომ ქვეყნის მოსახლეობა დაბერების პირასაა და თუ გავითვალისწინებთ ბოლო წლებში ამ მაჩვენებლის ცვლილებებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მომავალში ის კიდევ უფრო გაიზრდება. დიდი რაოდენობით მოხუცებულთა ყოფნა ქვეყანაში ქმნის საჭიროებას სრულ ან ნახევარ განაკვეთზე მომუშავე ‘care worker’-ებზე, რომლებიც მზად არიან შეუერთდნენ GCC-ს (Simonazzi, 2009). სწორედ ეს მოთხოვნა არის განმაპირობებელი ფაქტორი არალეგალური შრომითი მიგრაციისა ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა საქართველო. რადგან საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი, იტალიაში მისი მოქალაქეების დასაქმება, რა თქმა უნდა, არც ისე ადვილია, როგორც ევროკავშირის მოქალაქეებისთვის. რთული ბიუროკრატიული პროცედურები, ლეგალური დასაქმების ნაკლები შესაძლებლობა და არასასურველი ეკონომიკური მდგომარეობა სამშობლოში აიძულებთ ქართველ ქალებს ჩაერთონ არალეგალურ მიგრაციაში. მიმღებ ქვეყანაშიც კი ისინი იღებენ დაბალ ანაზღაურებას (მიმღებ ქვეყანაში

საშუალო ხელფასთან შედარებით) და ძირითადად არ გააჩნიათ რაიმე სახის სოციალური უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ უმეტეს ეკონომიკურად განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში არალეგალი იმიგრანტების რიცხვი აღემატება ლეგალურს (Abella & Kuptsch, 2006).

სხვადასხვა წყაროების თანახმად, ამჟამად იტალიაში ცხოვრობს დაახლოებით 690,000 არალეგალი იმიგრანტი (ISMU Foundation, 2020), რომელთაგან ბევრი დასაქმებულია მზრუნველობით სექტორში. სამწუხაროდ, არ არსებობს მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი ქართველი მოქალაქე იყო ან არის არალეგალურად ჩართული GCC-ში იტალიაში, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ იტალია ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მიმართულებაა "ცვლილებების აგენტებისთვის" (Lutz, 2011, p. 185) და ამ ქვეყნიდან დიდი რაოდენობით ფულის გადმორიცხვა ხდება ქართულ ბანკებში (ფულადი გზავნილები იტალიიდან საქართველოში 2018 წელს შეადგენდა 172,893 € (მიგრაციის საკითხთა სახელმწიფო კომისია, 2019), შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, 2017 წელს ევროპარლამენტმა საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებას მხარი ოფიციალურად დაუჭირა (European Council, 2020). საქართველოს მოქალაქეებს საშუალება მიეცათ შენგენის ზონაში გამგზავრებულიყვნენ ტურისტული მიზნით ვიზის გარეშე, ამან კი თავის მხრივ გაზარდა იტალიაში მცხოვრები ქართველი 'care worker'-ების რაოდენობა. თუ საქართველოს მოქალაქეებს ადრე უწევდათ იტალიაში გამგზავრება სახმელეთო გზით, საკმაოდ დიდი თანხის სანაცვლოდ და ხშირად სიცოცხლის რისკის ფასად, ვიზალიბერალიზაციის შემდეგ მათ შეეძლოთ ადვილად ეყიდათ ავიაბილეთები როგორც ტურისტებს და ასე გამხდარიყვნენ ჩრდილოვანი ეკონომიკის ნაწილი.

იმიგრანტი 'care worker'-ების მზარდი რაოდენობა იტალიაში იძლევა ხელშესახებ სარგებელს არა მხოლოდ იტალიის ხანდაზმულთა მოვლის სისტემისათვის, არამედ მთლიანად იტალიის ეკონომიკისთვის. ზოგიერთი შეფასებით, იმიგრანტი მუშახელის მეშვეობით საზოგადოებრივი დანაზოგების (public savings) რაოდენობა დაახლოებით 45 მილიარდი ევროა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ სექტორში იმიგრანტი დასაქმებულების მნიშვნელოვან ეკონომიკურ ღირებულებას (Ceruzzi & Di Santo, 2010).

მზრუნველობით სამუშაოზე (care work) მოთხოვნა და მისი გავლენა საემიგრაციო პოლიტიკაზე - გერმანია

იტალიისგან განსხვავებით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საემიგრაციო პოლიტიკა მკაცრად არის განსაზღვრული, რადგან მას არ სჭირდება არალეგალური მიგრანტები ეკონომიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. 'Labor gap', რომელიც ამ შემთხვევაში არსებობს, გაცილებით მცირეა, რაც უმეტესწილად განპირობებულია გერმანიაში ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნების მოქალაქეების მიგრაციით. თუმცა, აქაც კი ჯერ კიდევ არსებობს სფეროები, სადაც საჭიროა დამატებითი ძალა მზრუნველობით სამუშაოს შესასრულებლად. სწორედ ამიტომ გერმანიის მთავრობამ შეიმუშავა გარკვეული პროგრამები, რომლებიც, მცირე ხნით, უცხოელების გერმანიაში მუშაობას უზუნველყოფენ იმ სფეროებში, სადაც ამის საჭიროება არსებობს. აღნიშნული პროგრამებს გააჩნიათ ძლიერი სამართლებრივი ბაზა და ყველანაირად გამორიცხავენ არალეგალურ დასაქმებას.

ისეთ ქვეყნებში, როგორცაა გერმანია, ქალებს შეუძლიათ მაქსიმალურად განვითარდნენ, მიიღონ კარგი განათლება, დაიკავონ მაღალი რანგის თანამდებობები და, შესაბამისად, არ აქვთ ბევრი დრო ბავშვებსა და ოჯახზე ზრუნვისთვის, სწორედ ამიტომ სჭირდებათ მათ 'care worker'-ების დახმარება (Hazan & Zoabi, 2014). გერმანიაზე საუბრისას ხშირად ხდება სწორედ აღმზრდელების დეფიციტზე ხაზგასმა (Geis-Thöne, 2020). სწორედ ეს დეფიციტი აისახება იმ პროგრამებში, რომლებშიც ქართველ ახალგაზრდებს ეძლევათ მონაწილეობის შესაძლებლობა - ესენია უპირატესად 'au-pair' და მოხალისეობრივი სოციალური წლის (FSJ) პროგრამები.

ბოლო წლების განმავლობაში ქართველი 'au-pair'-ები გერმანიაში ამ პროგრამის სიდიდით მეორე ჯგუფს წარმოადგენენ (DR-WALTER, 2020). პროგრამის მონაწილეები არიან 18-27 წლის ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ მასპინძელ ოჯახთან ერთად იღებენ მათგან ჯიბის ფულს, ზრუნავენ ბავშვებზე და ეხმარებიან ყოველდღიურ საოჯახო საქმეებში. გარდა ამისა, ისინი დადიან გერმანული ენის კურსზე და ეცნობიან გერმანულ კულტურას. რაც შეეხება FSJ-ს, მონაწილეების ასაკი აქაც შეზღუდულია 29 წლამდე და მოიცავს ერთ წლამდე მოხალისეობრივ სამსახურს მოხუცებთან და/ან ბავშვებთან, მოხუცებულთა თავშესაფრებში, საბავშვო ბაღებსა და სხვა დაწესებულებებში. მოხალისეობრივი სამსახურის დროს მონაწილეები არ

იღებენ ხელფასს, მაგრამ უზრუნველყოფილნი არიან საცხოვრებელით, იღებენ ჯიბის ფულსა და თანხას საკვებისთვის (Auswärtiges Amt, 2020). ორივე პროგრამა ითვალისწინებს ქართველი ახალგაზრდების მოკლევადიან ინტეგრაციას 'care' სექტორში და თითოეული დეტალი სრულიად არის რეგულირებული კანონმდებლობით.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მუდმივად ცდილობს გაამკაცროს თავისი პოლიტიკა არალეგალური იმიგრაციის, განსაკუთრებით კი თავშესაფრის მძიებლების მიმართ. მეორეს მხრივ, იტალია ამას არ აკეთებს, თავს იკავებს მკაცრი პოლიტიკის შემუშავებისაგან და მრავალი თვალსაზრისით ხელს უწყობს მიგრაციას. ეს კარგად ჩანს საქართველოს მაგალითით - 2018 წელს ევროკავშირის/შენგენის რიგმა წევრმა ქვეყნებმა (გერმანიის ჩათვლით) საქართველო ოფიციალურად აღიარეს უსაფრთხო ქვეყნად და შეიტანეს შესაბამის სიაში. ამ გადაწყვეტილების შედეგი საქართველოს მოქალაქეებისთვის არის ის, რომ გერმანიაში თავშესაფრის სტატუსის მოპოვება გაცილებით რთულია, რაც ზღუდავს იმიგრაციას ამ გზით (მიგრაციის საკითხთა სახელმწიფო კომისია, 2019). ის ფაქტი, რომ გერმანია მკაცრად აკონტროლებს არალეგალურ მიგრაციას დასტურდება სტატისტიკითაც. 2018 წელს ყველაზე მეტი არალეგალი ქართველი ემიგრანტი აღმოაჩინა გერმანიის ხელისუფლებამ, დაახლოებით ოთხჯერ მეტი ვიდრე იტალიაში. იმავე წლის მონაცემებით, გერმანიიდან დეპორტირებული იქნა საქართველოს 531 მოქალაქე, ხოლო იტალიიდან მხოლოდ 83. 2018 წელს გერმანიის სასაზღვრო სამსახურმა ქვეყანაში შესვლაზე უარი უთხრა 440 საქართველოს მოქალაქეს (ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნებს შორის) (ibid.). ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები და ტენდენციები შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის ორ ქვეყანას შორის მიგრანტთა შრომაზე მოთხოვნის განსხვავების ასახვად.

დასკვნა

გერმანიისა და იტალიის მაგალითების გამოყენებით, ეს ნაშრომი აჩვენებს, რომ შესაძლებელია ერთი და იმავე პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირის წევრ ქვეყნებსაც კი განსხვავებული საემიგრაციო პოლიტიკა ჰქონდეთ, რაც განპირობებულია ამ ქვეყნების სხვადასხვა სექტორებში დამატებითი შრომითი ძალის საჭიროებით - GCC-ში მიმღებ ქვეყნებს განსხვავებული ეკონომიკური მოთხოვნილებები აქვთ, რაც გავლენას ახდენს მათ დამოკიდებულებაზე მიგრაციისადმი. მაშინ როცა გერმანიას

აქვს მკაცრად განსაზღვრული სამართლებრივი ჩარჩო და ცდილობს მაქსიმალურად შეზღუდოს იმიგრაცია, იტალიას აქვს რბილი პოლიტიკა, რომელიც შექმნილია 'labor gap'-ის შევსების მიზნით. ასევე საინტერესოა GCC- ში ჩართული ადგიანების პერსპექტივიდან იმ 'push' და 'pull' ფაქტორების განხილვა, რომლებიც თამაშობენ როლს საერთაშორისო მიგრაციაში (საქართველოს მაგალითის გამოყენებით). ეს ყველაფერი გვეხმარება ქალთა შრომით მიგრაციაზე გავლენის მომხდენი ფაქტორების უფრო ღრმად გააზრებაში.

ბიბლიოგრაფია

- Humera, S., & Fatima, A. (2017, April). Factors influencing migration of female workers: a case of Bangladesh. 7.
- Hochschild, A. R. (2000). Global Care Chains and Emotional Surplus Value. In A. G. Will Hutton (Ed.), *On The Edge: Living with Global Capitalism* (pp. 130-146). London: Jonathan Cape.
- Lutz, H. (2011). *The new maids: Transnational women and the care economy*. London: Zed Books Ltd.
- მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2019). *საქართველოს მიგრაციის პროფილი*. თბილისი. Retrieved September 10, 2021, from Migration Commission: http://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf
- Velazquez, F. C. (2000). APPROACHES TO THE STUDY OF INTERNATIONAL MIGRATION: A REVIEW. *Estudios Fronterizos*, 1, 137-168.
- Massey, D. S. (1999). Why Does Immigration Occur?: A Theoretical Synthesis. In C. Hirschman, P. Kasinitz, & J. DeWind (Eds.), *The Handbook of International Migration: The American Experience* (pp. 34-52). Russel Sage Foundation.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020). Retrieved from Geostat: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/683/Employment-Unemployment>
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2019). *საცხოვრებელი პირობები*. Retrieved from Geostat: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/192/living-conditions>
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020). *სახელფასო ანაზღაურება*. Retrieved from Geostat: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/39/wages>
- მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2019). *საქართველოს მიგრაციის პროფილი*. თბილისი. Retrieved September 10, 2021, from Migration Commission: http://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf
- Gibson, J., Mckenzie, D., & Stillman, S. (2006). How Important is Selection? Experimental vs. Non-Experimental Measures of the Income Gains from Migration. *Journal of the European Economic Association*, 913-945.

- Eurostat. (2020). *Eurostat Data Browser*. Retrieved from <https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/tps00198/default/table?lang=en>
- Simonazzi, A. (2009). Care regimes and national employment models. *Cambridge Journal of Economics*, 211–232.
- Abella, M. P., & Kuptsch, C. (2006). *Managing Labor Migration in the Twenty-First Century*. London: Yale University Press.
- ISMU Foundation. (2020). *New regularization: the considerations of the ISMU Foundation*. Milan.
- მიგრაციის საკითხთა სახელმწიფო კომისია. (2019). *საქართველოს მიგრაციის პროექტი*. თბილისი. Retrieved September 10, 2021, from Migration Commission: http://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf
- European Council. (2020). *EU relations with Georgia*. Retrieved from <https://www.consilium.europa.eu/en/policies/eastern-partnership/georgia/#:~:text=The%20Council%20reached%20an%20agreement,Georgia%20on%2013%20December%202016.&text=The%20agreement%20provides%20for%20visa,in%20any%20180%2Dday%20period>.
- Ceruzzi, F., & Di Santo, P. (2010). *Migrant care workers in Italy*. Rome/Vienna.
- Hazan, M., & Zoabi, H. (2014). Do Highly Educated Women Choose Smaller Families? *The Economic Journal*, 1991 -1226.
- DR-WALTER. (2020). *Au-pairs in Deutschland und weltweit - Entwicklungen und Trends im deutschen Au-pair-wesen*. Neunkirchen-Seelscheid: Calypso.
- Auswärtiges Amt. (2020, August). *VISUMHANDBUCH*. Retrieved from Auswärtiges Amt: <https://www.auswaertiges-amt.de/blob/207816/e025d7a51aa0e20f5567c6f7478c8fd6/visumhandbuch-data.pdf>
- მიგრაციის საკითხთა სახელმწიფო კომისია. (2019). *საქართველოს მიგრაციის პროექტი*. თბილისი. Retrieved September 10, 2021, from Migration Commission: http://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf

შრომით მიგრანტთა უფლებები

მარიამ რურუა

სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი
ვენის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ავსტრია

ანოტაცია

გლობალიზაციის პროცესთან ერთად იზრდება მსოფლიოში მიგრაციის მასშტაბები, კერძოდ, ადამიანებს მინიმალური სასაზღვრო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ეძლევათ საშუალება მუდმივად ან განსაზღვრული დროით დატოვონ საცხოვრებელი ქვეყანა და დაიმკვიდრონ ადგილი საერთაშორისო შრომით ბაზარზე. შრომითი ძალის მიგრაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია საერთაშორისო ეკონომიკური ბაზრის განვითარებისთვის. თუმცა, განხილვის თემას წარმოადგენს, როგორ აისახება აღნიშნული პროცესი ეკონომიკურად სუსტ ქვეყნებზე. ადამიანთა ჯგუფის მიგრაცია ერთი ქვეყნიდან მეორეში შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა მიზეზით, როგორცაა მაგ: ეკონომიკური, პოლიტიკური გარემოებები, დემოგრაფიული, სოციალური თუ ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობები.

დღევანდელ ნაშრომში მსურს ყურადღება გავამახვილო შრომით მიგრაციაზე და შრომით მიგრანტთა უფლებებზე, რაც საერთაშორისო მიგრაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. შესწავლილია ასევე ემიგრანტთა სამშობლოში დაბრუნების პირობები და ის ფაქტორები, რომლებიც ასტიმულირებენ მიგრაციის პროცესს.

კვლევის მიზანს წარმოადგენს როგორც მაღალ, ასევე დაბალკვალიფიციური მუშახელის ქვეყნიდან გადინების მიზეზობრივი გარემოებები, რომელთა სოციალური და შრომითი უფლებები ადგილსამყოფელ ქვეყანაში შეიძლება დარღვეულ იქნას დამსაქმებლის მხრიდან. საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, მოქალაქეების ემიგრაციაში არალეგალურად წასვლის შემთხვევაში, მათი აბსოლუტური უფლებები სამართლებრივი აღსრულების თვალსაზრისით დიდი საფრთხის ქვეშ დგება. თუმცა მსგავსი ფაქტები ასევე ლეგალური ემიგრაციის დროსაც ხშირია.

კერძოდ, შრომითი მიგრანტების დასაქმება ადგილსამყოფელ ქვეყანაში ხდება შრომითი სამართლის კოდექსის გვერდის ავლით, რაც მათ ართმევს სამართლებრივ დაცვის მოთხოვნის უფლებას. გარდა ამისა, არ ხდება მათი საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა. ისინი საერთაშორისო შრომით ბაზარზე არაკეთილსინდისიერი დამსაქმებლის მხრიდან, დისკრიმინაციისა თუ არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლნი ხდებიან.

მათზე არ ვრცელდება ასევე ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევით გათვალისწინებული სოციალური დახმარებები. იმის გამოსახატავად, თუ რამდენად დაცულია საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრები შრომითი ემიგრანტების უფლებები და რა ღონისძიებები უნდა გატარდეს აღნიშნული პირების დასაცავად, ჩავატარეთ კვლევა ავსტრიაში, ქ. ვენაში. კერძოდ, კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთა ორი ჯგუფი ასაკობრივი ნიშნის მიხედვით. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან 18 – 30 წლამდე (გამოკითხულია 10 პირი), მეორე ჯგუფს 31 - 60 წლამდე პირები (გამოკითხულია 10 პირი). მონაწილეებს ექნებათ საშუალება ელექტრონულად, ანკეტების სახით, ასევე პირდაპირი კითხვა-პასუხის საშუალებით მიიღონ მონაწილეობა აღნიშნულ გამოკითხვაში. შეფასდება ასევე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა შრომითი მიგრაციის მოცულობის შესახებ 2000 – 2020 წლებში მსოფლიოს მასშტაბით.

შესავალი

„მიგრაცია იმდენ ხანს ითვლის, რამდენსაც კაცობრიობის არსებობა“, - ეს გამოთქმა ადამიანთა ადგილმონაცვლეობის ბუნებრივ ფენომენს წარმოადგენს, რაც აქამდეც არსებობდა. თუმცა წარმოებისა და შრომის გლობალიზაციის საკითხებმა გაცილებით მეტად გაზარდა მოსახლეობის მიგრაციის მასშტაბები, რაც თავის მხრივ, უარყოფითად შეიძლება აისახოს პატარა სახელმწიფოებზე. თუ რა გავლენას ახდენს შრომითი მიგრაციის კვოტის მატება პატარა ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე და ამასთანავე რა სირთულის წინაშე დგებიან შრომითი მიგრანტების მიმღები ქვეყნები, რაც თავის მხრივ სამეცნიერო კვლევის საგანს წარმოადგენს. პირველ რიგში ჩნდება კითხვა, თუ რა არის შრომითი მიგრაცია? შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (International Labour Organization - ILO) განმარტებით, შრომითი მიგრაცია გულისხმობს ადამიანთა ჯგუფის გარკვეული

დროით (3 თვეზე მეტ ხანს) მეორე ქვეყანაში გადაადგილებას დასაქმების მიზნით¹. ამასთანავე განასხვავებენ მიგრაციის სხვადასხვა სახეებს: 1. დროითი განზომილების მიხედვით, ა) მუდმივი მიგრაცია, რაც გულისხმობს საცხოვრებელი ადგილის სამუდამოდ შეცვლას, ბ) დროებითი მიგრაცია - გადასახლება საკმაოდ დიდი დროის ხანგრძლივობით, 2. განხორციელების ფორმის მიხედვით არსებობს ა) იძულებითი და ბ) ნებაყოფლობითი მიგრაცია, ასევე სეზონური, შიდა და გარე მიგრაცია.

შრომითი მიგრაციის ისტორია ჯერ კიდევ შორეული წარსულიდან იწყება, ერთ-ერთი მასშტაბური გახლავთ 60 - იანი წლების მიგრაცია, როდესაც ევროპაში სამუშაო ძალის დეფიციტი შეიქმნა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შედგენილი 2004 წლის მიმოხილვაში „Der Einfluss der Immigration auf die Österreichische Gesellschaft“ აღნიშნულია, რომ ამ პერიოდში ევროპის ეკონომიკის გადარჩენის გზად იაფი, უცხოელი მუშა ხელის დაქირავება მიიჩნეოდა. შეიქმნა ე.წ სეზონური სამუშაო ძალის სისტემა („GastarbeiterSystem“), რომლის ფარგლებშიც, ევროპაში ხდებოდა ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებიდან და თურქეთიდან, ძირითადად ახალგაზრდა, შრომისუნარიანი მამაკაცების სამუშაოდ ჩამოყვანა განსაზღვრული დროის ინტერვალით.

თუმცა ახლადშექმნილი პროექტი არც თუ ისე სახარბიელოდ განხორციელდა, ვინაიდან სამუშაო ძალის უმრავლესობამ ქვეყანაში დარჩენა გადაწყვიტა და თავიანთი ოჯახის წევრების ჩამოყვანაც მოახერხეს.

ერთ-ერთი დიდი მიგრანტთა მოძრაობა, რომელიც უახლოეს წარსულში ევროპისაკენ დაიდრა გახლდათ 2015-2016 წლის დევნილთა ტალღა, რამაც კიდევ უფრო მეტად გაავრცელა მზარდი სკეფსისი მიგრაციისა და მიგრანტთა მიმართ. ამის მიზეზი მრავალი შეიძლება იყოს, მათ შორის ირაციონალური შიშები, რასაც პოპულისტური პარტიები ევროპაში ხშირად მიმართავენ. ადგილსამყოფელ ქვეყანაში მიგრანტების მიმართ დაწესებული ბარიერები, შეზღუდვები, არათანაბარუფლებიანი გარემო ემსახურება ევროპის იერარქიულ და ელიტარულ განცალკევებას სხვა დანარჩენი სამყაროსგან. თუკი გლობალურად შევხედავთ შრომითი მიგრაციის საკითხს, ეს გახლავთ საერთაშორისო ეკონომიკური ბაზრის განვითარების მნიშვნელოვანი

¹ https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/networks/european_migration_network/glossary_search/labour-migration_en

ფაქტორი, თუმცა მეორე მხრივ, შედეგად ვიღებთ ნაკლებად განვითარებული ქვეყნების დამორჩილებას და ეკონომიკურ დაქვემდებარებას ძლიერ ინდუსტრიულ ქვეყნებზე.² საყურადღებოა ასევე ის დადებითი და უარყოფითი შედეგები, რაც შრომით მიგრაციას თან ახლავს მიგრანტების მიმღები და მიმწოდებელი ქვეყნებისთვის.

პირველი დადებითი შედეგი, მიმღები ქვეყნისთვის გახლავთ შემდეგი³: 1. წარმოშობის ქვეყნებიდან მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვის შემთხვევაში ეკონომიკის გაზრდა უკვე მომზადებული კადრების ხარჯზე. ხდება სახსრების დაზოგვა პერსონალის განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. 2. შრომითი მიგრანტების სახით იაფი სამუშაო ძალის გამოყენება ნაწილობრივ ეხმარება მიმღებ ქვეყნებს გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანი და მიმზიდველი ინვესტორებისთვის. 3. შრომით მიგრაციის ხარჯზე, სამუშაო ძალის დეფიციტის შევსებითა და საჭირო ადამიანური რესურსების მიღებით ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

მიმწოდებელ ქვეყანაზე კი შემდეგნაირად აისახება შრომითი ემიგრაციის კვოტის მატება: 1.

მაღალკვალიფიციური კადრების გადინების შემთხვევაში ქვეყნის სამუშაო ძალის ხარისხობრივი გაუარესება, ეკონომიკის მთელ რიგ სფეროებში საჭირო კვალიფიკაციის კადრების ნაკლებობა, ახალი კადრების მომზადებაზე დანახარჯების ზრდა.

2. არალეგალური შრომითი მიგრაციის შემთხვევაში, სამუშაო ძალის მიწოდების გამო, მიგრანტების პოტენციალის გამოუყენებლობა და მათი ადამიანური კაპიტალის გაუფასურება.

საქართველოს შრომითი მიგრაციის პოლიტიკა

აუცილებელია საკითხის სიღრმისეული მოკვლევა იმის ნათელსაყოფად, თუ რა აძლიერებს სამუშაო ძალის გადინებას ქვეყნიდან. საქართველოს კონსტიტუციის (2020 წლის 29 ივნისის მდგომარეობით)⁴ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი გამოხატავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც უზენაეს ადამიანთა ღირებულებას. შრომის თავისუფლება და შრომითი უფლებების

² Huseyin Kalayci, Sozialarbeit mit ArbeitsmigrantInnen 2002, Austria P.15-16

³ <https://www.bernerzeitung.ch/welche-vor-und-nachteile-migration-mit-sich-bringt-400754724111>

⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

დაცვა მისი შემადგენელი ნაწილია. საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს არა შრომის უფლებას, არამედ შრომის თავისუფლებას, რაც გულისხმობს, რომ ადამიანს მინიჭებული აქვს უფლება, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის სფერო. ამასთანავე, შრომის თავისუფლება ნიშნავს, რომ სახელმწიფო აღარ იღებს მოქალაქეთა დასაქმების ვალდებულებას, მაგრამ ვალდებულია დაიცვას დასაქმებულ მოქალაქეთა უფლებები. აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება არამარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის საზღვრებს გარეთაც. როდესაც საქართველოს მოქალაქე არალეგალური გზებით ცდილობს საზღვრებს გარეთ დასაქმებას, მათი აღრიცხვა ვერ ხერხდება შესაბამის დასაქმებულთა ბაზაში, ეს ყოველივე კი სახელმწიფოს ართმევს საშუალებას, დაიცვას საკუთარი მოქალაქის ინტერესები არაკეთილსინდისიერი დამსაქმებლისგან.

ბოლო ათეული წლის მანძილზე საქართველოსა და ევროკავშირს შორის მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებას და დეკლარაციას მოეწერა ხელი, როგორცაა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 181-ე კონვენცია „დასაქმების კერძო სააგენტოების შესახებ“, 88-ე კონვენცია „დასაქმების სამსახურის ორგანიზების შესახებ“, საერთაშორისო კონვენცია „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის“ შესახებ, რაც ითვალისწინებს ლეგალური მიგრაციის მენეჯმენტს შრომითი ბაზრის პირობებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ევროპის ქვეყნებმა ხელი მოაწერეს აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს შორის, მოლდოვასთან - 2008 წელს, საქართველოსთან - 2009 წელს, სომხეთთან - 2011 წელს დეკლარაციას - „პარტნიორობა მობილურობისთვის“, რაც მიზნად ისახავს არალეგალურ მიგრაციასთან ერთობლივ ბრძოლას, ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობას. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 22 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ, რომელიც არეგულირებს შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელი ორგანოების უფლება-მოვალეობებს, სახელმწიფო მმართველობის განხორციელების მექანიზმს და პრინციპებს. მიუხედავად მრავალწლიანი ერთობლივი მუშაობისა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე ჩვენს პარტნიორ ქვეყნებთან, შრომითი ემიგრაცია კვლავ რჩება მთავარ გამოწვევად. საქართველოდან შრომითი ემიგრაციის სპეციფიკა

მდგომარეობს იმაში, რომ შრომითი ძალის დიდი ნაწილი არალეგალურია, რაც ნიშნავს იმას რომ, ისინი ავტომატურად ერთვებიან არაფორმალურ შრომით ბაზარზე, სადაც უწევთ დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ რთული და ხშირ შემთხვევაში ჯანმრთელობისთვის/სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი სამუშაოს შესრულება. ხოლო არაოფიციალური მიგრაციული ინდუსტრიის წარმომადგენლებთან ურთიერთობა კი დამატებით დიდ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული. არის შემთხვევები, როდესაც საქართველოს მოქალაქეები ადგილსამყოფელ ქვეყანაში სახელმწიფო სტრუქტურების დონეზე დისკრიმინაციული ქმედების მსხვერპლნი ხდებიან. აღნიშნულთან დაკავშირებით მრავალი კვლევა თუ გამოკითხვა ჩატარდა⁵, სადაც მიგრანტთა უმრავლესობა პირად დისკრიმინაციულ გამოცდილებაზე საუბრობს, როგორც შრომით ბაზარზე, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისას და საბინაო ბაზარზე. ამ ყველაფერის მიზეზი მრავალი შეიძლება იყოს. საჯარო დისკუსიებში მიუთითებენ ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა დაბალი კვალიფიკაციის ნიშნული, ენობრივი ბარიერები, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მიგრანტი სამუშაო ბაზარზე პოტენციური დამსაქმებლისთვის არც თუ ისე მიმზიდველად გამოიყურება.


კვლევის ძირითადი შედეგები

აღნიშნული საკითხი დიდი აქტუალურობით სარგებლობს ქვეყნის საზღვრებს გარეთ დასაქმებული მიგრანტებისთვის. სწორედ ამიტომ, ავსტრიაში, კერძოდ ქ. ვენაში ჩატარდა კვლევა თემაზე „ შრომით მიგრანტთა უფლებები “, გამოიკითხა საქართველოს 20 მოქალაქე, შესაბამისი ასაკობრივი კრიტერიუმით და შემდეგი დროის ინტერვალით - 2021 წლის 21 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით. კვლევა ემსახურება საკითხის შესწავლას, თუ რა დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული ქართველი ემიგრანტების ყოველდღიურობა საზღვარგარეთ, რა პრობლემების გადაჭრა მოახერხეს ემიგრაციაში წასვლით და გზების მოკვლევა, თუ რა პერსპექტივა არსებობს მათი სამშობლოში დაბრუნების. რესპოდენტთა შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. კვლევაში მონაწილეთა ასაკის დიაპაზონი არის 18 დან 60 წლამდე საქართველოს მოქალაქე. კითხვარი შეივსო ანონიმურად და დაცულია მისი კონფიდენციალურობა. ნაწილი გამოიკითხა პირდაპირი კითხვა-

⁵ <https://de.statista.com/statistik/daten/studie/918456/umfrage/diskriminierungsgefuehl-von-migranten-inoesterreich/>

პასუხის სახით. ასევე გამოკითხულთა ნაწილმა ელექტრონულად, შესაბამისი ანკეტების საშუალებით მიიღო მონაწილეობა.

D1. სქესი




D1. გამოკითხვა საქართველოს 20 მოქალაქე, რომელთაგან 13(67%) იყო მდედრობითი სქესის, ხოლო 7(33%) მამრობითი სქესის წარმომადგენელი. ბოლო წლების განმავლობაში ქალი ემიგრანტების პროცენტული მაჩვენებელი გაუთანაბრდა მამაკაცთა მაჩვენებელს. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მიერ შედგენილი 2019 წლის მიგრაციის პროფილის მიხედვით, 2015-2018 წლებში საქართველოდან წასული ემიგრანტების 43% ქალია⁶.

პრაქტიკაში გაჩნდა ტერმინი „მიგრაციის ფემინიზაცია“, რაც სწორედ ქალი ემიგრანტების ზრდამ განაპირობა.

გლობალურად თუკი განვიხილავთ, ქალების გარკვეული ნაწილი საზღვარგარეთ წასვლის გადაწყვეტილებას საკუთარი ოჯახების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით იღებს. მეცნიერები თავიანთ ნაშრომებში ასევე მიუთითებენ იმ რეალობაზე, რაც პატრიარქალური წყობილების ქვეყნებში არსებობს. ქალებს უწევთ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების და თვითრეალიზაციის მიზნით სამშობლოს დატოვება. საუბარია ისეთ ქვეყნებზე, როგორცაა მაგ. ირანი, ერაყი, ავღანეთი, პაკისტანი, სადაც ქალთა უფლებები და გენდერული საკითხები უგულებელყოფილია სახელმწიფოს მხრიდან.


⁶ საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი, 2019წ. თბილისი

D.2 განათლება




D.2 გამოკითხულ 13 პირს (67%) აქვს უმაღლესი აკადემიური განათლება მიღებული, პროფესიული განათლება - 3(17%) მოქალაქეს, საბაზო და სრული ზოგადი განათლება მიღებული აქვს ჯამში 4 (16%) პირს.

D.3 პროფესია




D.3 კითხვაზე- „ხართ თუ არა თქვენი პროფესიით დასაქმებული ადგილსამყოფელ ქვეყანაში“ 10 პირი (50%) უარყოფით პასუხობს, 4 პირი (17%) - ნაწილობრივ, ხოლო 6 პირი (33%) არის დასაქმებული საკუთარი პროფესიით. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეებს ემიგრაციაში წასვლით უწევთ საკუთარ კარიერასა და პროფესიულ განვითარებაზე უარის თქმა, ანაზღაურების სანაცვლოდ ეუფლებიან ახალ, ხშირ შემთხვევაში არაპროფესიულ საქმიანობას.

D.4



D.4 კითხვაზე „თუ რა ძირითადი პრობლემების მოგვარება მოახერხეს ემიგრაციაში წასვლით“ 8(40%) პირმა დაასახელა ფინანსური ვალდებულებების შესრულება და საკუთარი ოჯახის წევრების ფინანსური უზრუნველყოფა, ხოლო 12 - მა (60%) მოქალაქემ თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან.



D.5 მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც გამოკითხვის დროს გამოიკვეთა, არის ქართველი ემიგრანტების მოლოდინი. გამოკითხულთაგან 10 პირს (50 %) სამშობლოში დაბრუნების სურვილი აქვს, 8 პირს (42%) არ აქვს გადაწყვეტილი, ხოლო 2 მოქალაქე (8%) არ აპირებს უკან დაბრუნებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია ემიგრანტების დაბრუნება და მათი რეინტეგრაცია ქვეყნის მთავარი ამოცანა უნდა გახდეს. სტაბილური ეკონომიკური და სოციალური გარემოს შექმნისა და მათი შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმების შემთხვევაში, ეს ადამიანები მზად არიან დაბრუნდნენ და საკუთარი ფინანსური თუ ადამიანური რესურსი სახელმწიფოს განვითარებას მოახმარონ.

დასკვნა

შრომითი მიგრაციის პროცენტული მაჩვენებლის შესამცირებლად მნიშვნელოვანია სახელმწიფო დონეზე ქმედითი ღონისძიებების გატარება. კერძოდ, არალეგალურ მიგრაციულ ნაკადებთან ბრძოლა და მათთან დაკავშირებული დანაშაულებების აღკვეთა, რაც ავტომატურად გამოიწვევს ლეგალური მიგრაციის საშუალებების გაფართოებას და ხელმისაწვდომობას. შრომითი მიგრაციის მზარდ ტენდენციას ნათლად აჩვენებს ასევე 2018, 2019, 2020 წლის საქსტატის მონაცემები. ემიგრანტების რიცხოვნობა 2018 წელს წინა წელთან შედარებით გაზრდილია 15,8% - ით. 2019 წელს მიგრაციის მასშტაბები წინა წელთან შედარებით გაიზარდა 6,2% - ით. 2020 წლის მონაცემები წინა წელთან შედარებით ნაკლებია 29,3% - ით, რაც განპირობებულია

კოვიდ პანდემიის დროს საზღვარგარეთ მგზავრობაზე დაწესებული შეზღუდვებით. ამასთანავე, სახელმწიფომ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმით უნდა უზრუნველყოს სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტების რეინტეგრაცია. მათ მიერ უცხოეთში მუშაობისას დაგროვებული კვალიფიკაციის და გამოცდილების გამოყენება, მცირე და საშუალო ბიზნესის დასაწყებად საჭირო პოტენციალის მობილიზება. ეკონომიკური თვალსაზრისით, შრომითი მიგრაცია ქვეყნის ეკონომიკის ერთერთი მამოძრავებელი ძალაა, ვინაიდან ქართველი ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი უცხოური ფულადი გზავნილები ქვეყნის ბიუჯეტს ზრდის, მაგრამ ეკონომიკური სარგებლის შექმნა არ უნდა ხდებოდეს შრომისუნარიანი, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის ქვეყნიდან გადინების ხარჯზე. ამ ორ ასპექტს შორის ბალანსის პოვნა სახელმწიფოს ვალდებულებაა.

References:

“Der Einfluss von Immigration auf die österreichische Gesellschaft “P.3 2004, Wien
Intergration durch berufliche Mobilität? - Heinz Fassmann, Josef Kohlbacher und Ursula Reeger 2001, Wien

“Migration, Menschenrechte und Entwicklung “– Verena Grubmüller 2012, Wien P.24
Sozialarbeit mit Arbeitsmigrant/Innen, Alternativen zur konventionellen Praxis P.15-16 2002,
Austria

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ემიგრანტების გადანაწილება ასაკის მიხედვით ბოლო 3 წელიწადში საქართველოში <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia>
2. „სამუშაო ძალის მიგრაცია და მისი მაკროეკონომიკური შედეგები“, გვანცა ჯანგველაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2019, თბილისი გვ.9, გვ.78 საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2806732?publication=3>
3. საქართველოს კონსტიტუცია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
4. სტატისტიკა საერთაშორისო მიგრანტების შესახებ რეგიონების მიხედვით 2019 წელს <https://de.statista.com/statistik/daten/studie/1259252/umfrage/anteil-internationale-migranten-nach-weltregionen/>
5. საერთაშორისო მიგრანტების რიცხოვნობის დინამიკა 2000 – 2020 წლამდე https://www.migrationdataportal.org/data?m=4&rm49=1004&focus=profile&i=stock_abs_&t=2020

„მიგრანტთა ქცევა კოვიდ ეპიდემიისა და მისი თანმდევი ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, მასპინძელ ქვეყანაში დარჩენის ან შინ დაბრუნების გადაწყვეტილებაზე მოქმედი ფაქტორები“.

ტატიანა სიჭინავა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორანტი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

პანდემიამ ადამიანთა ცხოვრება მოკლე დროში სრულიად შეცვალა. მსოფლიოს ყველა წერტილში გავრცელებულ ვირუსს მწვავე ეკონომიკური კრიზისი და მკაცრი შეზღუდვები მოყვა. რიგ ქვეყნებში საგანგებო მდგომარეობაც გამოცხადდა, ჩაიკეტა საზღვრები. ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდნენ ამ დროს მიგრანტები, განსაკუთრებით კი ქართველი ემიგრანტები, რომელთა ნაწილი ეპიდემიის გავრცელების პერიოდში მასპინძელ ქვეყანაში სახრების გარეშე დარჩნენ. სწორედ ამ დროს მათი ნაწილი აღმოჩნდა ისეთი სერიოზული დილემის წინაშე: მასპინძელ ქვეყანაში დარჩენა და ემიგრანტად ცხოვრების გაგრძელება, თუ სამშობლოში დაბრუნება და ცხოვრების ხელახლა დაწყება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა იმ მიზეზების შესწავლა, რომლებმაც პანდემიის საწყის ეტაპზე ემიგრანტების გადაწყვეტილებაზე (დარჩენა ან შინ დაბრუნება) იქონია გავლენა. ნაშრომში გაანალიზებულია ქართველ ემიგრანტთა ქცევა ისეთ კრიტიკულ და მწვავე პირობებში, რომლებიც ეპიდემიის შედეგად წარმოიშვა. კვლევის ობიექტს წარმოადგენდნენ საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ემიგრანტები. კვლევის დახმარებით შესწავლილია ის რეალობა, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ ქართველი ემიგრანტები, რაც შესაძლებელს გახდის მსგავს სიტუაციაში მიგრანტთა ქცევის პროგნოზირებას. რაოდენობრივი კვლევის მეშვეობით გამოიკითხა 100 ქართველი ემიგრანტი და მონაცემები დამუშავდა SPSS პროგრამის მეშვეობით, ასევე გამოყენებულია სალიტერატურო მეთოდი. *კოვიდ 19-ის თანმდევი ეკონომიკური კრიზისის პერიოდში გამოიკითხულთა ძალიან მცირე ნაწილი დაბრუნდა სამშობლოში. მათი უმრავლესობა შინ დაბრუნდა არა ეკონომიკური მიზეზებით, არამედ უფრო მორალური, ნოსტალგიური,*

საკვანძო სიტყვები: ქართველი ემიგრანტები, კოვიდ-19, იდენტობა, მიგრანტთა ქცევა კრიზისის დროს.

შესავალი

კოვიდ 19-ის ვირუსის ეპიდემიამ დროის მცირე მონაკვეთში სრულიად შეცვალა კაცობრიობის ჩვეული ცხოვრება. მოგვეხსენება, ვირუსი გავრცელდა მსოფლიოს ყველა კუთხეში, თუმცა მასობრივი და ფართო გავრცელება მოხდა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, ჩინეთსა და სამხრეთ კორეაში, ამერიკაში. ეპიდემიამ გამოიწვია მწვავე ეკონომიკური კრიზისი, რადგან შეჩერდა რიგი წარმოებები და მომსახურების სფეროს მთელი რიგი დარგები. დაზარალდა ტურიზმი და საავიაციო ბიზნესი. ამას დაემატა ქვეყნების მიერ საზღვრების დახურვა და საჰაერო სივრცის მთლიანად გადაკეცვა, რიგ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. ასეთ სტრესულ და რთულ ვითარებაში განსაკუთრებულად უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ემიგრანტები, რომლებიც მასპინძელ ქვეყანაში იმყოფებოდნენ ეპიდემიის გავრცელების დროს და დადგნენ ისეთი რთული გადაწყვეტილების წინაშე, როგორცაა ემიგრანტად დარჩენა მასპინძელ ქვეყანაში, თუ შინ დაბრუნება და ცხოვრების ხელახლა დაწყება. ბევრმა მათგანმა ვირუსის თანმდევი კრიზისის დროს დაკარგა სამუშაო ადგილი, დაიხურა მათი სასწავლებლები, ვერ შეძლო ქირის გადახდა ან სხვა რიგი დაუდგენელი მიზეზების გამო გადაწყვიტა დაბრუნება, გარვეულმა ნაწილმა კი დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო. შესაბამისად, აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა იმ მიზეზებისა და მოტივატორების კვლევა, რომლებმაც ადამიანების გადაწყვეტილებებზე იქონიეს გავლენა. კვლევის მიზანიც იმაში მდგომარეობს, რომ იკვლიოს მიგრანტთა ქცევა ეპიდემიის პერიოდში და მისი თანმდევი ეკონომიკური კრიზისის დროს. საინტერესოა იმის დადგენა, თუ როგორ იქცევა მიგრანტი ისეთი გლობალური გამოწვევის დროს, როგორცაა ეპიდემია, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხეში მძვინვარებს: რჩება მიმდებ ქვეყანაში, თუ შინ, სამშობლოში დაბრუნებას ამჯობინებს.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდნენ ქართველი ემიგრანტები, რომლებიც ეპიდემიის გავრცელების მომენტში იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ და დარჩნენ იქ, ან დაბრუნდნენ სამშობლოში. კვლევის საგანია მათი დამოკიდებულება სამშობლოში

დაბრუნებასთან ან მიმღებ ქვეყანაში დარჩენასთან დაკავშირებით. კვლევის ამოცანები გულისხმობს:

- 1) მიგრანტთა საცხოვრებელი პირობების გაცნობას მიმღებ ქვეყანასა და საქართველოში;
- 2) იმ მიკრო და მაკრო ფაქტორების დადგენას, რომლებიც მიგრანტთა გადაწყვეტილებების უკან დგას;
- 3) ინდივიდუალური ფაქტორების დადგენას, რომლებიც განაპირობებს გარკვეული გადაწყვეტილების მიღებას.

კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდგომში: ხომ არ თამაშობს გარკვეულ როლს მიგრანტთა დაბრუნებაში არამხოლოდ ეკონომიკური ფაქტორი, არამედ სამშობლოსთან დაკავშირებული სენტიმენტები, მაშინ როდესაც მსოფლიოს ქვეყნებში პრაქტიკულად თანაბარი, ერთნაირად გაურკვეველი ვითარებაა, ხომ არ ურჩევნიათ მათ სირთულეებთან გამკლავება სამშობლოში.

ალტერნატიული ჰიპოთეზა: მიგრანტთა შინ დაბრუნება არ არის განპირობებული მხოლოდ მიმღებ ქვეყანაში ეკონომიკური ფაქტორების გაუარესებით.

კვლევის ღირებულება: აღნიშნული კვლევა დაგვეხმარება იმ რეალობის შესწავლაში, რომლის წინაშეც აღმოვჩნდით და მის შედეგად შეიქმნება გარკვეული ჰიპოთეტური მოდელი კვლევის ობიექტის ქვეყნის შესახებ, რაც შესაძლებელს გახდის მსგავს სიტუაციაში მიგრანტთა ქვეყნის პროგნოზირებას.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა კვლევის რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით. კვლევის პროცესში ელექტრონული გუგლ ფორმის კითხვარით გამოიკითხა 100 ქართველი ემიგრანტი (როგორც მიმღებ ქვეყანაში კრიზისის დროს დარჩენილი, ისე კრიზისის პერიოდში დაბრუნებული). კითხვარის გამოყენებით მოხდა ემიგრანტთა ცხოვრების წესის უკიდვრად და მის შემდგომ პროცესში გაცნობა. რესპოდენტების შერჩევა განხორციელდა თოვლის გუნდის მეთოდით. მიგრანტთა ნაწილი შეირჩა ფეისბუქზე

არსებული ქართველთა ჯგუფების მეშვეობით გარკვეული ტენდენციების გამოვლენის მიზნით.

კვლევის პირველი, საწყისი ეტაპი მოიცავს სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს და ინფორმაციის გაცნობას მიგრანტთა ქცევაზე კრიზისულ პერიოდებში. აღსანიშნავია, რომ კვლევის შეზღუდვა მდგომარეობს იმაში, რომ არსებობს კვლევების სიმცირე, ვინაიდან „ისპანკის“ შემდეგ მსგავსი ეპიდემიები კაცობრიობას არ ახსოვს და შესაბამისად არ არსებობს არც ლიტერატურა აღნიშნულ საკითხზე.

კვლევის მეორე ეტაპზე ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, რათა გამოვლენილიყო გარკვეული ტენდენციები.

მესამე ეტაპზე დამუშავდა არსებული მონაცემები. რაოდენობრივი კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია დამუშავდა SPSS პროგრამაში, განხორციელდა ცვლადების ერთ და ორგანზომილებიანი ანალიზი.

კვლევის ბოლო მეოთხე ეტაპზე ნაშრომში აისახა გაანალიზებული ინფორმაცია და კვლევის შედეგები.

ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოდან საზღვარგარეთ წასულ ემიგრანტთა უმრავლესობა შრომით მიგრანტებს განეკუთვნება. შრომითი მიგრაცია წარმოადგენს საკვლევად აქტუალურ სფეროს, ვინაიდან მიგრაციული პროცესები უწყვეტია დროსა და სივრცეში და განსაკუთრებით აქტუალურია დღეს გლობალიზაციის ეპოქაში, გამარტივებული ტრანსპორტის, გახსნილი საზღვრების, კულტურული გაცვლის პერიოდში. შრომითი მობილურობა გახდა გლობალიზაციისა და გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი. შრომითი მიგრაცია საერთაშორისო, გლობალური ფენომენია და უკავშირდება საზღვრის კვეთასა და გადაადგილებას მიმღებ ქვეყანაში სამსახურის პოვნის მიზნით. დასაქმების მიზნით მობილობა უკავშირდება ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: მოქალაქეობა, ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, დასაქმების პოლიტიკის ეფექტიანობა, სამუშაო ადგილების შექმნის ასპექტები, დემოგრაფიული ასპექტები, ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხები და სხვა. აღსანიშნავია, რომ კორონაკრიზისის პერიოდამდე და მისი თანმდევი კრიზისის დაწყებამდე მიგრაციები ზოგადად და შრომითი მიგრაციები კერძოდ იყო მზარდი მსოფლიოში. შესაბამისად საქართველოც მიყვებოდა

მსოფლიო ტენდენციებს, თუმცა კოვიდ 19-ის პანდემიამ ვითარება რადიკალურად შეცვალა. ვინაიდან, ჯერ სახელმწიფოებმა ჯერ კიდევ არ მოხსნეს რიგი რეგულაციები და არ არსებობს არც რაიმე ვაქცინა, შესაბამისად პროცესი ბოლომდე არ დასრულებულა, რთულია წინასწარი დასკვნების გამოტანა და მიგრაციების სტატისტიკაზე, მიმართულებასა და სამომავლო ტენდენციებზე საუბარი როგორც უშუალო კრიზისის დროს, ისე მის შემდგომ. თუმცა შეგვიძლია გადავხედოთ უკანასკნელ წლებში მიგრაციების გეოგრაფიასა და მიგრანტების რაოდენობას როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში.

გაეროს მონაცემებით 2019 წელს საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობა შესამჩნევად გაიზარდა და შეადგინა 272 მილიონი, მაშინ, როდესაც 2010 წელს ეს რიცხვი 51 მილიონით ნაკლები იყო და 221 მილიონს უტოლდებოდა (ანუ შეადგენდა მსოფლიო მოსახლეობის 3.1%-ს. თუკი აღნიშნული მონაცემის ზრდა გაგრძელდებოდა არსებული სიჩქარით, მაშინ 2050 წლისთვის იგი 405 მილიონს გაუტოლდებოდა). ყოველი მესამე საერთაშორისო მიგრანტი იმყოფებოდა სამუშაო ასაკში ანუ (20-64 წლის ფარგლებში). 2019 წელს 202 მილიონი საერთაშორისო ემიგრანტი, ანუ 74% მსოფლიო საერთაშორისო მიგრანტებისა იმყოფებოდა 20-დან 64 წლამდე. ეს ნიშნავს, რომ შრომითი მიგრაცია წარმოადგენს მიგრაციის ერთ-ერთ მთავარ სახეს. ¾-ზე მეტი საერთაშორისო მიგრანტებისა სამუშაო ასაკში იმყოფებოდა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ევროპასა და ჩრდ. ამერიკაში (*United Nations* , 2019). 2017 წელს ეკონომიკური მიგრანტები შეადგენდნენ მსოფლიოს საერთაშორისო მიგრანტთა მთელი რაოდენობის დაახლოებით 59 პროცენტს (ILO, 2018).

როგორც ვიხილეთ, 2019 წელს საერთაშორისო მიგრანტთა რაოდენობამ მსოფლიოში მიაღწია თავის პიკს, რასაც მოყვა 2020 წელი და თებერვალშივე გამწვავებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, რომლის შედეგადაც ქვეყანათა დიდმა ნაწილმა დაკეტა საზღვრები და შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს თავის მნიშვნელოვან კვალს დაამჩნევს საერთაშორისო მიგრანტების სტატისტიკას.

რაც შეეხება მიგრაციულ ტენდენციებს საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ჩვენთანაც ემიგრაციის გამომწვევი ფაქტორები კომპლექსურია. ისინი დაკავშირებულია ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან, თუმცა

ამასთანავე ყურადღება უნდა გავითვალისწინოთ ადამიანების ინდივიდუალური გადაწყვეტილებებიც. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებს თუ გავიხსენებთ, იყო პერიოდი, როცა ემიგრაცია, განპირობებული იყო ქვეყანაში არსებული არასტაბილური გარემოთი და უსაფრთხოების პრობლემით, თუმცა შემდგომში ემიგრაციული ნაკადების ზრდა განაპირობა ეკონომიკურმა და სოციალურმა ფაქტორებმა და ეს ტენდენცია დღემდე ნარჩუნდება. ემიგრაციას ასევე ხელს უწყობს ისეთი ფაქტორები, როგორცაა უკვე დიასპორის არსებობა, ემიგრანტ თანამემამულეებთან კავშირები და სხვა. საქართველოს ეკონომიკა ხასიათდება შედარებით შეზღუდული დასაქმების შესაძლებლობებით, ჩვენთან დაბალია შრომის ანაზღაურება, მინიმალურია სოციალური დახმარებები და ცხოვრების ხარისხიც ჩამორჩება ქართველი მიგრანტების ძირითადი დანიშნულების ქვეყნებს შესაბამისად ეს ყველაფერი ხელს უწყობდა ემიგრაციის მუდმივ ზრდას 2020 წლის კოვიდ 19-ის ეპიდემიის გავრცელებამდე.

უკვე 2018 წელს იყო გაზრდილი საქართველოდან საზღვარგარეთ წასული ემიგრანტების რიცხვი. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი ემიგრანტი კვლავ რუსეთში იმყოფებოდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2015 წლიდან ევროკავშირის ქვეყნებში ზრდადი იყო ბინადრობის ნებართვის მფლობელი საქართველოს მოქალაქეთა რიცხვი, ხოლო 2017-დან 2018 წლამდე პერიოდში მათი რაოდენობა 8.5%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მოქმედი ბინადრობის ნებართვის მქონე საქართველოს მოქალაქეების 60% იმყოფებოდა საბერძნეთში, იტალიასა და გერმანიაში. მათი ბინადრობის ნებართვა ძირითადად გაცემული იყო შრომითი (ანაზღაურებადი) საქმიანობისა და ოჯახის გაერთიანების საფუძველზე (*მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019*).

ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეთა ნახევარზე მეტი (60%), ვისაც ჰქონდა მოქმედი ბინადრობის ნებართვა, იმყოფება საბერძნეთში, იტალიასა და გერმანიაში. შრომითი საქმიანობის საფუძველზე მიღებული ბინადრობის ნებართვის მქონე პირთა უმეტესობა იტალიაში ცხოვრობდა, ხოლო ოჯახის გაერთიანების მიზნით კი საბერძნეთსა და გერმანიაში (*მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019*).

მას შემდეგ, რაც ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში ამოქმედდა უვიზო მიმოსვლა მკვეთრად გაიზარდა ამ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეთა მიერ თავშესაფრის

მოთხოვნის მაჩვენებელი. ჩვენი მოქალაქეების უმეტესი ნაწილი თავშესაფარს საფრანგეთსა და გერმანიაში ითხოვდა (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019).

ასევე საგრძნობლად გაიზარდა 2018 წელს ევროკავშირის ქვეყნებში გამოვლენილი არალეგალი საქართველოს მოქალაქეთა რიცხვი. მათგან ყველაზე მეტი იმყოფებოდა გერმანიაში, საფრანგეთსა და საბერძნეთში. უკანასკნელ პერიოდში კლებულობს საქართველოდან რუსეთში ჩასულ ემიგრანტთა რაოდენობა და საპირისპიროდ იზრდება მათი რიცხვი, ვინც რუსეთს ტოვებს (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019).

კვლევის შედეგები

კვლევა ჩატარდა 2020 წლის 20 ივნისს. კვლევის შედეგად სულ გამოითხა 100 რესპოდენტი, აქედან მამაკაცი იყო 33, ხოლო ქალი 67.

გამოკითხულთა ასაკი: მიგრანტთა ასაკის მიხედვით გამოიყო 5 სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი:

- 1) 18-29 წლამდე, მას მიეკუთვნებოდა 15%;
- 2) 30-41 წლამდე - 57%;
- 3) 42-53 წლამდე -22%;
- 4) 54-65 წლამდე -6%

5) ხოლო ბოლო მე-5 ჯგუფს, 66-77 წლამდე, არც ერთი გამოკითხული არ მიეკუთვნებოდა.

მიგრანტთა ოჯახურ მდგომარეობას რაც შეეხება, დაუოჯახებელი იყო 26%, დაოჯახებული- 47%, განქორწინებული - 21%, ქვრივი 4 %, ხოლო სხვა პასუხი აირჩია 2-მა რესპოდენტმა, (2%).

განათლების მიღწეული დონის მიხედვით, არასრული საშუალო განათლება მიღებული ჰქონდა 1 რესპოდენტს 1%, საშუალო განათლება მიღებული ჰქონდა რესპოდენტების 10%-ს, საშუალო სპეციალური - 12 რესპოდენტს (12%), უმაღლესი განათლება ყველაზე მეტ - 73 (73%) რესპოდენტს, ხოლო სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა 4 რესპოდენტს (4%).

გამოკითხულთაგან 99 იყო მართლმადიდებელი, ხოლო 1 რესპოდენტი სხვა რელიგიის მიმდევარი.

ეთნიკურ კუთვნილებას რაც შეეხება, გამოკითხულთაგან 99% იყო ქართველი, ხოლო 1% - სომეხი.

რესპოდენტების 67%-ს ჰყავდა შვილები, ხოლო 33%-ს - არა. იმ რესპოდენტებს შორის, რომელთაც ყავდათ შვილები ჭარბობდნენ 2 შვილის მქონე რესპოდენტები - 46%, ერთი შვილი ყავდა - 40%-ს, 3 შვილი - 9%-ს, 4 შვილი - 3 რესპოდენტს (3%), ხოლო 5 – 2 რესპოდენტს (2%).

იმ ემიგრანტთაგან, რომელთაც ჰყავდათ შვილები 77%) იმყოფებოდა ემიგრაციაში შვილთან ერთად, ხოლო 223% ცხოვრობდა შვილებისგან ცალკე.

დასაქმება

დასაქმების მიხედვით, ემიგრანტთა 32% დასაქმებული იყო ოჯახში მომვლელად, კერძო სექტორში დასაქმებული იყო 34%, სახელმწიფო სტრუქტურაში 13.%, ხოლო უმუშევარი იყო 21 ემიგრანტი (21%).

რაც შეეხება ემიგრანტთა შემოსავალს, თვეში 500\$-მდე შემოსავალი ჰქონდა 23%, 501-1500\$-მდე შემოსავალი ჰქონდა 62%, 1501-2000\$-მდე შემოსავალი ჰქონდა რესპოდენტს 13%, 2001-3000\$-მდე -2%-ს.

რაც შეეხება მასპინძელ ქვეყანას ემიგრანტთა 29% ბინადრობდა იტალიაში, 18% - საფრანგეთში, ესპანეთში 15%, აშშ-სა და პოლონეთში, თითოეულში - 8%, გერმანია და რუსეთში ბინადრობდა თითოეულში 7. სხვა ქვეყნებს რაც შეეხება, წარმოდგენილი იყო: საბერძნეთი, თურქეთი, ლიეტუვა, ირლანდია, გას-ი, კვიპროსი, ავღანეთი, ბელგია, თითოეულზე მოდიოდა 1 რესპოდენტი.

მასპინძელი ქვეყნის შერჩევას რესპოდენტები უმეტესად ითვალისწინებდნენ ოჯახის წევრის, ან ახლობელის არსებობის ფაქტორს საზღვარგარეთ. ასევე ითვალისწინებდნენ კავშირებს დამსაქმებელთან, მასპინძელი ქვეყნის ენის ფაქტორს, ეკონომიკურ მაჩვენებლებს. მასპინძელი ქვეყნის არჩევის სხვა მოტივებს შორის რესპოდენტებმა დაასახელეს: მასპინძელ ქვეყანაში დიდი ქართული დიასპორის არსებობის ფაქტორი; სამუშაოს მარტივად პოვნის შესაძლებლობა; აღნიშნულ ქვეყანაში განათლების მიღების შემდეგ დარჩენის ფაქტორი; მასპინძელ ქვეყანაში სამკურნალო მიზნით ჩასვლა, და მასპინძელი ქვეყნის უძულებით არჩევა

რესპოდენტების უმრავლესობა 50% ემიგრაციაში წასვლას უკავშირებს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას; 15%-ს ჰქონდა საზღვარგარეთ განათლების მიღების სურვილი; 10% იღებდნენ საკუთარი ქვეყნიდან, 20-მა გადაწყვიტა ემიგრაციაში წასვლა საზღვარგარეთ უკეთესი საცხოვრებელი პირობების გამო. გამოკითხულთაგან 1-მა რესპოდენტმა ემიგრაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო ოჯახის წევრებთან გაერთიანების მიზეზით. საზღვარგარეთ ემიგრაციის მიზეზებს შორის დასახელდა ჰომოფობია (1), სამკურნალო

მიზნით განპირობებული ემიგრაცია (1), უმუშევრობა (1) და საზღვარგარეთ ქორწინება/უცხოელზე დაქორწინება (1).

მოქალაქეობა და ბინადრობის უფლება

გამოკითხული რესპოდენტებიდან მასპინძელი ქვეყნის მოქალაქეობა გააჩნდა 20 რესპოდენტს, 80-ს კი არ გააჩნდა მოქალაქეობა. იმ მიგრანტებიდან, რომლებიც არ არიან მოქალაქეები 61% ჰქონდა მასპინძელ ქვეყანაში ბინადრობის უფლება, 39% კი არც ბინადრობის უფლება ჰქონდა და იმყოფებოდა არალეგალურად.

გამოკითხულთა პროფესიებს რაც შეეხება, ემიგრანტებს შორის ჭარბობდნენ მასწავლებლები იურისტები, ეკონომისტები. პროფესიებს შორის წარმოდგენილი იყო მშენებელი, ფსიქოლოგი, მთარგმნელი, ადმინისტრატორი, ბუღალტერი, მეტალურგი, მუსიკოსი და სხვა.

ოფიციალური კვალიფიკაცია საზღვარგარეთ მიიღო გამოკითხულთაგან 44%-მა, ხოლო 56 ემიგრანტს არ მიუღია საზღვარგარეთ არავითარი კვალიფიკაცია.

საზღვარგარეთ ყოფნის დროს მიგრანტთაგან 34% საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს როგორც არც მაღალს და არც დაბალს, 29% მაღალ ეკონომიკურ მდგომარეობად, 18% ძალიან მაღალ ეკონომიკურ მდგომარეობად, 10%- მძიმედ, ხოლო 9% - ძალიან მძიმედ. მიგრანტების ეკონომიკური მდგომარეობა კორონავირუსის თანმდევი ეკონომიკური კრიზისის პირობებში უმრავლესობის მიერ შეფასდა უფრო რთული ვიდრე მანამდე.

გამოკითხულთაგან 6%-მა დაკარგა სამსახური კოვიდ-19-ის თანმდევი კრიზისის გამო და გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება, 15%-მა დაკარგა სამსახური, თუმცა მაინც მიგრაციაში დარჩენა ამჯობინა, 6%-ს არ დაუკარგავს სამსახური, მაგრამ მაინც დაბრუნდა სამშობლოში, ხოლო 73%-ს არ დაუკარგავს სამსახური და დარჩა ემიგრაციაში.

რეემიგრანტები

100 გამოკითხული პირიდან სამშობლოში კოვიდ 19-ის კრიზისის დროს დაბრუნდა 12 ემიგრანტი. მათი სამშობლოში დაბრუნება განაპირობა: სამსახურისა და საარსებო წყაროების დაკარგვამ, მასპინძელ ქვეყანაში უფრო რთული ეპიდემიოლოგიური ვითარების შექმნამ, ვიდრე სამშობლოში, კრიზისული ვითარების სამშობლოში გადატანის სურვილმა. მათი უმრავლესობა აღნიშნულ გადაწყვეტილებას აფასებს, როგორც ძალიან კარგს. გადაწყვეტილება უმრავლეს შემთხვევაში ინდივიდუალურად მიიღებოდა. რეემიგრანტთა უმრავლესობა აპირებს პანდემიის დასრულებისთანავე, ან ვითარების გამოსწორებისთანავე მასპინძელ ქვეყანაში დაბრუნებას.

კოვიდ 19-ის კრიზისის დროს ემიგრაციაში დარჩენილი ემიგრანტები

კითხვაზე, თუ რამ განაპირობა რესპოდენტთა ემიგრაციაში დარჩენა უმრავლესობამ უპასუხა, საზღვარგარეთ სამსახურის შენარჩუნებამ. ისინი ძირითადად ეკონომიკურად ენმარებოდნენ სამშობლოში დარჩენილ ოჯახს და ამიტომ გადაწყვიტეს ემიგრაციაში დარჩენა.

კითხვაზე გეგმავენ თუ არა მთელი ცხოვრების საზღვარგარეთ გატარებას 29%-მა უპასუხა, რომ დიახ, ხოლო 71% არ აპირებს საზღვარგარეთ დარჩენას სამუდამოდ.

დასკვნა

კვლევაში მონაწილე პირთა უმრავლესობა ქალია. მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მამაკაცთა რაოდენობას, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქალთა ემიგრაციის პრობლემას საქართველოში. აღნიშნული ფაქტი ასევე მეტყველებს ქალთა აქტიურობაზე სოციალურ ქსელებში და ონლაინ კვლევებში მონაწილეობის მზაობაზე.

- გამოკითხულ პირთაგან უმრავლესობა განეკუთვნებოდა შრომისუნარიანი მოსახლეობას. ემიგრანტების დიდი ნაწილი იმყოფებოდა 35 - 53 წლის ასაკში და ისინი ძირითადად შრომით მიგრანტებს განეკუთვნებოდნენ.
- გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი 47% იყო დაოჯახებული.
- განათლების დონის მიხედვით, რესპოდენტთა უმრავლესობას ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება, რაც ხაზს უსვამს ქვეყნიდან ტვინების გაღიების ტენდენციას.
- გამოკითხულთა უმრავლესობა იყო საქართველოში ყველაზე გავრცელებული რელიგიის - მართლმადიდებლობის მიმდევარი 99%.
- ემიგრანტთა უმრავლესობა 99% იყო ქართველი.
- ემიგრანტთა უმრავლესობას ჰყავდა შვილები (ძირითადად 2 შვილი).
- იმ რესპოდენტთაგან, რომელთაც ჰყავდათ შვილები, უმრავლესობა ცხოვრობდა შვილებთან ერთად. ეს ხაზს უსვამს ოჯახთან გაერთიანების ტენდენციის არსებობას.
- ემიგრანტთა დიდი ნაწილი დასაქმებული იყო კერძო სექტორში (დასუფთავების, კვების, სატრანსპორტო სფერო) ან ოჯახში მომვლელად. 20% იყო უმუშევარი. აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ ემიგრანტთა უმრავლესობა დასაქმებული იყო თავის კვალიფიკაციასთან შეუსაბამო სამსახურში, დაბალ პოზიციაზე. სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა წილი ძალიან მცირე იყო, ხოლო უმუშევარ პირებს გააჩნდათ ყოველთვიური შემოსავალი, მინიმუმ 500 \$-ის მოცულობით.

- ემიგრანტთა უმრავლესობის შემოსავალი იყო დაბალი ან საშუალო. 3000\$-ზე მაღალი შემოსავალი არ ჰქონდა გამოკითხულთა უმცირესობას.
- ემიგრანტთა შეფასება საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობისა, არ იყო დამოკიდებული მათს შემოსავალზე. რესპოდენტთა უმრავლესობა თავს საშუალო შემოსავლის მქონედ მიიჩნევდა. ძალიან მაღალი ეკონომიკური დონის მქონედ თავს არც ერთი გამოკითხული პირი არ მიიჩნევდა.
- რესპოდენტთა მასპინძელი ქვეყნები ასახავს ევროპისკენ მზარდი ემიგრაციული ნაკადების ტენდენციას. ძირითადად რესპოდენტთა უმრავლესობა ცხოვრობდა ევროკავშირის ქვეყნებში. ემიგრანტებს შორის იყვნენ წარმომადგენლები რუსეთიდან, ამერიკიდან და სხვა სახელმწიფოებიდანაც.
- მიმღებ ქვეყანას რესპოდენტები ძირითადად არჩევენ ოჯახის წევრის, მეგობრის, ახლობლის არსებობის, დამსაქმებელთან კავშირების მიხედვით.
- გამოკითხულთა უმრავლესობამ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო დატოვა სამშობლო.
- ემიგრანტთა მცირე ნაწილს გააჩნია მოქალაქეობა. ცოტა მეტი იყო ბინადრობის უფლების მქონე. იყვნენ არალეგალი ემიგრანტები. ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდგომ უფრო ადვილი გახდა საზღვრის გადაკვეთა და შესაბამისად მეტ პირს მიეცა შესაძლებლობა არალეგალურად დარჩენილიყო საზღვარგარეთ. გამოკითხულთაგან არალეგალთა უმრავლესობა ცხოვრობდა საბერძნეთში, საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიასა და პოლონეთში.
- ემიგრანტთა უმრავლესობას რაიმე პროფესიული კვალიფიკაცია არ მიუღია საზღვარგარეთ. რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი ემიგრანტები უმეტესად თანხმდებიან ნებისმიერ სამსახურს და საქმდებიან ისეთ სამსახურში, სადაც არ არის საჭირო რაიმე განსაკუთრებული პროფესიული კვალიფიკაციის ქონა.
- კორონა ვირუსის დაწყებამდე ემიგრანტთა უმრავლესობა საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებდა როგორც საშუალოდ სტაბილურს. მათ შეეძლოთ ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.
- კოვიდ 19-ის თანმდევი ეკონომიკური კრიზისის პირობებში, მათი რიცხვი ვინც თავს საშუალოდ სტაბილურს უწოდებდა გაიზარდა, თუმცა ეს ზრდა განხორციელდა მათს ხარჯზე, ვინც აქამდე საკუთარ ეკონომ. მდგომარეობას აფასებდა როგორც მაღალს.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ეპიდემიის პირობებში ემიგრანტთა ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა.

- გამოკითხულთა უმრავლესობას შეუნარჩუნდა სამსახური პანდემიის პირობებში. დაახლოებით 20%-მა კი სამსახური დაკარგა, თუმცა მათი უმეტესობა სამშობლოში არ დაბრუნებულა.
- გამოკითხულ ემიგრანტთაგან მცირე ნაწილმა კრიზისის დროს გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება. აღსანიშნავია, რომ მათგან ყველას არ დაუკარგავს სამსახური, ისინი კრიზისული ვითარების სამშობლოში გადასატანად დაბრუნდნენ, ხოლო ზოგიერთი დაბრუნდა იმიტომ, რომ მასპინძელ ქვეყანაში სამშობლოზე ბევრად რთული ეპიდ. სიტუაცია შეიქმნა. მათი უმრავლესობა გადაწყვეტილებას დაბრუნების შესახებ აფასებს, როგორც ძალიან კარგს. უმეტეს შემთხვევაში დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება ინდივიდუალურად იყო მიღებული.
- აღსანიშნავია, რომ რეემიგრანტთა 100% აპირებს საღვარგარეთ დაბრუნებას სიტუაციის დასტაბილურებისთანავე.
- რაც შეეხება საზღვარგარეთ დარჩენილ ემიგრანტებს, ისინი არ დაბრუნდნენ, რადგან შეუნარჩუნდათ სამსახური და ბევრ მათგანს ფიზიკურად არც ჰქონდა სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა, რადგან ეხმარებოდა ოჯახს ეკონომიკურად ეპიდემიის პირობებშიც. მათ უმრავლესობას სამშობლოში დაბრუნების მცდელობა არ ჰქონია.
- აღსანიშნავია, რომ მოგზაურობის გამარტივებულმა პროცედურებმა, იაფმა ფრენებმა ქუთაისის აეროპორტიდან განაპირობა ის ფაქტი, რომ ემიგრანტთა უდიდესი უმრავლესობა ბოლოს სამშობლოში იმყოფებოდა 1-5 წლის წინანდელ პერიოდში.
- ემიგრანტების დაახლოებით 80% არ აპირებს მთელი ცხოვრების საზღვარგარეთ გატარებას და სამშობლოში დაბრუნებას გეგმავს.

კოვიდ 19-ის თანმდევი ეკონომიკური კრიზისის პერიოდში გამოკითხულთა მცირე ნაწილი დაბრუნდა სამშობლოში. მათი უმრავლესობა შინ დაბრუნდა არა ეკონომიკური მიზეზებით, არამედ უფრო მორალური, ნოსტალგიური, პატრიოტული განწყობების გათვალისწინებით. რაც გვაძლევს კვლევის დასაწყისში გამოთქმული ჰიპოთეზის (ხომ არ თამაშობს გარკვეულ როლს მიგრანტთა დაბრუნებაში არამხოლოდ ეკონომიკური ფაქტორი, არამედ სამშობლოსთან დაკავშირებული სენტიმენტები, მაშინ როდესაც მსოფლიოს ქვეყნებში პრაქტიკულად თანაბარი ერთნაირად გაურკვეველი ვითარებაა, ხომ არ ურჩევნიათ მათ სირთულეებთან გამკლავება სამშობლოში) ვერიფიკაციის

საშუალებას. საინტერესოა, რომ ეპიდ. სიტუაციის გამოსწორების შემდეგ რეემიგრანტთა უმრავლესობა გეგმავს საზღვარგარეთ დაბრუნებას.

რაც შეეხება დარჩენილ მიგრანტებს, მათი უმეტესობა ეკონომიკური მიზეზებით ვერ დაბრუნდა სამშობლოში კრიზისული სიტუაციის დროს.

საბოლოო ჯამში, ემიგრანტთა ორივე ჯგუფის (დარჩენილები, დაბრუნებულები) უმრავლესობა გამოირჩევა ძლიერი ნოსტალგიით და არ გეგმავს მთელი ცხოვრების საზღვარგარეთ გატარებას. ზოგიერთი მათგანი იმედოვნებს, რომ სიბერეს სამშობლოში გაატარებს.

გამოყენებული ლიტერატურა

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2019). *საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი*. თბილისი: მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია.

United Nations . (2019). *International Migration 2019*. New York: Department of Economic and Social Affairs.

დიასპორის როლი და გავლენა საგარეო პოლიტიკაზე

ლარისა ნაჭყებია

მაგისტრანტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ანოტაცია

საკონფერენციო ნაშრომის თემაა “დიასპორის როლი და გავლენა საგარეო პოლიტიკაზე”. ზოგადად, დიასპორა წარმოადგენს პოლიტიკურ და კულტურულ ხიდს ორ ქვეყანას შორის. ეს საკითხი ძალიან აქტუალურია თანამედროვე საზოგადოებისთვის. ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს დიასპორის მნიშვნელოვანი როლი მსოფლიოს პოლიტიკაში. ხაზი გაუსვას და განსაზღვროს ის პრობლემები, რომლებიც ამ საკითხთან არის დაკავშირებული. ასევე ნაშრომში ყურადღება იქნება გამახვილებული, დიასპორის თავისებურებებზე, მათ კავშირზე როგორც საერთაშორისო ისე საშინაო პოლიტიკაზე.

აღნიშნულ ნაშრომში, განხილული იქნება დიასპორასთან დაკავშირებული თავისებურებები კონკრეტული ქვეყნების მაგალითზე. ჩემ მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდი, მდგომარეობს თემის მიხედვით ლიტერატურის შეკრებასა და მის ანალიზში, აგრეთვე, კონკრეტული ქვეყნების მაგალითზე მასალების დამუშავებასა და მისი მიხედვით სარწმუნო დასკვნების გამოტანაში.

შესავალი

საგარეო პოლიტიკა არის ქვეყნის ჩართულობა მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, უსაფრთხოების, მშვიდობის, პროგრესის და ა.შ. მხრივ. თითოეული ქვეყნის მთავრობა აყალიბებს თავის საგარეო პოლიტიკას. საგარეო პოლიტიკა არის რამდენიმე საშუალებისა და მოვლენის შერწყმა და სხვადასხვა პერსონები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში. საგარეო პოლიტიკის ანალიზი არის ანალიტიკური პროცესი, რომელიც იკვლევს სახელმწიფოს რამდენიმე აქტორს, არასახელმწიფო აქტორს და ქვესახელმწიფო ორგანოს. საგარეო პოლიტიკა შეიძლება განისაზღვროს,

როგორც პროცესი, რომელიც ხდება ერთდროულად ოთხ დონეზე, ანუ სტრატეგიული, კონტექსტუალური, ორგანიზაციული და ოპერატიული. საგარეო პოლიტიკის განხორციელება და საგარეო პოლიტიკის უკეთ ჩამოყალიბება მოითხოვს გადაწყვეტილებებს, არჩევანს და ვალდებულებების შესაბამისობას. ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა ინსტრუმენტების ჩართვით, დიპლომატიური, სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური სფეროდან დაწყებული. დიპლომატია მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საგარეო პოლიტიკის განსახორციელებლად. ამ პროცესში სწორედ რომ მნიშვნელოვანი როლი უჭირავს დიასპორას. დიასპორა გახდა ეროვნული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის დისკურსის განუყოფელი ნაწილი და წარმოიშვა როგორც ძლიერ ფაქტორად ეროვნულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების განვითარებაში. მულტილატერალიზმის ახლანდელ ეპოქაში „რბილი ძალის“ გამოყენება გახდა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი საგარეო პოლიტიკაზე ზემოქმედებისათვის. დიასპორა იქცა „რბილ ძალად“, რომელიც გავლენას ახდენს და ამარტივებს საგარეო ურთიერთობას მშობლიური და მასპინძელი ქვეყნის საგარეო ურთიერთობებზე. ის წარმოადგენს რბილი ძალის ძალიან მნიშვნელოვანი წყაროს. დიასპორა, ასევე შეიძლება გახდეს სამშობლოსა და საცხოვრებელ ქვეყანას შორის ორმხრივი ურთიერთობების ხელშემწყობი. მას, ასევე მნიშვნელოვანი და აქტიური როლი უჭირავს, როგორც წარმომშობის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების „აგენტებს“ მასპინძელ ქვეყნებში, ისინი ხშირ შემთხვევაში, წარმომშობი სახელმწიფოსთვის გვევლინებიან მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსად, ფულადი გზავნილებისა და პირდაპირი ინვესტიციების განხორციელების მხრივ. დიასპორები ეს ის სეგმენტია, რომელთაც აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ ემსახურონ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ მიზნებს, როგორც მიმღებ ქვეყანაში, ისე სამშობლოში. „დიასპორები, წარმოადგენენ მთავარ დამაკავშირებელ ხიდს ორივე სახელმწიფოს საზოგადოებების შორის, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განიცდიან როგორც თავიანთი ისტორიული სამშობლოს, ისე მიმღები სახელმწიფოს სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ გავლენას.“⁷ დიასპორიული საზოგადოებები გამოირჩევიან თავიანთი ბუნებით და მნიშვნელოვან როლს

⁷კვლევის ანგარიში: „რუსეთის ქართული დიასპორა და ქართულ-რუსული ურთიერთობები“- მ.გაჩეჩილაძე, გვ.5, თბილისი, 2016.

ასრულებენ დღევანდელ დროში კულტურებს შორის ურთიერთობების დამყარებაში. დიასპორა ხელს უწყობს სამშვიდობო პროცესებში წვლილის შეტანას და აქტიურ მხარდაჭერას, ეკონომიკურ და პოლიტიკურ, მასპინძელი და მშობლიური ქვეყნებს შორის. მათ შეუძლიათ შეასრულონ როგორც მშვიდობის შემქმნელების როლი კონფლიქტში. დიასპორის პოტენციალმა მოიპოვა მზარდი საერთაშორისო აღიარება, როგორც პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში, ასევე თავად დიასპორის წევრებს შორის. საგარეო პოლიტიკა აღარ არის დიპლომატიური კორპუსის ერთადერთი სფერო; უფრო სწორად, დიასპორის საზოგადოებრივი ორგანიზაციები და წევრები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თავიანთი წარმომადგენლების ქვეყნებთან უფრო ძლიერი, ღრმა და ეფექტური ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობაში. პარტნიორობა, რომელიც ემყარება წარმომადგენლების ერთმანეთს არსებულ კავშირებს და ემყარება დიასპორის თემების ნიჭს, შემოქმედებას, რესურსებს და ქსელებს, საგარეო პოლიტიკის პროცესის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს.

1.1 დიასპორის მნიშვნელობა.

როდესაც ქვეყნის განვითარების შესაძლებლობაზე საუბრობენ, ტრადიციულად ხაზს უსვამენ მის ბუნებრივ რესურსებს, სოციალურ და პოლიტიკურ მდგრადობას, ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს, საერთაშორისო პოლიტიკურ გავლენას და სხვა მრავალ ფაქტორს... თუმცა ყველა მათგანში ცენტრალური ადგილი მაინც ადამიანურ კაპიტალს, ადამიანურ რესურსს უჭირავს. ამ უკანასკნელში, ჩვეულებრივ, გულისხმობენ სახელმწიფოსთან დაკავშირებულ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ქვეყნის შიგნით ცხოვრობენ და მათ ცოდნასა და გამოცდილებას ადგილზე გამოიყენებენ, თუმცა ბოლო ათწლეულების დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს განვითარებაში არანაკლებ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზღვარგარეთ მცხოვრებ იმ თანამემამულეებსაც, რომლებიც შეიძლება ისტორიული სამშობლოს მოქალაქეები სულაც არ იყვნენ. ასეთი ტიპის ადამიანურ რესურსს შეიძლება ვუწოდოთ სახელმწიფოს დიასპორა.⁸

ტერმინი დიასპორა სიტყვასიტყვით ნიშნავს "გაფანტვას", რომელიც წარმოიშვა ბერძნული სიტყვიდან. სიტყვა "დიასპორა" თავდაპირველად გამოიყენებოდა

⁸ კვლევის ანგარიში: „რუსეთის ქართული დიასპორა და ქართულ-რუსული ურთიერთობები“- მ.გაჩეჩილაძე, გვ.6, თბილისი, 2016.

ებრაელების გაფანტვის მიზნით პალესტინის გარეთ მიწაზე ბაბილონის ტყვეობის შემდეგ. მეოცე საუკუნის ბოლოდან დიასპორის ცნება გამოიყენება ნებისმიერი ეთნიკური მოსახლეობის დასახასიათებლად, რომლებიც ცხოვრობენ სხვა ქვეყნებში, გარდა მათი ისტორიული სამშობლოსა. ებრაელების, სომხების ან აფრიკელების დიასპორიულ გამოცდილებასთან დაკავშირებულ ცნობებში დიასპორა უარყოფით კონოტაციას ასახელებს იმის გამო, რომ იგი ასოცირდება „იძულებით გადაადგილებასთან, მსხვერპლთან, გასხვისებასთან, დაკარგვასთან“.⁹ მოდერნულობის პერიოდთან ერთად, დიასპორამ საკუთარი ახლებური დატვირთვა მეოცე საუკუნის განმავლობაში ლოკალური თუ გლობალური ისტორიული პროცესების ძალით შეიძინა. საბჭოთა კავშირის შექმნის, II მსოფლიო ომის, მსოფლიოში დაწყებული დეკოლონიზაციის პროცესისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილმა მიგრაციულმა ტალღებმა მთელი მსოფლიოს გარშემო გამოიწვიეს სხვადასხვა ტერიტორიაზე, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების გაჩენა, რომლებიც დროთა განმავლობაში გარდაიქმნენ დიასპორებად და ამით შეიძინეს საკუთარი სპეციფიკური დატვირთვა, როგორც მიმღები სახელმწიფოსთვის, ისე საკუთარი ისტორიული სამშობლოსათვის. მიუხედავად იმისა, რომ დიასპორაზე ბევრი თქმულა და იწერება, მაინც რთულია, ზუსტად განისაზღვროს, თუ რა იგულისხმება ამ ტერმინის მიღმა. კლასიკური დიასპორების გარდა არსებობს ბევრი სხვა მიზეზით, როგორცაა: შრომითი მიგრაციის, საზღვარგარეთ განათლების მიღების, ვაჭრობის, ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტის, პოლიტიკური დევნის, ხანგრძლივი მივლინების შედეგად უცხოეთში გაჩენილი ადამიანთა ჯგუფები. მათ შორის ზღვარის დადგენა და მათი დიასპორად კლასიფიცირება განსხვავებულ მეთოდოლოგიურ მიდგომებს საჭიროებს. დიასპორა – ამ ტერმინის კრიტიკა ეხება იმასაც, თუ რამდენად ჰომოგენურია და ერთ ისტორიულ იდენტობას წარმოადგენს ამა თუ იმ სახელმწიფოში გაფანტული ესა თუ ის დიასპორული ჯგუფი. ასევე საკამათოა, როგორ და რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდება დიასპორასთან მიკუთვნებულობის გრძნობის განსაზღვრა – დაფუძნებულია ის კლასიკური ერი-სახელმწიფოს ცნებაზე, რელიგიაზე, რეგიონზე, ეთნო-ლინგვისტურ ერთიანობასა,

⁹ Bhargava, Kant et al. (2008)

თუ რამე სხვა კრიტერიუმზე; ასევე კითხვებს ბადებს, თუ რამდენ თაობაზე შეიძლება ვრცელდებოდეს დიასპორის წევრობის პირობა.¹⁰

ოქსფორდის უნივერსიტეტის მიგრაციის საერთაშორისო პროგრამის დირექტორი პროფესორი რობინ კოენი XX საუკუნის მეორე ნახევრიდან სამეცნიერო-აკადემიურ სივრცეში დაწყებულ დიასპორების შესწავლის პროცესს ყოფს რამდენიმე ძირითად ეტაპად და, ამავდროულად, გთავაზობს დიასპორის ფენომენის გაგებას, დიასპორების წარმოქმნის ისტორიული თუ სოციო-ეკონომიკური მიზეზების სისტემატიზირების საფუძველზე. იგი ზღვარს ავლებს: ვიქტიმიზებულ, იმპერიულ, შრომით, სავაჭრო და დეტერიტორიალიზებული დიასპორებს შორის. თავდაპირველად მეცნიერები ვიქტიმიზებული დიასპორის გარშემო ტრიალებდნენ და იკვლევდნენ ებრაულ დიასპორას, რომლის დისპერსიასაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია და ამ ისტორიაში დომინირებს ვიქტიმიზაციური ნარატივი ერთი კატაკლიზმური მოვლენისა, რომელმაც ამ ერის ტრავმირება გამოიწვია. 60-იან და 70-იან წლებში დიასპორის კლასიკური გაგება გაფართოვდა და მოიცვა აფრიკელების, სომხებისა და ირლანდიელების გამოცდილებებიც. კოენი მეორე ეტაპის დასაწყისად 80-იან წლებს მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ იმ დროისათვის დიასპორა – ეს იყო ერთგვარი „მეტაფორული განსაზღვრება“ რეპატრიანტებისთვის, დეპორტირებულებისთვის, პოლიტიკური დევნილებისა და უცხო მოსახლეებისთვის, იმიგრანტების, ეთნიკური და რასობრივი უმცირესობებისთვის. 90-იანი წლებიდან დაწყებული მესამე ეტაპის მიდგომას კოენი მიაკუთვნებს სოციალურ კონსტრუქტივისტებს, რომლებმაც პოსტმოდერნული პარადიგმის აღზევებასთან ერთად ეჭვქვეშ დააყენეს დიასპორის ფენომენის ერთიანობა და ერთმანეთისგან გამიჯნეს “სამშობლოს” და „ეთნიკურ-რელიგიური საზოგადოების“ იდეა. ხოლო რაც შეეხება თანამედროვე პერიოდს, მისი აზრით, ეს არის მიდგომების კონსოლიდაციის ახალი ეტაპი, სადაც მხედველობაში მიიღება დიასპორის ყველა ელემენტი, იდეალური ტიპების ჩათვლით.¹¹

¹⁰ კვლევის ანგარიში: „რუსეთის ქართული დიასპორა და ქართულ-რუსული ურთიერთობები“- მ.გაჩეჩილაძე, გვ.8, თბილისი, 2016

¹¹ Robin Cohen; „Global Diasporas An Introduction“; second edition; publisher: “Routledge taylor and francis group London and New-york” 1-2pp. იხ: http://prodiasporaromana.org/wp-content/uploads/2014/01/Cohen-2008-Global-Diasporas-An-Introduction2n-Bookos.org_.pdf

საერთაშორისო დიასპორა ფართოდ არის შესწავლილი სხვადასხვა დისციპლინებში, როგორცაა ანთროპოლოგია, გეოგრაფია, სოციოლოგია და ა.შ. დიასპორიული საქმიანობა შეიძლება გააზრებული იყოს კონსტრუქტივიზმისა და ლიბერალიზმის მიერ გაზიარებულ თეორიულ სივრცეში მათი შესწავლით. ეს ორი თეორია იძლევა შესაძლებლობას საერთაშორისო დიასპორის თეორიზაციისათვის. ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი და რეალიზმი იზიარებს მათ მრავალ ვარაუდს. ორივე თეორიას სჯერა ანარქიული სისტემის, სადაც სახელმწიფო უნდა გადარჩეს, მაგრამ ლიბერალიზმი აღიარებს შიდა გავლენას საერთაშორისო დონეზე. ამრიგად, საერთაშორისო დიასპორა არის ისეთი აქტორები, რომლებსაც შეუძლიათ დააკავშირონ როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო პოლიტიკა.¹²

კონსტრუქტივიზმი არის კიდევ ერთი თეორია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საერთაშორისო დიასპორის საქმიანობის გასაგებად. ამ თეორიის გასაცნობად კონსტრუქტივიზმი მიიჩნევს, რომ თუ სტრუქტურები ქმნიან სოციალურ და პოლიტიკურ აქტორთა ქცევას, მაშინ ნორმატიული და მატერიალური სტრუქტურები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც არამატერიალური სტრუქტურა. არამატერიალური სტრუქტურის გავლენის გაგება ადამიანთა იდენტობაზე მნიშვნელოვანია, რადგან ინტერესები დაკავშირებულია იდენტობასთან. თუმცა, კონსტრუქტივიზმის მიხედვით სტრუქტურა და „აგენტი“ ურთიერთშეთანხმებულია. ნორმატიულმა და იდეალურმა სტრუქტურებმა შეიძლება გავლენა მოახდინონ იდენტურობაზე და ინტერესზე, მაგრამ ისინი ასევე დამოკიდებულია პროცესში მონაწილე პერსონების გამოცდილებაზე. ამრიგად, ჩანს, რომ კონსტრუქტივიზმი სივრცეს აძლევს საერთაშორისო დიასპორის თეორიულ კონცეპტუალიზაციას, ვინაიდან იგი იდენტობასა და ინტერესს ეხება. კონსტრუქტივიზმი გვეხმარება გავიგოთ საერთაშორისო დიასპორის იდენტურობაზე დაფუძნებული საქმიანობა.¹³

1.2. ეკონომიკური დიპლომატია და დიასპორის როლი ეკონომიკური მიმართულებით.

¹² Shain, Yossi and Aharon Barth (2003), "Diasporas and International Relations Theory", International Organization Foundation, 57 (3): 449-479.

¹³ Shain, Yossi and Aharon Barth (2003), "Diasporas and International Relations Theory", International Organization Foundation, 57 (3): 449-479.

ეკონომიკური დიპლომატია კომპლექსური ღონისძიებების ერთობლიობაა, რომლის მიზანია კონკრეტული ქვეყნის ეროვნული კაპიტალის ეკონომიკური ინტერესების დაცვა საერთაშორისო ბაზრებსა და სხვა ქვეყნებში პოლიტიკური და დიპლომატიური მეთოდებისა და ხერხების უპირატესი გამოყენების გზით. ისტორიულად უცხო ქვეყნებში განლაგებული საელჩოების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა სავაჭრო მოლაპარაკებების წარმართვა და საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა იყო. მიჩნეულია, რომ ეკონომიკური დიპლომატიის ჩამოყალიბება რამოდენიმე ათწლეულის მანძილზე საერთაშორისო ეკონომიკისა და დიპლომატიის წიაღში მიმდინარეობდა, მსოფლიო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში ზოგადად დიპლომატიის როლის ზრდის ფონზე. ყველა მკვლევარი აღიარებს ე.წ. ისტორიული, კლასიკური დიპლომატიის როლს საერთაშორისო სავაჭრო და საფინანსო ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებაში. ეკონომიკური მიმართულება საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის არსებობდა. ეს ეხება როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიას ზოგადად, ასევე საგარეო პოლიტიკას და დიპლომატიის ისტორიას. ამოცანა იყო, არა ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოება, არამედ საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ეროვნული რესურსების გამოყენება, ან სავაჭრო პარტნიორის ხარჯზე უპირატესობის მოიპოვების მცდელობა.¹⁴

ბევრის თქმა შეიძლება დიასპორის პრაქტიკულ მნიშვნელობასა და სახელმწიფოსთვის მის მზარდ პოტენციალზე ბოლო წლების განმავლობაში. ამას მოწმობს ის, რომ ადგილობრივ და უცხოურ კაპიტალთან ერთად ჩნდება ახალი ცნება დიასპორული კაპიტალი, რომელიც მიუთითებს იმ ფინანსური და ეკონომიკური ტიპის შესაძლებლობებზე, რომელიც დიასპორებს შეიძლება გააჩნდეთ საკუთარი ისტორიული სამშობლოსათვის.¹⁵ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა აცნობიერებს, რომ აღნიშნული მიმართულებით კვლევა, მუშაობა და საბოლოოდ ქვეყნის სასარგებლოდ მათი გამოყენება შესაძლებელია. ეკონომიკის მიმართულებით დიასპორის მნიშვნელობაზე შეგვიძლია გამოვყოთ ისეთი მიმართულებები როგორცაა:

¹⁴ „ეკონომიკური უსაფრთხოება, თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“ - ბესიკ ალადაშვილი, გვ.33, თბილისი 2011.

¹⁵ Eric Guichard, “Why and how diaspora capital can contribute to Africa’s development,” May 10, 2015; ix: <https://www.homestrings.com/news-and-analysis/2015/may/10/why-and-how-diaspora-capital-can-contribute-to-africas-development/#.VqHmVIV97IU>

ლიასპორის ფულადი გზავნილები და ღიასპორა, როგორც ქვეყნის ეკონომიკაში პოტენციური მაინვესტირებელი. პირდაპირი ფულადი გადმორიცხვები – ეს არის ის თავისთავადი სარგებელი, რომელსაც სახელმწიფო ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ქვეყნის გარეთ მცხოვრები საკუთარი თანამემამულეებისგან იღებს.¹⁶ რაც შეეხება პირდაპირ ინვესტიციებს და სავაჭრო ეკონომიკურ თანამშრომლობას, ბიზნესის სექტორის წარმომადგენლები, ჩვეულებრივ, მიდრეკილნი არიან, ინვესტიციები განახორციელონ იმ ქვეყნებში, რომელთა შესახებაც გააჩნიათ ინფორმაცია ბაზრის თავისებურებებისა და ზოგადი ეკონომიკური გარემოს შესახებ, ამასთან კარგად იცნობენ საზოგადოებას, მის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს.¹⁷ მაგალითად, ეკონომიკურ სფეროში, ჩინეთის ღიასპორა განიხილებოდა როგორც მამოძრავებელი ძალა მისი ეკონომიკური ზესახელმწიფოს წარმოქმნისათვის. ჩინური ღიასპორა მსოფლიოში ერთ -ერთი უდიდესი ღიასპორაა. შეერთებული შტატები, კანადა და ავსტრალია იღებდნენ ჩინური წარმოშობის მეტ მიგრანტს, ვიდრე მსოფლიოს სანარჩენი ქვეყნები. ღიასპორა სულ უფრო მეტად ახორციელებს პოლიტიკურ გავლენას მათ მასპინძელ ქვეყნებსა და წარმოშობის ქვეყნებზე.¹⁸

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური დიპლომატია წარმოადგენს სახელმწიფოს უსაფრთხოების, მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფისთვის გეოპოლიტიკური უპირატესობების პოტენციალის გამოყენებით საერთაშორისო ასპარეზზე ეროვნული ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციას. ამდენად, ეკონომიკური დიპლომატია საშუალებას იძლევა არა მარტო გადავჭრათ მიმდინარე და ახლო მომავალზე ორიენტირებული საგარეო ეკონომიკური ამოცანები, არამედ გავლენა მოვახდინოთ სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზეც. გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური დიპლომატიის ძირითადი ამოცანებია: საზღვარგარეთიდან პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება; უცხო ქვეყანაში ეროვნული ინვესტიციების მაქსიმალური დაცვა, საკუთარი ქვეყნის

¹⁶ Ricardo Hausmann, “The Diaspora Goldmine” “Project syndicate”, JUN 25, 2015. ob.: <http://www.project-syndicate.org/commentary/remittances-not-only-benefit-to-homeland-economies-by-ricardo-hausmann-2015-06>

¹⁷ Cross-cultural trade in world history, Philip D. Curtin, Cambridge University Press. ix.: <http://catdir.loc.gov/catdir/samples/cam034/83023202.pdf>

¹⁸ Mahalingam, M. (October 21, 2013), “India’s Diaspora Policy and Foreign Policy: An Overview”, [Online: web] Accessed 20 August 2019, URL: <http://grfdt.com/PublicationDetails.aspx?Type=Articles& TabId=30>.

ფორმებისათვის საერთაშორისო ბაზრებზე გასვლაში დახმარება; საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების შესახებ ინფორმაციის აკუმულირება და ეროვნული კომპანიებისათვის მიწოდება; მოცემულ ქვეყანაში საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი, განვითარების პროგნოზირება და ეროვნული კაპიტალის წარმომადგენელი ფირმებისათვის რეკომენდაციების მიწოდება; ორმხრივი და მრავალმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური მოლაპარაკებების წარმართვა ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით და ა. შ.¹⁹

დიასპორა და საგარეო პოლიტიკის შედეგები

დიასპორა არის კონცეფცია, რომელიც დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ საზოგადოების ურთიერთობები და წარმონაქმნები. დიასპორიული თემები შედგება ხალხისგან, რომლებსაც აქვთ მიგრაციის ისტორია და არიან მიმოფანტულ სხვადასხვა ადგილას მთელს მსოფლიოში. ამავე დროს, მათ აერთიანებს ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური, ენობრივი, ტერიტორიული, ადგილობრივი, რეგიონული და/ან კულტურული ნათესაობები, რომლებიც კვეთენ ეროვნული სახელმწიფოების მიერ დადგენილ საზღვრებს. დიასპორიული ჯგუფები მთელს მსოფლიოში მოქმედებენ როგორც რბილი ძალის მშენებლები, რაც გავლენას ახდენს და აძლიერებს ორმხრივ ურთიერთობას სამშობლოსა და მასპინძელ ქვეყანას შორის. დიასპორა წარმოიშობა გლობალიზაციისა და ტრანსნაციონალური მიგრაციის ზემოქმედების შედეგად, მაგრამ ასევე ინტეგრირდება კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის ისტორიასთან. დიასპორა არ არის სოციალურ-ისტორიული და დისციპლინარული კონცეფციების შედეგი, არამედ წარმოიქმნება რასობრივი მეხსიერების ინტენსიური სუბიექტური ოპერაციების შედეგად.²⁰

დიასპორას შეუძლია გააძლიეროს როლი საგარეო პოლიტიკაში. პარტნიორობა, რომელიც ემყარება წარმოშობის ერებთან არსებულ კავშირებს და ეყრდნობა დიასპორის თემების ნიჭს, შემოქმედებას, რესურსებს და ქსელებს, საგარეო პოლიტიკის პროცესის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. დიასპორიული საზოგადოება ასევე გავლენას ახდენს სამშობლოს შიდა კონფლიქტზე როგორც

¹⁹ „ეკონომიკური უსაფრთხოება, თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“ - ზესიკ ალადაშვილი, გვ.34, თბილისი 2011.

²⁰ Diaspora and Foreign Policy: A Global Perspective” - Dr. Nabin Kumar Khara, International Journal of Political Science (IJPS).

ნეგატიური, ასევე პოზიტიური თვალსაზრისით. მათ შეუძლიათ დახმარება და მხარდაჭერა გაუწიონ ნებისმიერ დაჯგუფებას ბრძოლის გასაგრძელებლად. მათ შეუძლიათ შეასრულონ მშვიდობისმყოფელების როლიც.²¹

დიასპორების როლი გლობალურ პოლიტიკაში, განსაკუთრებით როგორც პოლიტიკური და სოციალური აქტორები, რომლებიც გასცდებიან ტერიტორიულ საზღვრებს, არის თემა, რომელმაც ბოლო დროს მიიპყრო ინტენსიური მეცნიერულიყურადღება²² მიუხედავად დიასპორის ორგანიზაციების მძლავრი ხმისა და მათი გავლენისა საერთაშორისო პოლიტიკაზე, დიასპორის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში იგნორირებულია ან არ არის შეფასებული. კლასიკურ რეალიზმსა და ნეორეალიზმში, სადაც საერთაშორისო სისტემა დომინირებს სახელმწიფოზე, დიასპორა არ განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური მონაწილე. დიასპორიულ საზოგადოებებს შეუძლიათ შექმნან ლობი, რომ მოახდინონ გავლენა მთავრობაზე შიდა დავების გადაწყვეტაში. მათ ასევე შეუძლიათ მიმართონ საერთაშორისო ორგანიზაციებს ამ მიზნით. მათ შეუძლიათ დახმარება გაუწიონ კონფლიქტის შემდგომი რეკონსტრუქციის პროცესს.²³ დიასპორა ზედამხედველობას უწევს სამშობლოს მთავრობას.

გლობალური ეკონომიკური სისტემის გლობალიზაცია და ლიბერალიზაცია, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფ წინსვლასთან ერთად, რამაც შეამცირა დრო და სივრცე, თავის მხრივ გააძლიერა მათი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირები წარმოშობის ქვეყნებთან. გლობალიზაცია განიხილება, როგორც კულტურული ობიექტების, გამოსახულებებისა და მნიშვნელობების მსოფლიო ნაკადი, რაც იწვევს რეალიზაციის მრავალფეროვან პროცესს, ურთიერთგადაცემებს, ურთიერთდამოკიდებულებებს, ახალ დაპირისპირებებს, მოლაპარაკებებს და მუდმივ გარდაქმნებს.²⁴ საბოლოოდ, ისინი წარმოიშვა როგორც „გარდაუვალი რგოლი“ მათ სახლსა და სამშობლოს შორის, ორივე მხარისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ შედეგებთან

²¹ Rai, Sarita (2015), the Role of Indian Diaspora in India-Myanmar Relations, M.Phil. Dissertation, Gangtok: Sikkim University

²² Varadarajan, Latha (2010), the Domestic Abroad Diasporas in International Relations, New York: Oxford University Press

²³ Rai, Sarita (2015), the Role of Indian Diaspora in India-Myanmar Relations, M.Phil. Dissertation, Gangtok: Sikkim University.

²⁴ Vertovec, Steven (1999), “Three Meanings of „Diaspora“, Exemplified among South Asian Religions”, 7 (2): 1-37, Oxfordshire:

ერთად.²⁵ მოკლედ რომ ვთქვათ, გლობალიზაციას აქვს ჰომოგენური გავლენა ყველა კულტურაზე. გლობალიზაციამ ასევე გამოიწვია „აბსოლუტისტური“ მიდგომის შემცირება პოლიტიკურ საზოგადოებაში გაწევრიანებისადმი, რომელიც განასხვავებს პოლიტიკურ ეთნო-კულტურულ იდენტობას და იძლევა ადგილს მრავალფეროვნების აღიარებისთვის და ემსახურება დიასპორის თემების არსებობას. დიასპორის კონცეფციისადმი მზარდი ინტერესი ასევე დაკავშირებული იყო გლობალიზაციის თანამედროვე პროცესებთან და იმ გამოწვევებთან, რომლებიც მათ უქმნის ეროვნული სახელმწიფოს იდეოლოგიებსა და ინსტიტუტებს. გლობალიზაციის კვალდაკვალ იზრდება ხალხის მობილურობა ეროვნულ საზღვრებს მიღმა და ტრანსნაციონალური თემების კუთვნილების შესახებ ცნობიერება.²⁶ პოლიტიკურ სფეროში ებრაულ დიასპორას აქვს ძლიერი ძალაუფლება შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირზე ისრაელთან სტრატეგიული ურთიერთობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. მაშასადამე, დიასპორა, როგორც ტრანსნაციონალური თემები, გახდა მნიშვნელოვანი არასახელმწიფო აქტორები, ასევე გადამწყვეტი ფაქტორები საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში.

დასკვნა

ახლა, გლობალიზაციის ამ ეპოქაში, სადაც მანძილი შემცირებულია, სულ უფრო იზრდება დიასპორის როლი საერთაშორისო სისტემაში. საერთაშორისო მიგრაციამ აჩვენა უზარმაზარი ზრდა ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში და შესაბამისად, მათი როლი იზრდება საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა ასპექტებში. დიასპორა ინარჩუნებს ფინანსურ და პოლიტიკურ ქსელებს სამშობლოსა და ადგილსამყოფელ ქვეყანას შორის. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში დიასპორა გახდა საგარეო პოლიტიკის შემუშავების სასიცოცხლო ელემენტი. საგარეო პოლიტიკა არის პოლიტიკური ურთიერთქმედება სახელმწიფოებს შორის, რომელიც არის რთული და დინამიური, როდესაც სახელმწიფო როლი განიხილება, როგორც ურთიერთობის გაგრძელება სხვა სახელმწიფოებრივ და არასახელმწიფო აქტორებთან საკუთარი იურისდიქციის ფარგლებს გარეთ. საგარეო პოლიტიკა არის დინამიური და ყოვლისმომცველი,

²⁵ Rai, Sarita (2015), the Role of Indian Diaspora in India-Myanmar Relations, M.Phil. Dissertation, Gangtok: Sikkim University.

²⁶ Diaspora and Foreign Policy: A Global Perspective'' - Dr. Nabin Kumar Khara, International Journal of Political Science (IJPS).

რომელიც ემყარება ცოდნას და გამოცდილებას სხვა ქვეყნებთან სამთავრობო ურთიერთობების გასაძლიერებლად.

დიასპორის ძალა, გავლენა მოახდინოს როგორც სამინაო, ისე მასპინძელი ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზე, აყალიბებს მათ იდენტურობას გლობალურ პლატფორმაზე. ის ქმნის გლობალურ სივრცეს, სადაც შესაძლებელია ამ ურთიერთკავშირის დამყარება. შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი შედეგების მოლოდინი შეიძლება იყოს დიასპორას თავისი მნიშვნელობის მინიჭებით არა მხოლოდ როგორც შედარებითი სოციალური ან ისტორიული მოვლენა, არამედ როგორც პოტენციური რესურსი, რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული პოლიტიკის სტრუქტურებში. დიასპორა წარმოადგენს გეოგრაფიული მდგომარეობის ალტერნატივას, კულტურულ იდენტობასა და პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის რთული და კონფლიქტური ურთიერთობებისათვის საჭირო აქტორს.

დასასრულს, თანამედროვე მსოფლიოში საგარეო პოლიტიკა უფრო და უფრო რთული გახდა მისი სტრატეგიული ელემენტების, პოლიტიკური გავლენის და უზარმაზარი ეკონომიკური შინაარსის გამო. მისი დადებითი ხარისხი აძლიერებს მის უნარს განავითაროს მრავალგანზომილებიანი საქმეები. საგარეო პოლიტიკა არის ჩართულობის ინსტრუმენტი; ჩართულობა მეზობლებთან, მსოფლიო ძალებთან, მსოფლიოს რაც შეიძლება მეტ ქვეყანასთან ურთიერთობა, პოლიტიკური, ეკონომიკური, უსაფრთხოების მიზნების გამო. ამრიგად, საგარეო პოლიტიკის არსებობა უზრუნველყოფილია საერთაშორისო სფეროში სუვერენული სახელმწიფოების გავრცელებამდე. დიასპორა გახდა ძალიან მნიშვნელოვანი საგანი ნაციონალური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის დისკურსში და ის ასევე გადამწყვეტ როლს ასრულებს ეროვნულ სახელმწიფოებს შორის ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცებაში. დღეს დიასპორის შესწავლა წარმოადგენს მზარდ ინტელექტუალურ ინდუსტრიას, რაც ზრდის დიასპორის მნიშვნელობის აღიარებას საერთაშორისო საქმეებში. დიასპორის თეორიზაცია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებში, როგორცაა რეალიზმი, ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი, კონსტრუქტივიზმი და პოსტ-კოლონიალიზმი, რომელიც ყურადღებას უთმობს დიასპორის პოტენციალს მის თეორიულ პრინციპებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვლევის ანგარიში: „რუსეთის ქართული დიასპორა და ქართულ-რუსული ურთიერთობები“- მ.გაჩეჩილაძე, თბილისი, 2016.
2. Bhargava, Kant et al. (2008), “Building Bridges: A Case Study on The Role of the Indian Diaspora in Canada”, [Online: web] Accessed 15 May 2019, URL: <https://www.researchgate.net/publication/265245184>.
3. Diaspora and Foreign Policy: A Global Perspective” - Dr. Nabin Kumar Khara, International Journal of Political Science (IJPS).
4. Robin Cohen; „Global Diasporas An Introduction“; second edition; publisher: “Routledge taylor and francis group London and New-york” 1-2pp. იხ: [http://prodiasporaromana.org/wp-content/uploads/2014/01/Cohen-2008-Global-Diasporas-An-Introduction2n-Bookos.org .pdf](http://prodiasporaromana.org/wp-content/uploads/2014/01/Cohen-2008-Global-Diasporas-An-Introduction2n-Bookos.org.pdf)
5. Shain, Yossi and Aharon Barth (2003), “Diasporas and International Relations Theory”, International Organization Foundation, 57 (3): 449-479.
6. „ეკონომიკური უსაფრთხოება, თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“ - ბესიკ ალადაშვილი, გვ.33, თბილისი 2011.
7. Eric Guichard, “Why and how diaspora capital can contribute to Africa’s development,” May 10, 2015; ix: <https://www.homestrings.com/news-and-analysis/2015/may/10/why-and-how-diaspora-capital-can-contribute-to-africas-development/#.VqHmVIV97IU>
8. Ricardo Hausmann, “The Diaspora Goldmine” “Project syndicate”, JUN 25, 2015. იხ.: <http://www.project-syndicate.org/commentary/remittances-not-only-benefit-to-homeland-economies-by-ricardo-hausmann-2015-06>
9. Cross-cultural trade in world history, Philip D. Curtin, Cambridge University Press. ix.: <http://catdir.loc.gov/catdir/samples/cam034/83023202.pdf>
10. Mahalingam, M. (October 21, 2013), “India’s Diaspora Policy and Foreign Policy: An Overview”, [Online: web] Accessed 20 August 2019, URL: <http://grfdt.com/PublicationDetails.aspx?Type=Articles& TabId=30>.
11. Rai, Sarita (2015), the Role of Indian Diaspora in India-Myanmar Relations, M.Phil. Dissertation, Gangtok: Sikkim University
12. Varadarajan, Latha (2010), the Domestic Abroad Diasporas in International Relations, New York: Oxford University Press.
13. Vertovec, Steven (1999), “Three Meanings of „Diaspora“, Exemplified among South Asian Religions”, 7 (2): 1-37, Oxfordshire.

**მიგრაციისა და ინტეგრაციის გამომწვევების სათავეებთან საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკაში**

ირაკლი ლეონიძე

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი,
სამაგისტრო პროგრამა, კერძო სამართალი*

ანოტაცია

ავტონომიური მმართველობის მქონე სასაზღვრო ტერიტორიების ადმინისტრაციული მართვის კონსტიტუციური დღის წესრიგი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რომლის პრობლემური ხასიათი დღესდღეობით, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის გამოწვევებს: მიგრაციისა და ინტეგრაციის საკითხებს ეხმიანება. 1921 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევიდან 100 წლის შემდეგ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, ხოლო მიგრაცია და ინტეგრაცია სახელმწიფო ინსტიტუციების ფუნქციონირების გამოწვევაა.

რესპუბლიკის დაარსების პირველივე ეტაპზე იგრძნობოდა ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების ზოგადი მნიშვნელობა. რთულ პოლიტიკურ გარემოში კონსტიტუციური რეგულირებით რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივი მმართველობის სამართლებრივი სიცხადის შექმნა ავტონომიური მმართველობით უფლებამოსილ ტერიტორიულ ერთეულებს რესპუბლიკასთან დაკავშირების კონსტიტუციურ, საკანონმდებლო და პოლიტიკურ საფუძვლებს მიანიჭებდა, ისე რომ სხვა სახელმწიფოთა ინტერესი რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობაზე უარყოფითად არ ასახულიყო. მიგრაციის საკითხი იყო და დღემდე არის კომპლექსური პრობლემა, რომელიც კონკრეტულ ტერიტორიაზე სახელმწიფოს მიერ ეფექტური სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობას ეხმიანება.

1921 წლიდან დღემდე სახელმწიფო და სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრები შეიცვალა, თუმცა ავტონომიური მმართველობის სისტემა დღემდე მოქმედებს, მიუხედავად სისტემის ადრესატი ტერიტორიების სრული ან ნაწილობრივი, მათ შორის რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ცვლილებისა. კვლევის მიზანია ავტონომიური მმართველობის გამოცდილების მიმოხილვა საქართველოში 1918-

1921 წლებში: სამართლებრივი შეფასება, თუ როგორ განვითარდა ავტონომიურ ერთეულთა ფუნქციონირება და რა ხარვეზები აღმოაჩნდა მმართველობით სისტემას მიგრაციისა და ინტეგრაციის რეგულირების საკითხისთვის.

რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-11 თავი ადგენდა რესპუბლიკის ცალკეულ ტერიტორიებზე ავტონომიური მმართველობის განწესების საკითხს. მე-11 თავი მოიცავდა ორ ნორმას. 107-ე მუხლის დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს: აფხაზეთს (სოხუმის ოლქს), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქს), ენიჭებოდა ადგილობრივ ავტონომიური მმართველობა. საინტერესოა, რომ კონსტიტუციის 107-ე მუხლის დისპოზიცია ადგენდა საინფორმაციო მნიშვნელობის იურიდიულ განსაზღვრებებს რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის. კონკრეტულად, ავტონომიური მმართველობის აღრესატი ტერიტორიული ერთეულებისთვის, რომელთა ტერიტორიული საზღვრები და რესპუბლიკის ტერიტორიაზე გეოგრაფიული განფენა მასშტაბური იყო, ხოლო საკანონმდებლო რეგულირება მიზნობრივი. ამ ტერიტორიებზე მიგრაციის კონტროლი სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო რესპუბლიკისთვის.

ადგილობრივ დონეზე ავტონომიური მმართველობის უფლების გადაცემა რესპუბლიკის მთავრობის კეთილ ნებასთან ერთად წარსული იმპერიალისტური რეჟიმის უარყოფითი გამოცდილებისა და შესაძლო საფრთხეების განეიტრალებას ემსახურებოდა, მათ შორის მიგრაციისა და ინტეგრაციის საკითხის აღქმას. ავტონომიური მმართველობის უფლებამოსილების გადაცემითა და სახელისუფლებო ძალაუფლების დეცენტრალიზაციით რესპუბლიკის მთავრობა ტერიტორიული მთლიანობის ცენტრალიზაციისა და შიდა მიგრაციის გარკვეული ნიშნულის მიღწევას ისახავდა მიზნად.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მიგრაცია და ინტეგრაცია, ავტონომიური ერთეული, მთავარი გამოწვევა, სამართლის ისტორია.

შესავალი

2021 წელი მრავალმნიშვნელოვანია ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. ასი წელი შესრულდა საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღებიდან და ამდენივე რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაკარგვიდან. მხოლოდ წელთა

სიმრავლე როდია საინტერესო, საგულისხმოა ის გამოცდილება და საშუალებები, რაც ამ ასი წლის განმავლობაში პრობლემურ საკითხთა დასარეგულირებლად შემუშავდა.

პირველი რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური, სოციალური და სამართლებრივი პრობლემები - მოუგვარებელი და შეუქცევადი საწყისით დღევანდელი გამოწვევაა, მათ შორისაა მიგრაციისა და ინტეგრაციის საკითხი. რესპუბლიკის მთავრობა სამართალგანვითარების კონსტიტუციური მნიშვნელობის დადგენით ცდილობდა პრევენციული ზომების გატარებას, თუმცა არასრული სამი წელი არასაკმარისი აღმოჩნდა პრობლემების განსახილველად.

აუცილებელია შეფასდეს მიგრაციისა და ინტეგრაციის საწყისები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რადგან სწორედ რესპუბლიკის დაცემის შემდეგ განხორციელებულმა ანტიკონსტიტუციურმა ღონისძიებებმა განაპირობა სუვერენული ტერიტორიის განუყოფლობის²⁷ და მოქალაქეობრივი ერთიანობის იდეის აღმოფხვრა.²⁸

1. კონსტიტუციური ჩანაწერი ავტონომიური მმართველობის შესახებ და მიგრაციის პრობლემა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის მე-11 თავი მოიცავდა ორ ნორმას: 107-ე და 108-ე მუხლს. 107-ე მუხლის დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს ენიჭებოდა ადგილობრივი ავტონომიური მმართველობა. ხოლო 108-ე მუხლი აყალიბებდა მსგავსი მოწესრიგების ვიწრო საკანონმდებლო ხასიათს.²⁹ აქვე უნდა აღინიშნოს რომ ამ ტერიტორიებზე, მე-19 და მე-20 საუკუნის დასაწყისიდან შეინიშნებოდა ქვეყნის საზღვრებს გარეთ მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი - მუჰაჯირობის სხვადასხვა დროითი მონაკვეთის ისტორიული პროცესები, რომელიც რესპუბლიკის სამომავლო განვითარების საკითხზე შესაძლოა უარყოფითად ასახულიყო. აგრეთვე, საომარი მდგომარეობის გამო დღის წესრიგში იდგა შიდა მიგრაციის საკითხი საომარ

²⁷ ჰოვანესიანი, რ. გ. (2018). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: დაუსრულებელი სიმფონია, წიგნში მ. ერქომაიშვილის რედაქტორობით, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ (გვ. 5), თბილისი.

²⁸ ავტორის შენიშვნა: ავტონომიურ ერთეულებში იგულისხმება აფხაზეთი (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველო (ბათუმის ოლქი) და ზაქათალა (ზაქათალის ოქლი).

²⁹ ჯანელიძე, ო. (2018). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები (გვ. 158). თბილისი.

მდგომარეობაში მყოფი ან უცხო სახელმწიფოს არმიის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის გადაადგილების თვალსაზრისით. მათ შორის მეზობელი სახელმწიფოებიდან ლტოლვილი პირების ტრანზიტული გატარების ან სასაზღვრო ტერიტორიაზე მიღების უზრუნველყოფით.

რესპუბლიკის კონსტიტუციის 108-ე მუხლის თანახმად, 107-ე მუხლში დასახელებულ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი შემუშავებულ იქნებოდა ცალკე კანონით.³⁰ ცალსახაა, რომ მე-11 თავით განსაზღვრული ავტონომიური მმართველობა მხოლოდ ორ ნორმას ვერ დაეყრდნობოდა და მას დასჭირდებოდა ავტონომიური მმართველობის მომწესრიგებელი კონკრეტული ნორმები, რომელთა შემუშავება ასევე გარკვეულ დროსა და კანონშემოქმედებით საქმიანობას საჭიროებდა.

არსებობს მოსაზრება რომ 1918-1921 წლებში რესპუბლიკის ტერიტორია არ მოიცავდა კონსტიტუციის 107-ე მუხლში დასახელებულ სამივე ტერიტორიულ ერთეულს და ადმინისტრაციულ დონეზე მართვის სურვილი ამ სამი წლის განმავლობაში წარმოადგენდა დავის საგანს მეზობელ სახელმწიფოებთან. ზოგადი თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს დასახელებულ ტერიტორიათა სადავო ხასიათი, რაც უცხო სახელმწიფოთა ტერიტორიული დაინტერესებიდან მომდინარეობდა, ხოლო რესპუბლიკის არმია ცდილობდა ტერიტორიული მთლიანობის დაცვას.³¹ რაც შეეხება ტერიტორიების უშუალო მართვის შესაძლებლობას ეს საკითხი სანდო ისტორიულ წყაროთა გამოკვლევით უნდა დადგინდეს, თუმცა რესპუბლიკის კონსტიტუციაში სამივე ტერიტორიული ერთეულის დასახელება საკმარისი საფუძველია ამ ტერიტორიებზე პრაქტიკული დონის ძიებების განსახორციელებლად.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიგრაციის განახლების პრობლემა 1914 წლიდან, პირველი მსოფლიო ომის დაწყებასა და კავკასიის ფრონტზე სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობას უკავშირდება, რა დროსაც 1918 წელს ყალიბდება პირველი რესპუბლიკა. რუსეთის იმპერიის დაცემის შემდეგ მიგრაციული ფონი კვლავ შენარჩუნდა და რამდენიმე მიმართულებით

³⁰ შენიშვნა: იგულისხმება ორგანული კანონი. აქვე, უნდა აღინიშნოს რომ რესპუბლიკის სამართალგანვითარების საკითხი მნიშვნელოვან პერსპექტივას ქმნიდა მიგრაციის გამომწვევი პროცესებისა და ინტეგრაციის საკითხის შესაფასებლად.

³¹ ჯონსი, ს. (2018). დემოკრატიის ფორმირება საქართველოში, წიგნში მ. ერქომაიშვილის რედაქტორობით, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ (გვ. 48-49), თბილისი.

განვითარდა, როგორც შიდა ისე საზღვრებს გარეთ გადაადგილების თვალსაზრისით. მიგრაციის კონტროლის მექანიზმი თითქმის არ არსებობდა, რადგან სამხრეთ კავკასია დაუსრულებელი ომების პროცესში აღმოჩნდა, ხოლო სამოკავშირეო ხელშეკრულებები არამდგრად ხასიათს ატარებდა. რთულმა საგარეო პოლიტიკურმა და საშინაო ფაქტორმა განაპირობა სამხრეთ კავკასიაში წარმოქმნილი სახელმწიფოების „მცირეწლოვნება“. მიგრაციისა და ინტეგრაციის საკითხი ამ შემთხვევაში საერთო სირთულის შემადგენელ საკითხს წარმოადგენდა, რომელიც საომარი მდგომარეობისა და საშინაო პრობლემათა გადაწყვეტის საკითხს დაუკავშირდა.

2. ავტონომიური მმართველობის ადრესატი ადმინისტრაციული ერთეულები და იქ მცხოვრები მოსახლეობა

რესპუბლიკის კონსტიტუცია ასახელებდა ავტონომიური მმართველობის სამ სუბიექტს, რომელთა ისტორიული და გეოგრაფიული მახასიათებლები მოცულობით ტერიტორიულ საზღვრებს მოიცავდა, სადაც ფიგურირებდა სასაზღვრო რეგიონის დანიშნულება და მეზობელ სახელმწიფოებთან სადემარკაციო ღონისძიებების განხორციელების საკითხი. გასათვალისწინებელია აღნიშნულ ტერიტორიულ ერთეულთა რესპუბლიკის საზღვრებში აღმოჩენის ისტორია, მოსახლეობის შემადგენლობა, სიმჭიდროვე და სამწლიანი ფუნქციონირების განმავლობაში რესპუბლიკასთან მათი მიჯაჭვულობა. ასევე, წარსულში ამ ტერიტორიებზე მიგრაციის ზოგადი ფონი და პროცესის განახლების რისკი. პოლიტიკური, სოციალური, ფინანსურ-ეკონომიკური და კულტურული განსხვავებები რესპუბლიკის კონსტიტუციით თანაბრად უნდა დარეგულირებულიყო. მიზანი საკმაოდ პრობლემურ საკითხებს უკავშირდებოდა, რომლის გადაწყვეტის შესაძლებლობა დროის ამ მონაკვეთში რესპუბლიკას არ შესწევდა.

სამუსლიმანო საქართველოს შემთხვევაში ეს შესაძლოა ყოფილიყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისა და ამავე ტერიტორიის მუჰაჯირების, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლის სუბიექტებად მიჩნევის საკითხი.³² გადაადგილების

³² ანდერსენი, ე., სამუსლიმანო საქართველო 1918-1921 წლებში და პირველი რესპუბლიკის სამხრეთ -დასავლეთ საზღვრის ფორმირება, წიგნში მ. ერქომაიშვილის რედაქტორობით,

უზრუნველყოფა მათთვის ვისაც სურდა მეზობელ სახელმწიფოში გადასახლებულ ნათესავებთან დაკავშირება.

აფხაზეთის (სოხუმის ოლქის) შემთხვევაში რესპუბლიკის ფარგლებში ფუნქციონირების პოლიტიკური და სამართლებრივი გარანტიების ძიება.³³ თავისუფლების გარკვეული ნიშნულის მიღწევა, რასაც თან სდევდა ცენტრისგან დაშორების საფრთხე. ასევე, შიდა და გარე მიგრაციული ფონის ზრდა.

ზაქათალის ოლქში ადმინისტრაციული მართვის პრაქტიკული მექანიზმის ძიება და ტერიტორიული კონტროლის განხორციელების აუცილებლობა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანი იყო რთული პოლიტიკური მდგომარეობის გადაწყვეტა რესპუბლიკის ინტერესის სასიკეთოდ. შესაბამისად, ავტონომიური მმართველობის მექანიზმის დასაბამი მიემართებოდა ტერიტორიული მთლიანობის ობიექტურ განფენას და დაცვას უცხო სახელმწიფოთა ძალმომრეობითი მოქმედებებისგან.

1921 წლის იანვრისთვის რესპუბლიკის ტერიტორია დაახლოებით 107 600 კმ²-ს შეადგენდა, ხოლო დღესდღეობით საქართველოს სუვერენული ტერიტორიის ფართობი 69 700 კმ²-ს შეადგენს. პირველი რესპუბლიკის ტერიტორიის 35%-ის დანაკარგით დღესდღეობით საქართველოს სუვერენული ტერიტორია 37 900 კმ²-ით ნაკლებია. ამიტომ, ცალსახაა ის მიზანი, თუ რას გულისხმობდა ავტონომიური მმართველობის შემოღება რესპუბლიკაში, რათა ტერიტორიული ინტერესი სახელმწიფოს საზიანოდ არ გადაწყვეტილიყო.

ავტონომიურ ერთეულთა დაშორება ცენტრისტულ პროცესთან უკვე წარმოადგენდა გარკვეულ პრობლემას. ერთი მხრივ, იმიტომ რომ ავტონომიური ერთეულის ფლობა გარკვეული წლის მანძილზე არ ხორციელდებოდა რესპუბლიკის მიერ. მეორე მხრივ, შემდგომ წლებში რესპუბლიკის მმართველობაში აღმოჩენით ამ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა სადავო ხასიათის მქონე განსაზღვრებები, როდესაც საარჩევნო პროცესის მიმდინარეობა პოლიტიკური დაპირისპირების საწყისს წარმოადგენდა. შესაბამისად, ავტონომიური მმართველობის უფლებამოსილების

საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ (გვ. 290-291), თბილისი.

³³ ჯანელიძე, ო. (2018). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები (გვ. 101). თბილისი.

დელეგირებით რესპუბლიკის მთავრობას სურდა, ინიციატივა და კავშირ-ურთიერთობა ავტონომიური ერთეულების ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ განხორციელებულიყო და არა პირიქით. ინტეგრაციის საკითხი ავტონომიური მმართველობის შემოღებით უნდა გადაწყვეტილიყო. მოქალაქეებს მმართველობით საქმიანობაში მონაწილეობის შესაძლებლობა მიენიჭათ და პრობლემათა გადაწყვეტაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

ამ მიზნით გარკვეული შედეგების დადგენისთვის ზოგადად არჩევნებისა და კონკრეტულად 1919 წლის საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები, არ კარგავს თავის აქტუალობას. მოსახლეობის ნდობის მოპოვება და განვითარების პერსპექტივის დასახვა აუცილებელ საკითხს წარმოადგენდა მიგრაციული ფონის შესამსუბუქებლად.

წარსულში, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებად წოდებული საქართველოს ისტორიული ტერიტორია, 1921 წლისთვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიად ჩამოყალიბდა, ამიტომ შესაძლოა არსებობდეს კითხვები იმის შესახებ თუ რატომ შემოიღო მთავრობამ ავტონომიური მმართველობა ქვეყნის გარკვეულ ტერიტორიაზე, უშუალოდ კონსტიტუციის დონეზე, როდესაც შესაძლებელი იყო ამ ტერიტორიების რესპუბლიკის არმიის მიერ დაკავება და ადმინისტრაციული მართვა. ნამდვილად, საკითხავია, გაამწვავა თუ არა ამ შემთხვევამ საერთო პოლიტიკური ფონი, თუმცა რესპუბლიკის არმიის შესაძლებლობები გადამეტებულად არ უნდა შევაფასოთ.

ცალსახაა თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო პირველ წლებში ავტონომიური მმართველობის ერთეულების ფაქტობრივი შენარჩუნება და ამ ტერიტორიებზე ადმინისტრაციული მმართველობის დამყარება, იქამდე, სანამ რესპუბლიკა ერთა ლიგაში გაწევრიანდებოდა ან უფრო მყარ სამართლებრივ გარანტიას მიიღებდა მთლიანობისთვის.

3. ავტონომიური მმართველობის ამოქმედების აუცილებლობა და მიზნები

ავტონომიური მმართველობით უფლებამოსილ ტერიტორიულ ერთეულთა ფუნქციონირებას არა მხოლოდ ადგილობრივ დონეზე გარკვეული მნიშვნელობის მქონე პოლიტიკური მიზნები, არამედ საზოგადო დანიშნულება გააჩნდა, რომელიც რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას ისახავდა მიზნად, რათა

შემდგომში სხვადასხვა მიზეზთა გამო არ დამდგარიყო მათი მიტაცებისა თუ ჩამოცილების საფრთხე. იქნებოდა ეს არაკანონიერი რეფერენდუმი თუ - ძალმომრეობითი აგრესიის აქტი.

რესპუბლიკამ არსებობა სამ წელიწადში შეწყვიტა და ის მიზნები, რის მიღწევასაც ისახავდა მოქმედი რეგულირება პრაქტიკულად შეუსრულებელი აღმოჩნდა. კონსტიტუციამ ვერ შეძლო რეალური ამოქმედება და ის მალევე იურიდიული ძალის არმქონე ისტორიულ დოკუმენტად გადაიქცა, ხოლო რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი უცხო სახელმწიფოთა რადიკალური ღონისძიებების შედეგად სრულიად შეიცვალა. ძალისმიერმა და არაკონსტიტუციურმა ცვლილებებმა წარმოშვა ახალი მიგრაციული ნაკადები და ინტეგრაციის გამოწვევები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ სხვადასხვა სახელმწიფოთა დაინტერესების მიზნები, ხშირად, რესპუბლიკის ტერიტორიული განფენის მასშტაბს რადიკალურად ცვლიდა.³⁴ მნიშვნელოვანი იყო ავტონომიური მმართველობის შემოღება, რომ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში არ შექმნილიყო არაკანონიერი რეფერენდუმისა თუ სხვა არამიზნობრივი გამოკითხვების ჩატარების შესაძლებლობები (ეს რისკები რესპუბლიკის შემდგომი რეალობის ნაწილად იქცა). მიუხედავად ამისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სამი წლის განმავლობაში შეძლო რესპუბლიკის საზღვრებში სახელმწიფო ხელისუფლების დამყარება და რესპუბლიკის მოქალაქეთა კონსოლიდაცია ეროვნული, პოლიტიკური და სოციალური ნიშნით.

აუცილებლობისა და მიზნის უსუსურობა წარმოაჩინა რესპუბლიკის მთავრობის უუნარობამ შეეჩერებინათ წითელი არმიის წინსვლა საერთაშორისო დონეზე ან წინასწარ ეზრუნათ არსებული საფრთხეების გარკვევასა და საომარი დაპირისპირების პრევენციაზე. სწორედ ამ საკითხების გაუთვალისწინებლობის შედეგად რესპუბლიკის მთავრობამ მიგრაციისა და ინტეგრაციის საკითხი არასრული სამი წლის მმართველობით გამიჯნა ახალი რეალობისგან, რომელშიც რესპუბლიკის კონსტიტუციის მოქმედება ჩაანაცვლა 1922 წლის საბჭოთა კონსტიტუციამ.

³⁴ ანდერსენი, ე., სამუსლიმანო საქართველო 1918-1921 წლებში და პირველი რესპუბლიკის სამხრეთ -დასავლეთ საზღვრის ფორმირება, წიგნში მ. ერქომაიშვილის რედაქტორობით, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ (გვ.293-296), თბილისი.

4. მიგრაციისა და ინტეგრაციის პრობლემათა გადაწყვეტის დღის წესრიგი

1921 წლის 21 თებერვალს, 100 წლის წინ, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, საქართველოს პირველი კონსტიტუცია მიიღო. ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში პირველი კონსტიტუცია რესპუბლიკის მნიშვნელოვანი ისტორიულ-სამართლებრივი დოკუმენტია. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ რამდენიმე დღე იმოქმედა, შეძლო სამართლისა და კანონის ფორმალური სრულყოფა საქართველოში. მე-11 წითელი არმიის საქართველოში შემოჭრამ და რესპუბლიკის ოკუპაციამ სახელმწიფოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოიწვია. საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების 1921 წლის გამოცემა, „საქართველო ბოლშევიკური არმიის ბატონობის ქვეშ“, ასახავს იმ მიგრაციულ ნაკადებს, რომელიც წარმოშვა წითელი არმიის მოქმედებებმა რესპუბლიკაში.³⁵

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და მოქალაქეების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის ოკუპაციის შემდეგ არ დასრულებულა. შესაძლოა ითქვას, რომ ავტონომიური მმართველობის კონსტიტუციური მოდელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ ამოქმედებულა, თუმცა არსებობდა მთელი რიგი მოსაზრებები, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ამავე კონსტიტუციის თანახმად ავტონომიურ ერთეულთა ადგილობრივი მმართველობა და ავტონომიური მმართველობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის ჩამოყალიბების პროცესი.

საკითხი, თუ როგორ ფუნქციონირებდა ავტონომიური მმართველობის პირველწყარო 1918-1921 წლებში მოიცავს შერეული და გარდამავალი მოდელის არსებობას, რომლის მიზანს არა სამართლებრივ საკითხთა გადაწყვეტა, არამედ პოლიტიკური მიზანშეწონილობისა და სტრატეგიული გამოწვევების განეიტრალების მნიშვნელობა განაპირობებდა. 1921 წლის კონსტიტუციაში ავტონომიური მმართველობის მოწესრიგება კი საკითხის სამართლებრივი რეგულირების დადგენას მოასწავებდა, რომელიც ვერ აღსრულდა რესპუბლიკის ოკუპაციის გამო.

მიუხედავად ამისა, ეს არ გულისხმობს 1918-1921 წლებში ადმინისტრაციული დაყოფის არარსებობას ან ავტონომიური მმართველობის ადრესატ ტერიტორიულ ერთეულთა უგულებელყოფას რესპუბლიკის მთავრობის მმართველობითი

³⁵ იხ. ნოე ჟორდანას ინსტიტუტის გამოცემა (2018). პარიზი-თბილისი.

დანაწესიდან. აგრეთვე, საგულისხმოა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1918 წლის 2 აგვისტოს რესპუბლიკური კანონით საკანონმდებლო ორგანომ დაადგინა რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სამტატო გადანაწილება, შემდგომში – სახელმწიფოს ადმინისტრაციული ერთეულები.

ავტონომიური მმართველობის ფუნქციონირება 1918-1921 წლებში მრავალი სირთულით ხასიათდებოდა. ავტონომიური მმართველობის შემოღებას ცალკეულ ტერიტორიათა მიმართ მათი რესპუბლიკასთან შეერთებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ავტონომიურ ერთეულთა საერთო ჯამური ფართობი რესპუბლიკის სხვა ორი გუბერნიის ტერიტორიასთან შედარებით საკმაოდ მოცულობითი იყო, თუმცა მათი სადავო ხასიათი საკითხს განსაკუთრებულ სიმწვავეს სძენდა. მაგალითად, ზაქათალას ოლქი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჯერ აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკას შემდგომში აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის დავის საგანს წარმოადგენდა.³⁶

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა რესპუბლიკის ტერიტორიისა და მოქალაქეებისთვის დესტრუქციული ძალის მქონე აღმოჩნდა. რესპუბლიკის დაცემით განადგურდა თავისუფლებისა და განვითარების კონსტიტუციური იდეა.

ბოლშევიკური არმიის ბატონობის პირობებში, რევკომის ძალაუფლება ბოლშევიკური ცენტრიდან იმართებოდა. შესაბამისად, ადგილობრივ დონეზე განადგურდა და საფუძველშივე მოისპო ეროვნული ინტერესის გამოხატვის ნებისმიერი ფორმა. კონსტიტუციის გაუქმებას, დამფუძნებელი კრების დათხოვნასა და რესპუბლიკის მიერ განხორციელებული რეფორმების უგულებელყოფას თან ახლდა ტერიტორიული მთლიანობის მაქსიმალური დანაწევრების აუცილებლობა. ავტონომიური მმართველობის ფუნქციონირება ბოლშევიკური არმიის ბატონობის პირველივე წლებში აღიარებულ იქნა როგორც რესპუბლიკის ტერიტორიის შიდა დანაწევრების შესაძლებლობა, რომელიც გარკვეულ მიზეზთა გამო რეალურ და იმ დროისთვის აუცილებლობის სახეს იძენდა.³⁷

ასევე, ეროვნული ინტერესების დაგმობამ და ტერიტორიული სუვერენიტეტის ხელყოფამ შეცვალა რესპუბლიკის ფარგლებში არსებული ავტონომიური

³⁶ კობახიძე, ბ. (2015). საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე (სადისერტაციო ნაშრომი). თბილისი.

³⁷ მაცაბერიძე, მ. (2019). საქართველოს პოლიტიკური სისტემა (გვ. 160-161). თბილისი.

ერთეულების კუთვლინება — ზაქათალას (ზაქათალის ოლქის) შემთხვევაში და სამუსლიმანო საქართველოს საზღვრები. ბოლშევიკური არმის ბატონობიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე უფრო და უფრო გაითელა ეროვნული ინტერესი. ტერიტორიული ცვლილებების შემდგომ რესპუბლიკის ტერიტორია შეადგენდა 35%-ით ნაკლებს, რასაც თან ახლდა დარჩენილი სივრცის დანაწევრება ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის შემადგენლობით.³⁸

აზრს მოკლებული და პოლიტიკურად მოტივირებული საფუძვლების გათვალისწინებით ხდებოდა მსგავსი სტატუსის მქონე ავტონომიური მმართველობის ჩამოყალიბება, რომლის მიზანს არა ცენტრის გაძლიერება, არამედ ადგილობრივი ცენტრის შესუსტება წარმოადგენდა. ერთიანი თანასწორობის იდეაზე დაფუძნებული საბჭოთა იდეოლოგია სპობდა ყოველივე ეროვნულსა და ცენტრალურს ადგილობრივ დონეზე. დაიწყო ფსევდო-ავტონომიური ერთეულების წარმოშობა, რომელთა ტერიტორიული საზღვრები მუდმივად იცვლებოდა. აღნიშნულს ხელი შეუწყო 1922 წლიდან ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აღმოჩენამ. ამ წლებში ავტონომიურ ერთეულთა სადავო ხასიათი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზიანოდ გადაწყდა. დაიკარგა ზაქათალა და შეიცვალა სამუსლიმანო საქართველოს საზღვრები.

გამძაფრდა არამიზნობრივი დეცენტრალიზაციის მიმართულება აფხაზეთში. ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის დასახელებით დაიწყო რესპუბლიკის ტერიტორიის დანაწევრება. დროთა განმავლობაში ავტონომიური მმართველობის დღის წესრიგი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისთვის თავსმოხვეული დანაწესიდან პოლიტიკურ რეალობად ჩამოყალიბდა. სამართლებრივი თვალსაზრისით, საბჭოთა კონსტიტუციური დანაწესი, მართალია, ასაზრდოებდა ავტონომიური მმართველობის მნიშვნელობას, თუმცა მას უფრო მკვეთრი პოლიტიკური მიზნები გააჩნდა, ვიდრე სამართლებრივი კოლიზიის მქონე იდეა. შესაბამისად, საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული ავტონომიური მმართველობის პოლიტიკურ-სამართლებრივი რეალობა დამოუკიდებელი საქართველოს მძიმე მემკვიდრეობად გადაიქცა.

³⁸ ლეკიაშვილი, თ. (2018) აფხაზეთი 1918-1921 წლებში (სადისერტაციო ნაშრომი). თბილისი.

ავტონომიური მმართველობის ფუნქციონირება 1991 წლიდან დღემდე ეფუძნება საბჭოთა ნარატივს.³⁹ ისევ და ისევ პრობლემას წარმოადგენს ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე პოლიტიკური და კონსტიტუციური ძალაუფლების განხორციელება. სახელმწიფოს გამოწვევაა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. სეპარატისტული ძალების არსებობა და საოკუპაციო რეჟიმი უგულებელყოფს ამ უკანასკნელთა მიერ ოკუპირებული ტერიტორიებისთვის რაიმე ფორმის ავტონომიური დეცენტრალიზაციის კანონიერი უფლებამოსილების მინიჭებას ან მათ ჩართვას სახელმწიფოს მმართველობით ღონისძიებებში.

2021 წლისთვის საქართველოს 20% ოკუპირებულია და ამ ტერიტორიებზე დამყარებულია საოკუპაციო რეჟიმი.⁴⁰ ავტონომიური მმართველობის ასწლიანი გამოცდილების შეფასებისას ამკარაა, რომ სახელმწიფოს ტერიტორია მუდმივად იმყოფება ძალმომრეობითი მოქმედებებისა და უცხო სახელმწიფოს აგრესიის განხორციელების საფრთხის წინაშე, სადაც ავტონომიური მმართველობის კონსტიტუციური მოდელი სამართლებრივი თვალსაზრისით უმოქმედოა.⁴¹ უმოქმედობა ადგილობრივ დონეზე განვითარების შეფერხებაში გამოიხატება.

5. წარსული დროების გამოცდილებასთან გაუცხოების საკითხისთვის

განსახილველი თემა, მიგრაციისა და ინტეგრაციის გამოწვევების სათავეებთან საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, წარმოადგენს წარსული დროების გამოცდილებას, რომლის მიმართ გაუცხოების საკითხმა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მრავალწლიან მდგომარეობამდე მიიყვანა. ყველა სხვა კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხთან ერთად უნდა განიხილებოდეს საკითხი, ისტორიული პროცესების გააზრების შესახებ, რაც არსით და ფორმით წარმოადგენდა მიგრაციის სხვადასხვა სახის გამოვლინებას. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების ტერიტორიებზე განხორციელებული გადაადგილებები უნდა შეფასდეს რაციონალური კვლევის ფარგლებში, რათა ჩამოყალიბდეს კონკრეტულ

³⁹ ჩიტაძე, ნ. (2011). საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების სამართლებრივი სტატუსი: წარსული, აწმყო, მომავალი (გვ. 31). თბილისი.

⁴⁰ მაცაბერიძე, მ. (2019). საქართველოს პოლიტიკური სისტემა (გვ. 330-331). თბილისი.

⁴¹ კუპრაშვილი, ჰ. (2011). რუსეთის კოლონიური პოლიტიკა და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი XIX საუკუნის პირველ ნახევარში (გვ. 7-9). თბილისი.

ტერიტორიულ არეალში მოსახლეობის განსახლებისა და ხანგრძლივი თანაცხოვრების გამოწვევები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძალადობრივი აღსასრული სწორედ იმ აზრის მიმანიშნებელია რომ სახელმწიფოს ტერიტორია გარე ძალის მიერ განიკარგა. ამ ფორმით გამოწვეული მიგრაცია და ინტეგრაცია კი კვლავ გარე ძალის პოლიტიკური ასპარეზის საკითხად გადაიქვა. მნიშვნელოვანია სწორად შეფასდეს მიგრაციისა და ინტეგრაციის საკითხები დღეს მოქმედ ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში. ამ საკითხების კვლევისთვის ისტორიული საწყისის გარკვევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

კონსტიტუციური მართლწესრიგის დადგენა სახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზე მრავალმხრივი თავისებურებებით ხასიათდება. ავტონომიური მმართველობის ასწლიანი გამოცდილება საქართველოში დროსა და სივრცეში გამონათული ეტაპებითა და ტერიტორიული დანაკარგებით ხასიათდება. სამართლებრივი რეგულირების მნიშვნელობა კი ხშირად უმოქმედოა პოლიტიკური აქტორების წინაშე, როგორცაა საოკუპაციო რეჟიმის არსებობა ავტონომიური ერთეულის ტერიტორიაზე. ზოგადად, აღნიშნული საკითხი სახელმწიფოსა და სამართლის გამოწვევაა, რომელიც პირდაპირპროპორციულად აისახება სახელმწიფოს მომავალ ხედვაზე - ტერიტორიული მოწყობის საკითხისათვის.

ისტორიული ევოლუციის განხილვა სამ ძირითად ეტაპს ეყრდნობა, კერძოდ: 1918 წლიდან 1921 წლამდე, 1921 წლიდან 1991 წლამდე და 1991 წლიდან დღემდე პერიოდებს. საკვლევია არეალის სიდიდე პრობლემათა განგრძობად ხასიათზე მიანიშნებს. შესაძლებელია ქვე-ჯგუფების ჩამოყალიბება კონკრეტული ნიშნულების საფუძველზე.

დასკვნა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ ჩამოყალიბებული ავტონომიური მმართველობის სისტემა არ უგულებელყოფდა მეზობელ სახელმწიფოებთან საზღვრების დადგენის აუცილებლობის საკითხს.

სახელმწიფოს საზღვრები ყალიბდებოდა სინამდვილისა და სამართლიანი მოთხოვნის საფუძველზე.⁴² სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ დადებითი წარმოდგენების ფორმირებით საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ჩამოაყალიბა რეალური ბაზისი შემდგომში ავტონომიური მმართველობის ფუნქციონირებისთვის, რაც ბოლშევიკური არმიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ განადგურდა.

მთავრობა აცნობიერებდა მეზობელ სახელმწიფოთა ძალმომრეობითი ინტერესების მოჭარბებას ავტონომიური მმართველობის მქონე ტერიტორიებთან დაკავშირებით.⁴³ შესაბამისად, რესპუბლიკის საზღვრების საერთაშორისო დონეზე დადგენისა და აღიარების საკითხს მთავრობის წარმომადგენლები აუცილებლობად მიიჩნევდნენ. რეგიონში არსებული პოლიტიკური დაძაბულობა კონსტიტუციური სამართლის ნორმის მოქმედების ტერიტორიულ არეალს საგრძნობლად ზღუდავდა, შემდგომში იძენდა ბუნდოვან ხასიათს ავტონომიური მმართველობის მქონე სასაზღვრო რაიონებში.

აუცილებელია, ისტორიული ნარატივის შესწავლა, რათა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მოქმედმა სახელმწიფოებმა და საოკუპაციო რეჟიმებმა ვერ შეძლონ თავიანთი შეხედულების ისტორიული საფუძვლით დასაბუთება და არასწორი ინტერპრეტაცია. განსაკუთრებით, გადაადგილების უზრუნველყოფისა და თვითგამორკვევის უფლების არასწორი განმარტების მაგალითზე.

2021 წელს, ავტონომიური მმართველობის ასწლიანი გამოცდილების შეფასებისას, ცხადად იკვეთება წარსული დროების დანაკარგისა და პოლიტიკურ-სამართლებრივი რეალობის გამოწვევები. სარეკომენდაციო თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შეფასდეს პირველი რესპუბლიკის ტერიტორიის საერთო ფართობი, სადემარკაციო ღონისძიებები და ნიშნულები, რათა თანამედროვე რეალობა წარსული დროების ჭეშმარიტებას დაეფუძნოს და არა არასწორ ინტერპრეტაციას წარსულის შესახებ.

⁴² ჯანელიძე, ო. (2018). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები (გვ. 316). თბილისი.

⁴³ ბერიძე, ჯ. (2019). საქართველო-თურქეთის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე (1992-2012 წწ.) (სადისერტაციო ნაშრომი). ბათუმი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანდერსენი, ე., სამუსლიმანო საქართველო 1918-1921 წლებში და პირველი რესპუბლიკის სამხრეთ -დასავლეთ საზღვრის ფორმირება, წიგნში მ. ერქომაიშვილის რედაქტორობით, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ, თბილისი.
2. ბერიძე, ჯ. (2019). საქართველო-თურქეთის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე (1992-2012 წწ.) (სადისერტაციო ნაშრომი). ბათუმი.
3. კობახიძე, ბ. (2015). საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე (სადისერტაციო ნაშრომი). თბილისი.
4. კუპრაშვილი, ჰ. (2011). რუსეთის კოლონიური პოლიტიკა და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი XIX საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისი.
5. ლეკიაშვილი, თ. (2018) აფხაზეთი 1918-1921 წლებში (სადისერტაციო ნაშრომი). თბილისი.
6. მაცაბერიძე, მ. (2019). საქართველოს პოლიტიკური სისტემა. თბილისი.
7. ჩიტაძე, ნ. (2011). საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების სამართლებრივი სტატუსი: წარსული, აწმყო, მომავალი. თბილისი.
8. ჯანელიძე, ო. (2018). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები. თბილისი.
9. ჯონსი, ს. (2018). დემოკრატიის ფორმირება საქართველოში, წიგნში მ. ერქომაიშვილის რედაქტორობით, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ, თბილისი.
10. ჰოვანესიანი, რ. გ. (2018). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: დაუსრულებელი სიმფონია, წიგნში მ. ერქომაიშვილის რედაქტორობით, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ, თბილისი.

2014-16 წლების ევროპის მიგრანტთა კრიზისი, როგორც წინააღმდეგობა ე.წ. “4

თავისუფლების” უპირობობისათვის

ცოტნე უმეკაშვილი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მეორე კურსი
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(ოსუ)

ანოტაცია

ქვემოთ კვლევითი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთსა და რიგ კონფლიქტურ რეგიონებში სამოქალაქო დაძაბულობით გამოწვეულ ევროპის 2014-16 წლების მიგრანტთა კრიზისსა და ევროპულ სახელმწიფოთა თანადროულ სასაზღვრო პოლიტიკას, რომელმაც თვით ეჭვქვეშ დააყენა ე.წ. “უპირობო 4 თავისუფლება”, შორის კავშირის გამოვლენა, განხილვა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა, კვლევის შედეგების და მიხედვით, ევროკავშირის სახელმწიფოთა საერთო ანტიკრიზისული, სასაზღვრო და ზოგადპოლიტიკური სამომავლო დღის წესრიგის შორეულ პერსპექტივაში პროგნოზირება. განსხვავებით, 2006 წელს ევროპარლამენტისათვის ჩატარებული კვლევისაგან “ევროკავშირის თავშესაფრისა და იმიგრაციის პოლიტიკის გარე მსაზღვრელთა ანალიზი”, ნაშრომი იმიგრანტთა ტრანსპორტიორების წინააღმდეგ დამსჯელ ზომებს ცენტრიდანულად უარყოფითად არ მიიჩნევს და ცდილობს მოვლენები შედარებით სხვა პრიზმაში წარმოაჩინოს. ჰიპოთეზის თანახმად, გარე დაძაბულობით გამოწვეულმა მიგრანტთა კრიზისმა, გაამკაცრა რა ევროკავშირის სახელმწიფოთა სასაზღვრო პოლიტიკა, საფრთხე შეუქმნა ე.წ. “4 თავისუფლების” უპირობობას. ნაშრომის მნიშვნელობა გარდა მის მიერ განხილული თემის აქტუალობისა, როგორც ევროპულ ლიდერთა სამომავლო პოლიტიკური პოზიციონირების ნაწილისა, მდგომარეობს მოვლენის ერთგვარ დაუძლეველობაში, რამდენადაც კრიზისის წყარო - ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკა, სამხრეთ აზია კვლავაც ე.წ. “არასტაბილურ” რეგიონებად მიიჩნევა და არავინ იცის იქაური სამოქალაქო დაპირისპირება, თუ ომი როდის დაემუქრება ევროპულ მშვიდობას. კვლევის დიზაინის სამ სახეთაგან კვლევა იყენებს ანალიზს. დამოუკიდებელი ცვლადი ეს არის დაძაბულობა ზემოხსენებულ რეგიონებში, რომელიც ზეგავლენას ახდენს პირველ შუალედურ ცვლადზე - კრიზისის გაღვივებაზე, რომელმაც თავისმხრივ ევროპულ სახელმწიფოთა გამკაცრებული

პოლიტიკის თარგზე (II შუალედური ცვლადი), ზეგავლენა მოახდინა დამოკიდებულ ცვლად ე.წ. “4 თავისუფლების” უპირობობაზე. გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდები (“ქეის-სტადი”), რომელთაც ზოგიერთ შემთხვევაში რაოდენობრივიც (სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემი) ამყარებს. გაანალიზდა ვიდეო, აუდიო, პირველადი და მეორეული წყაროები, თემასთან დაკავშირებული ბაზისური ნაშრომები და ავტორიტეტული გამოცემები. მოვლენები განხილულ იქნა თეორიულ ჩარჩოშიც, კერძოდ რაციონალური არჩევანის თეორიის მიხედვით. კვლევა განიხილავს და აღწერს მოვლენის დროინდელ პოლიტიკურ პოზიციებს, საწყის მოლაპარაკებებს ევროპულ ლიდერთა შორის, ქვეყანათა სასაზღვრო პოლიტიკებს. კვლევის შედეგად, ვერიფიცირებულ იქნა გამოთქმული ჰიპოთეზა და დადგინდა, რომ გამკაცრებულმა სასაზღვრო პოლიტიკამ ეჭვქვეშ დააყენა ევროპული ე.წ. “4 თავისუფლების” უპირობობა. კვლევის შედეგები მიუთითებენ, რომ მიგრანტთა პრობლემა ევროპისათვის, დროებითი დევსკალაციით ვერ აღმოიფხვრება, ის ნებისმიერ დროს შეიძლება უარყოფითი მიმართულებით განვითარდეს. შესაბამისად, ჩვენ ვთვლით, რომ მიგრანტთა კრიზისის, როგორც ასეთის, სამუდამო გადაჭრა, ევროპული და განვითარებადი სამყაროს, შეფარდებითად მაინც ნიველირებით, აქვე წყარო-კონფლიქტთა ტოტალური ჩაქრობით უნდა მიიღწეს.

საკვანძო სიტყვები: ომი, 2014-16 წლების მიგრანტთა კრიზისი, ევროპულ სახელმწიფოთა თანადროული სასაზღვრო პოლიტიკა, “4 თავისუფლება”

შესავალი

2010-იან წლები ევროპის კონტინენტის ქვეყანათა ერთიანი საგარეო და ერთი მეორესთან სასაზღვრო პოლიტიკის ქმედუნარიანობის გასაზომად ფრიად კრიტიკული წერტილი აღმოჩნდა, რამდენადაც ამ პერიოდში ევროპის სუვერენულ სახელმწიფოთა ლიდერებს მოუწიათ მიეღოთ უკვე დიად შესამჩნევი მიგრანტთა კრიზისის საპასუხო ადეკვატური გადაწყვეტილება, რომელიც ერთი მხრივ, არ დააკნინებდა მათ, როგორც პოლიტიკოსთა რეიტინგს საკუთარ მოქალაქეთა ძირითადი ინტერესების უგულებელყოფის გამო, მეორე მხრივ კი შეინარჩუნებდა ევროპის კონტინენტის საუკუნოვან მონაპოვარს, ე.წ. “4 თავისუფლებას”, რომელიც აგერ უკვე 76 წელია, როგორც ერთ-ერთი ძირითადი კონტრიბუტორი ევროპას აშკარა ომისაგან იცავს. და მაინც რა არის ევროპის მიგრანტთა კრიზისი? მსგავსად მოიხსენიებენ პერიოდს, მიმდინარე საუკუნის 10-აინ წლებს, როცა ევროპაში

მოხვედრის მსურველ მიგრანტ-ლტოლვილთა რიცხვის მკვეთრი მატება იყო შესამჩნევია. თუ დავაზუსტებთ, ტერმინი უფრო კონკრეტულად მიუთითებს 2015 წელზე, როცა თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე მაღალი, 1.3 მილიონი (სირიელი - 47 %, ავღანელი - 21 %, ერაყელი - 9%) აღმოჩნდა.⁴⁴ ეროვნებათა დაზუსტებით მივიჩნევთ, რომ კრიზისი სწორედაც რომ გამოწვეული იყო დაძაბული ვითარებით ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ სირიასა და ერაყში, აქვე ავღანეთში. აღსანიშნავი წილი მოდიოდა ტერორისტული დაუმორჩილებლობის ნიგერიამი, ანაც ერთრეაში ხანგრძლივი ადამიანის უფლებათა დარღვევის შედეგებით.⁴⁵ მიგრანტთა შორის მრავალი მილიონი ჯერ თავშესაფარს არა ევროპაში, არამედ მხოლოდ მათ სამშობლოებთან შედარებით სტაბილურ ქვეყნებში ეძებდა, მაგალითად ლიბანში, იორდანიაში, თურქეთში, ეგვიპტეში, ირანსა და პაკისტანში. თუმცა მას შემდეგ, რაც იქ მათთვის საცხოვრებელი პირობები არასახარბიელო აღმოჩნდა, არ ჰქონდათ მუშაობის უფლება, ძალით ჰგზავნიდნენ ბანაკებში და უკვე ცხადად დაინახეს, რომ მათ ქვეყნებში ომი კიდევ კარგა ხანს არ შეწყდებოდა მათ უკეთესი ადგილის ძებნა დაიწყეს. ამას დაერთო 2014 წლიდან დაწყებული გადაწყვეტილებები იორდანიაში, ლიბანსა და ეგვიპტეში აღარ მიეღოთ სირიელი მიგრანტები, რამაც საბოლოო ჯამში, ნაკადები ევროპის კონტინენტისაკენ მიმართა.⁴⁶ 2015 წლამდე ევროპამდე მიღწევის ძირითად გზას წარმოადგენდა ხმელთაშუა ზღვის გადაცურვა ლიბიიდან იტალიისაკენ, რაც ხელშეწყობილი იყო ლიბიის მეორე სამოქალაქო ომითა და სასაზღვრო კონტროლის ჩამოქცევით. 2015 წლიდან ახალ გზას უფრო მოკლე ეგეოსის გადაცურვა, თურქეთიდან საბერძნეთში, და შემდეგ ბალკანეთის გავლით ევროკავშირში შესვლა წარმოადგენს.⁴⁷ აღკვეთის ძირითად გზად ევროპის მრავალმა ქვეყანამ

⁴⁴ Barlai M., Fähnrich B., Griessler Ch., Rhomberg M., & Filzmaier P., The migrant crisis: European perspectives and national discourses, Zürich: Lit Verlag, <https://www.worldcat.org/title/migrant-crisis-european-perspectives-and-national-discourses/oclc/953843642>, გამოქვეყნდა: 2017, ბოლო ნახვა: 26/08/2021;

⁴⁵ Zaragoza-Cristiani J., Analysing the Causes of the Refugee Crisis and the Key Role of Turkey: Why now and Why so many?, European University Institute: Robert Schumann Centre for Advanced Studies, https://cadmus.eui.eu/bitstream/handle/1814/38226/RSCAS_2015_95.pdf?sequence=1, გამოქვეყნდა: 2015, ბოლო ნახვა: 26/08/2021;

⁴⁶ Human Rights Watch, The Mediterranean Migration Crisis, <https://www.hrw.org/report/2015/06/19/mediterranean-migration-crisis/why-people-flee-what-eu-should-do>, გამოქვეყნდა: 19/06/2015, ბოლო ნახვა: 26/08/2021;

⁴⁷ Beauchamp Z., The Syrian refugee crisis, explained in one map, <https://www.vox.com/2015/9/27/9394959/syria-refugee-map>, გამოქვეყნდა: 27/09/2015, ბოლო ნახვა: 26/08/2021;

მეზობლებთან საზღვრის ჩაკეტვა გამოიყენა, რამაც მოიტანა არეულობა, დაჭერილ ლტოლვილთა ერთი ქვეყნიდან მეორეში უსასრულოდ გაძევება და ა.შ. საბოლოო რეზულტატად კი შეგვიძლია, რა თქმა უნდა, 4 თავისუფლების ფაქტობრივი იმდროინდელი არასებობა დავასახელოთ, რამდენადაც ამ პერიოდში შეიცვალა ათწლეულების ევროპული ტრადიცია, როცა საქონელი, კაპიტალი, სერვისი და ადამიანი ევროპის კონტინენტზე თავისუფლად გადაადგილდებოდა.

მნიშვნელოვანია აქვე დავსვათ თემის აქტუალობის საკითხი: ვფიქრობთ, განხილული თემა აპრიორი აქტუალურია, რამდენადაც თვით იმ მცირე დროში, რაც აბსტრაქტის წერიდან ამ შესწავლის დაწერამდე გავიდა, საუბარია დაახლოებით 1 თვის ვადაზე, კვლევამ ფენომენის ემპირიული შესწავლისათვის ავლანეთის სახით კიდევ ერთი მაგალითი შეიძინა. გამართლდა აბსტრაქტში გამოთქმული პროგნოზი “და არავინ იცის იქაური სამოქალაქო დაპირისპირება, თუ ომი როდის დაემუქრება ევროპულ მშვიდობას.” და თალიბანის მიერ 15 აგვისტოს დედაქალაქ ქაბულზე კონტროლის განახლებამ მართლაც ეჭვქვეშ დააყენა ევროპული და არა მხოლოდ მშვიდობა, განახლდა მსჯელობა ევროპის უკვე ახალი მიგრანტთა კრიზისის შესახებ.⁴⁸ საკითხის აქტუალობის შემდეგი გარდამტეხი წერტილი მის პოლიტიკურ ღირებულებაშია, რამდენადაც იგი წამოჭრისთანავე ევროპულ ლიდერთა პოლიტიკური პოზიციონირების არსებით ნაწილად იქცა. ასე მაგალითად, მარი ლე პენს, ფრანგული უკიდურესი მემარჯვენე ეროვნული ფრონტის ლიდერს, გერმანული მედია შენიშვნისათვის აკრიტიკებდა, რომელშიც ის გერმანიას ადანაშაულებს მინიმალური ხელფასის კანონის მოცელების, კრიზისით სარგებლობისათვის და აცხადებს, რომ მათ “მონების” დაქირავება სურთ.⁴⁹ 2021 მნიშვნელოვანი საარჩევნო წელია: ევროპაში, კერძოდ გერმანიაში, ნიდერლანდებში, გაერთიანებული სამეფოში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ.⁵⁰ შეუძლებელია პოლიტიკურმა კამპანიებმა ამ თემაზე საუბრის გარეშე ჩაიაროს, შესაბამისად, საკითხი აქტუალობის მეორე ხაზსაც იღებს. ვახსენეთ გერმანია და აუცილებლად ვთვლით ხაზი მესამე

⁴⁸ Henry Ridgwell, Will Afghanistan Create Another Migrant Crisis for Europe?, Voice of America, <https://www.voanews.com/south-central-asia/will-afghanistan-create-another-migrant-crisis-europe>, გამოქვეყნდა: 23/08/2021, ბოლო ნახვა: 26/08/2021;

⁴⁹ Die Welt, BWHK-Präsident will Mindestlohn für Flüchtlinge aufwrichen, <https://www.welt.de/regionales/baden-wuerttemberg/article145573021/BWIHK-Praesident-will-Mindestlohn-fuer-Fluechtlinge-aufweichen.html>, გამოქვეყნდა: 24/08/2015, ბოლო ნახვა: 26/08/2021;

⁵⁰ Anderson Emma, European elections to watch in 2021, Politico, <https://www.politico.eu/article/2021-elections-to-watch-europe/>, გამოქვეყნდა: 04/01/2021, ბოლო ნახვა: 26/08/2021;

მომენტსაც გავუსვათ. აწ უკვე მიმავალი კანცლერი მერკელი, რომელიც შეიძლება ითქვას ერთადერთი იყო, რომელიც განსაკუთრებული მიმღებლობით გამოირჩეოდა ლტოლვილების მიმართ, რისთვისაც მრავალგზის გააკრიტიკეს, უკვე ადგილს მომავალს უთმობს. ეს კი სავარაუდო საკითხისათვის ახალ აქტუალობის ხანასაც დააყენებს, რამდენადაც სავარაუდოდ მომავალ კანცლერ არმინ ლაშეტს უკვე ჰქონდა ერთი ინციდენტი მიგრანტებთან მიმართებაში.⁵¹

მნიშვნელოვნად მივიჩნევთ განვმარტოთ ძირითადი ცნებები, მოვლენაში მონაწილე აქტორები:

სამოქალაქო დაძაბულობა - მოვლენა, რომელიც წარმოიშობა მასობრივი დაუმორჩილებლობისაგან (როგორცაა დემონსტრაცია, ჯანყი, თავდასხმა, კანონისადმი დაუმორჩილებლობა) და რომლის მონაწილენიც მტრულად არიან განწყობილნი ხელისუფლების მიმართ, ხელისუფლებას კი წესრიგის დამყარება უჭირს.⁵²

ევროპის შიდა ბაზარი და “4 თავისუფლება” - ბაზარი, რომელიც ევროკავშირის 27 სახელმწიფოსაგან და გამონაკლისის სახით ისლანდიის, ნორვეგიისა და ლიხტენშტეინისაგან - შეთანხმება ევროპის ეკონომიკური ტერიტორიის შესახებ, შვეიცარიისაგან - ორმხრივი შეთანხმება, შედგება. ბაზრის მიზანია უზრუნველყოს საქონლის, კაპიტალის, მომსახურებისა და ადამიანის თავისუფალი გადაადგილება, ზოგადად ცნობილი, როგორც “4 თავისუფლება”.⁵³

ძირითადი ნაწილი

რამდენადაც კვლევის დამოკიდებულ ცვლადს 4 ევროპული თავისუფლების უპირობობა წარმოადგენს, მიზანშეწონილი იქნება კვლევის სტრუქტურაც ამ 4 კონკრეტულ ხაზს მიჰყვეს. ზემოთ არსებული განმარტებიდან ვიგებთ, რომ ბაზრის მიზანს წარმოადგენს ევროკავშირისა და კიდევ რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე საქონლის, კაპიტალის, მომსახურებისა და ადამიანის თავისუფალი გადაადგილება. შესაბამისად, კვლევისას შევეცადეთ გვეჩვენებინა მისი ხარისხის

⁵¹ Deutsche Welle, Germany: Armin Laschet halts Moria refugee camp visit amid security alert, <https://www.dw.com/en/germany-armin-laschet-halts-moria-refugee-camp-visit-amid-security-alert/a-54436541>, გამოქვეყნდა: 04/08/2020, ბოლო ნახვა: 26/08/2021;

⁵² Federal Emergency Management Agency, Glossary, <https://www.fema.gov/about/glossary>, ბოლო ნახვა: 26/08/2021;

⁵³ European Commission, Internal Market, Industry, Entrepreneurship and SMEs, http://ec.europa.eu/growth/single-market/index_en.htm, ბოლო ნახვა: 26/08/2021;

რეგრესი, რაც ჯამში ჰქმნის კიდევ არსებით მტკიცებულებებს მათი უპირობობის მიმართ საფრთხეების შესახებ, 2014-16 წლებში. ვინაიდან ჩვენს ძირითად თემას მიგრანტთა კრიზისი წარმოადგენს, ყურადღება მეტად გამახვილებული იქნება სწორედ ადამიანის თავისუფალ გადაადგილებაზე, თუმცა აუცილებელია საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების, წილის ჯეროვანი განხილვაც. მათზე საუბარი ძირითადად შესაძლებელია ეკონომიკური კუთხიდან, მშპ-ს ან მშპ-ს ერთ მოსახლეზე წლიური ზრდის განხილვით. თუკი მსოფლიო ბანკის მონაცემებს განვიხილავთ,⁵⁴ დავინახავთ რომ 2016 წელს სამწლიანი უწყვეტი ზრდის შემდეგ ევროკავშირის წევრი ჩეხეთის მშპ 5.388 %-დან 2.537 %-ზე ეცემა, იმავე ტენდენციას ვაწყდებით სხვა მაგალითებზე დაყრდნობითაც: უნგრეთი 2014-16 წლებში განიცდის ორწლიან ვარდნას (4.229 %-დან 2.14 %-მდე), ასევე ირლანდია (2015-16 წწ., საკმაოდ მკვეთრი ვარდნა: 25.176 %-დან 1.994 %-მდე), სლოვაკეთი (2015-16 წწ., 4.815 %-დან 2.133 %-მდე) ა.შ. მნიშვნელოვანია შვედეთის მაგალითი: ის პროპორციულად თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ქვეყნებს შორის ამ პერიოდში მესამე მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი იყო,⁵⁵ მისმა ეკონომიკამ კი 2015-16 წლებში 2.418 %-იანი ვარდნა განიცადა. ევროკავშირის წევრთა ეკონომიკა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. რამდენადაც ქვემოთ უნდა განვიხილოთ, თუ როგორი დაბრკოლებული იყო მკაცრი სასაზღვრო კონტროლით თავისუფალი მოძრაობა, მარტივად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დამთხვევაა არაა მსგავსი შესამჩნევი ვარდნები სწორედ ამ პერიოდში და შესაბამისად, დავასკვნათ პირველი მსჯელობის სახით, ემპირიულად, რომ სწორედ ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებლების საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების დაბრკოლებული გადაადგილება, მიმდინარე კრიზისის გადაჭრისას გამოწვეული, იყო ამ ეკონომიკური ჩავარდნების ერთ-ერთი არსებითი გამომწვევი.

კვლევის ძირითად ხაზზე გასასვლელად უნდა ვისაუბროთ დამოუკიდებელ ცვლადად მოხსენიებულ დაძაბულ ვითარებაზე, რომელიც ჰქმნიდა და ასაზრდოებდა საკვლევ ფენომენს, როგორც ძირითადი საფუძველი. სირიაში 2011 წლის მარტში არაბულ გაზაფხულს მოყოლებული პასუხი იქცა იმ კონფლიქტის წყაროდ, რომელმაც

⁵⁴ The World Bank, GDP growth (annual %), World Bank Open Data, <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG>, ბოლო ნახვა: 05/09/2021;

⁵⁵ Eurostat, Asylum and first time asylum applicants by citizenship, age and sex Monthly data, http://appsso.eurostat.ec.europa.eu/nui/show.do?dataset=migr_asyappctzm, ბოლო ნახვა: 05/09/2021;

ევროპას ყველაზე მეტი მიგრანტი მოუტანა.⁵⁶ მაისში თურქეთს მიგრანტთა პირველი ტალღა მიაწვდა. გარე ძალების ირანის, რუსეთის, თურქეთისა და აშშ-ს ჩართულობით კონფლიქტი უპირობო სამოქალაქო ომად იქცა.⁵⁷ არნახულმა დევსკალაციამ მსოფლიოს 2013 წლის მარტში 1 000 000 სირიელი მიგრანტით შეუტია. მონაცემთა მიხედვით, მეორე სასაზღვრო წყარო კრიზისისათვის ავღანეთი იყო. ავღანელები გაურბოდნენ ომსა და უსამართლო, არაადამიანურ მოპყრობას რასის, რელიგიის, ანაც პოლიტიკური მრწამსის გამო. აქ დევსკალაცია 1979 წელს საბჭოთა შემოჭრით იწყება და აქ დაწყებული სამოქალაქო დაძაბულობა დღესაც არ შეწყვეტილა. წელს განვითარებული მოვლენების გამო, ვგულისხმობთ 15 აგვისტოს დედაქალაქ ქაბულის თალიბანის მიერ აღებას, მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ ამ დაჯგუფების ფაქტორსაც. მიგრანტთა რიცხვის ზრდა პირდაპირ კავშირში იყო ამ დაჯგუფებასთან, რამდენადაც 2001 წელს, რაც აშშ-მ მოკავშირე ძალებთან ერთად 9/11-ის ტერაქტის შემდეგ მტკიცედ შეარყია თალიბანის მიერ მართული ავღანეთის ისლამური ემირატი, სამშობლოს 6 მილიონი ავღანელი დაუბრუნდა. თუმცა თალიბანის დაუმორჩილებლობამ, რომელმაც ოცწლიან ომში ჩაითრია აშშ, 2.5 მილიონს კვლავაც აიძულა სახლის დატოვება.⁵⁸ თავისი როლი შეასრულეს ომმა ერაყში, სომალში, დარფურში. ერთრეიდან წამოსულნი გაურბოდნენ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ რეჟიმს, უვადო სამხედრო სამსახურს, ძალადობრივ სამუშაოს.⁵⁹ ბოკო ჰარამის დაუმორჩილებლობამ 2009 წლიდან ნიგერიაში მოიტანა 20 000 ადამიანის სიკვდილი, 2 000 000 მილიონისთვის სახლის დაკარგვა და ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელოვანი - 75 000 ნიგერიელი ევროპაში 2015-16 წლებში.⁶⁰

⁵⁶ Eurostat, Record number of over 1.2 million first time as asylum seekers registered in 2015, <https://ec.europa.eu/eurostat/documents/2995521/7203832/3-04032016-AP-EN.pdf/790eba01-381c-4163-bcd2-a54959b99ed6>, გამოქვეყნდა: 04/03/2016, 1.2 million first time asylum seekers registered in 2016, <https://ec.europa.eu/eurostat/documents/2995521/7921609/3-16032017-BP-EN.pdf/e5fa98bb-5d9d-4297-9168-d07c67d1c9e1>, გამოქვეყნდა: 16/03/2017, ბოლო ნახვა: 05/09/2021;

⁵⁷ Tan, Kim Hua; Perudin, Alirupendi, The “Geopolitical” Factor in the Syrian Civil War: A Corpus-Based Thematic Analysis, <https://journals.sagepub.com/doi/10.1177/2158244019856729>, გამოქვეყნდა: 12/07/2019, ბოლო ნახვა: 05/09/2021;

⁵⁸ International Rescue Committee (IRC), Afghanistan: What you need to know about one of the world’s longest refugee crisis, <https://www.rescue.org/country/afghanistan>, გამოქვეყნდა: 08/09/2016, ბოლო ნახვა: 05/09/2021;

⁵⁹ The Guardian; It’s not at war, but up to 3 % of it’s people have fled. What’s going on in Eritrea?, <https://www.theguardian.com/world/2015/jul/22/eritrea-migrants-child-soldier-fled-what-is-going>, გამოქვეყნდა: 22/07/2015, ბოლო ნახვა: 05/09/2021;

⁶⁰ Wilson, Mark, Nigeria’s Boko Haram attacks in numbers – as lethal as ever, <https://www.bbc.com/news/world-africa-42735414>, გამოქვეყნდა: 25/01/2018, ბოლო ნახვა: 05/09/2021;

აღსანიშნავია მიგრაცია კოსოვოდან. კოსოვოს ომმა, რომელიც 1998 წ. თებერვლიდან 1999 წლის ივნისამდე მიმდინარეობდა შექქმნა მისი წყარო. 2011 წლის 19 მაისს დაარსებული კოსოვოს დიასპორის სამინისტრო და დიასპორის სააგენტო უეცარ ზრდას ვერ გაუმკლავდა, რამაც მიგრანტების საკითხით ისედაც გატანჯულ ევროპას, 2014-15 წლებში 45 862 საზღვრის უკანონოდ კვეთით ახალი თავსატეხი გაუჩინა.⁶¹ ამ და სხვა კონკრეტულმა კონფლიქტებმა დასაბამი დაუდეს მიგრანტთა კრიზისს, ღრმა პრობლემას ევროპის კონტინენტისათვის, რომელსაც უმარავი სიცოცხლისათვის მებრძოლის სიცოცხლე შეეწირა. არსებობდა განსხვავებული მარშრუტები, რომელნიც ასევე განსხვავებული ინტენსივობით გამოირჩეოდნენ. დაახლოებით 85 % მოდიოდა გზაზე თურქეთიდან საბერძნეთში, ეგოსის ზღვის გავლით, დანარჩენი კი იტალიაზე ჩრდილოეთ აფრიკიდან. ევროკავშირის საგარეო საზღვრები საბერძნეთში, ფინეთში და ბულგარეთში მხოლოდ მინიმალურ როლს თამაშობდნენ. გზა აფრიკიდან იტალიაში იყო ნაკლებად გამოყენებადი, თუმცა მეტად ლეტალური, ვიდრე თურქეთიდან საბერძნეთში. აქ ჯამში 2 889 ადამიანი გარდაიცვალა, ეგოსის ზღვაზე 731.⁶² აქედან გზა გადიოდა ბალკანეთში ევროკავშირისკენ, უნგრეთში ან ხორვატიაში. უნგრეთი დაემორჩილა ევროკავშირის წესებს და მოსულნი თავშესაფრის მაძიებლებად დაარეგისტრირა, მაგრამ აქ უკვე შემოდის პოლიტიკური კამპანიების ხაზიც: პრემიერმა ვიქტორ ორბანმა მაქსიმალურად კარგად გამოიყენა ვითარება და თავისი შიდა პოლიტიკური კამპანია მიგრაციისადმი ოპოზიციასზე, იმიგრაციის შიშზე ააგო.⁶³

კრიზისმა, როგორც პირველმა შუალედურმა ცვლადმა წარმოშვა მეორე შუალედური ცვლადი - გამკაცრებული სასაზღვრო პოლიტიკა. 2015 წლის 1 სექტემბერს უნგრეთმა დაკეტა ბუდაპეშტის კელეტის საღვრი ავსტრიასა და გერმანიაში მიმავალთათვის. არეულობის გამო გერმანია და ავსტრია იძულებული იყვნენ გაეხსნათ საზღვრები. კანცლერი მერკელი კონსერვატორების წნეხის ქვეშ მოექცა, თუმცა ის აცხადებდა: “ფუნდამენტურ უფლებას ეძიო თავშესაფარი ... ომის

⁶¹ Frontex, Annual Risk Analysis 2015, https://frontex.europa.eu/assets/Publications/Risk_Analysis/Annual_Risk_Analysis_2015.pdf#page=21, გვ. 19, 22, 24, გამოქვეყნდა: 27/04/2015, ბოლო ნახვა 05/09/2021;

⁶² IOM, Irregular Migrant, Refugee Arrivals in Europe Top One Million in 2015: IOM, <https://www.iom.int/news/irregular-migrant-refugee-arrivals-europe-top-one-million-2015-iom>, გამოქვეყნდა: 22/12/2015, ბოლო ნახვა: 05/09/2021;

⁶³ Judy, Dempsey, Understanding Central Europe’s Opposition to Refugees, Carnegie Europe, <https://carnegieeurope.eu/strategieurope/61404>, გამოქვეყნდა: 25/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

ჯოჯოხეთიდან საზღვარი ვერ ექნება.”⁶⁴ გერმანულ გადაწყვეტილებას მალე მოჰყვა ქაოსი და ქვეყანამაც საზღვრების მკაცრი კონტროლის გადაწყვეტილება მიიღო⁶⁵, რამაც დასაბამი მისცა დომინოს ეფექტს. საკუთარი საზღვრის მეტად კონტროლი დაიწყო ავსტრიამ და სლოვაკეთმა.⁶⁶ უნგრეთმა ააგო სასაზღვრო ღობე სერბეთთან, რათა ნაკადი ხორვატიისა და სლოვენისაკენ მიემართა.⁶⁷ ყველაფერს სამხედრო ძალის გამოყენებაც მოჰყვა, რამდენადაც ხორვატიამ ნაკადის ისევ უნგრეთისკენ მიბრუნება სცადა.⁶⁸ ხორვატიამ და უნგრელმა ლიდერებმა მალე დაიწყეს ერთიმეორის ბრალდება და მალე უნგრეთის მსგავსად ხორვატიამაც ჩაკეტა საზღვარი, რათა არ ქცეულიყო ტრანზიტად.⁶⁹ სლოვენია არ დახურა საზღვარი, თუმცა აქ იყო შეტაკებები პოლიციასთან.⁷⁰ მალე სლოვენია დღიურ რაოდენობას, 2 500 კაცს აწესებს, რამაც ბრბო ხორვატიისკენ, სერბეთისა და ჩრდილო მაკედონიისკენ მიმართა. ნოემბერში იგივე სლოვენია ღრობით ღობეებს აგებს.⁷¹ ზოგიერთმა სახელმწიფომ არმიისათვის, რომელიც მიგრანტთაგან იცავდა საზღვარს, მეტი ძალის მისაცემად კანონებიც კი მიიღო.⁷² უნდა გადავხედოთ ევროკავშირის ოფიციალურ პირთა გამონმარებებსაც: მათ ღრმა წუხილი გამოთქვეს საზღვრებზე მიმდინარე

⁶⁴ Bröcker, Michael; Quadbeck, Eva, Interview mit Bundeskanzlerin Angela Merkel: “Grundrecht auf Asyl kennt keine Obergrenze”, Rheinische Post, https://rp-online.de/politik/deutschland/angela-merkel-das-grundrecht-auf-asyl-kennt-keine-obergrenze_aid-9533771https://rp-online.de/politik/deutschland/angela-merkel-das-grundrecht-auf-asyl-kennt-keine-obergrenze_aid-9533771, გამოქვეყნდა: 11/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

⁶⁵ Deutsche Welle, Deutschland will Grenzen dicht machen, <https://www.dw.com/de/deutschland-will-grenzen-dicht-machen/a-18712045>, გამოქვეყნდა: 13/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

⁶⁶ Eddy, Melissa; Bilefsky, Dan; Austria, Slovakia and the Netherlands Introduce Border Controls, The New York Times, <https://www.nytimes.com/2015/09/15/world/europe/europe-migrants-germany.html>, გამოქვეყნდა: 14/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

⁶⁷ Lyman, Rick, Hungary to Close its Border With Croatia in Migrant Crackdown, The New York Times, <https://www.nytimes.com/2015/10/17/world/europe/hungary-croatia-refugees-migrants.html>, გამოქვეყნდა: 16/10/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

⁶⁸ Kingsley, Patrick, Graham-Harrison, Emma, UN warns European unity at risk as borders close to refugees, The Guardian, <https://www.theguardian.com/world/2015/sep/19/refugees-croatia-hungary-borders-europe>, გამოქვეყნდა: 19/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

⁶⁹ BBC News, Migrant Crisis: Croatia closes border crossings with Serbia, <https://www.bbc.com/news/world-europe-34286432>, გამოქვეყნდა: 18/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

⁷⁰ Chicago Tribune, The Latest: Slovenian police pepper spray migrants at border, Associated Press, <https://www.chicagotribune.com/nation-world/sns-bc-eu--europe-migrants-the-latest-20150918-story.html>, გამოქვეყნდა: 18/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

⁷¹ Prvi interaktivni multimedijski portal MMC RTV Slovenija, Slovenian troops start erecting border fence, <https://www.rtvsi.si/news-in-english/slovenia-putting-up-fence-along-border-with-croatia-to-control-migrant-flow/378397>, გამოქვეყნდა: 11/11/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

⁷² Euronews, Slovenia gives army more power amid migrant crisis, <https://www.euronews.com/2015/10/21/slovenia-gives-army-more-power-amid-migrant-crisis>, გამოქვეყნდა: 21/10/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

მოვლენებთან მიმართებაში და გააფრთხილეს საზღვრის ჩამკეტი ევროკავშირის წევრი ქვეყნები. განაცხადეს, რომ ამ საქციელით ისინი ძირს უთხრიდნენ საერთო ნდობასა და გადაადგილების თავისუფლებას, იმ ორ მნიშვნელოვან საფუძველს, რაზეც ევროკავშირი, როგორც ბლოკია დაფუძნებული, აღმოსავლეთ ევროპას 90-იანი წლების უნდობლობაში დასაბრუნებლად სწირავდნენ. ევროკომისიამ გააფრთხილა წევრები პატივისცემით მოჰპყრობოდნენ ევროკავშირის წესდებასა და მისი ძალით გაფორმებულ ხელშეკრულებებს.⁷³ ყველა შემოადინიშნული და უპირველესად კი ევროკავშირის ოფიციალურ პირთა განცხადებები, ვფიქრობთ, უპირობოდ ცხადჰყოფენ, რომ საწყისში გამოთქმული ჰიპოთეზა, რომ გარე დაძაბულობით გამოწვეულმა მიგრანტთა კრიზისმა, გაამკაცრა რა ევროკავშირის სახელმწიფოთა სასაზღვრო პოლიტიკა, საფრთხე შეუქმნა ე.წ. “4 თავისუფლების” უპირობობას, სრულყოფილად ვერიფიცირებულ იქნა.

დასკვნა

არსებული შედეგები, პირდაპირი მსახველია იმისა, რომ მიგრაცია, როგორც თანამედროვე გლობალური გამოწვევა მეტად ყურადსაღები და კვლევისათვის რელევანტური საკითხია. რამდენადაც რაციონალური არჩევანის თეორია გვკარნახობს,⁷⁴ რომ ინდივიდუალი ყოველთვის ხელმძღვანელობს დანახარჯ-მოგების გაანგარიშებით და ყოველთვის უკეთესს ეძიებს, თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიგრაცია, როგორც პროცესი შეუქცევადია. ყველასათვის ცნობილი, ავღანეთში მიმდინარე პროცესები კი წარმოშობს უფლებას, ვრეკომენდირებდეთ მის შესწავლას, საკითხის, რომელმაც უკვე ჰპოვა ამ კონტექსტში მეტად მრავალმხრივი განხილვა.⁷⁵

⁷³ RadioFreeEurope/RadioLiberty, EU Warns Against New “Walls” As Hungary Plans Fence on Serbia Border, <https://www.rferl.org/a/european-commission-hungary-serbia-wall-fence-illegal-migrants/27079829.html>, გამოქვეყნდა: 18/07/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

⁷⁴ Levin, Jonathan; Milgrom, Paul, Introduction to choose theory, <https://web.stanford.edu/~jdlevin/Econ%20202/Choice%20Theory.pdf>, გამოქვეყნდა: 2004, ბოლო ნახვა: 07/09/2021;

⁷⁵ Privitera, Alexander, Is Europe Facing a New Migrant Crisis? BRINK News, <https://www.brinknews.com/europe-facing-a-new-migrant-crisis/>, გამოქვეყნდა: 30/09/2021, ბოლო ნახვა: 09/07/2021;

გამოყენებული ლიტერატურა/წყაროები

1. Anderson, Emma, European elections to watch in 2021, Politico, <https://www.politico.eu/article/2021-elections-to-watch-europe/>, გამოქვეყნდა: 04/01/2021, ბოლო ნახვა: 26/08/2021;
2. Barlai M., Fähnrich B., Griessler Ch., Rhomberg M., & Filzmaier P., The migrant crisis: European perspectives and national discourses, Zürich: Lit Verlag, <https://www.worldcat.org/title/migrant-crisis-european-perspectives-and-national-discourses/oclc/953843642>, გამოქვეყნდა: 2017, ბოლო ნახვა: 26/08/2021;
3. BBC News, Migrant Crisis: Croatia closes border crossings with Serbia, <https://www.bbc.com/news/world-europe-34286432>, გამოქვეყნდა: 18/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;
4. Beauchamp Z., The Syrian refugee crisis, explained in one map, <https://www.vox.com/2015/9/27/9394959/syria-refugee-map>, გამოქვეყნდა: 27/09/2015, ბოლო ნახვა: 26/08/2021;
5. Bröcker, Michael; Quadbeck, Eva, Interview mit Bundeskanzlerin Angela Merkel: “Grundrecht auf Asyl kennt keine Obergrenze”, Rheinische Post, <https://rp-online.de/politik/deutschland/angela-merkel-das-grundrecht-auf-asyl-kennt-keine-obergrenze-aid-9533771><https://rp-online.de/politik/deutschland/angela-merkel-das-grundrecht-auf-asyl-kennt-keine-obergrenze-aid-9533771>, გამოქვეყნდა: 11/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;
6. Chicago Tribune, The Latest: Slovenian police pepper spray migrants at border, Associated Press, <https://www.chicagotribune.com/nation-world/sns-bc-eu--europe-migrants-the-latest-20150918-story.html>, გამოქვეყნდა: 18/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;
7. Deutsche Welle, Deutschland will Grenzen dicht machen, <https://www.dw.com/de/deutschland-will-grenzen-dicht-machen/a-18712045>, გამოქვეყნდა: 13/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;
8. Deutsche Welle, Germany: Armin Laschet halts Moria refugee camp visit amid security alert, <https://www.dw.com/en/germany-armin-laschet-halts-moria-refugee-camp-visit-amid-security-alert/a-54436541>, გამოქვეყნდა: 04/08/2020, ბოლო ნახვა: 26/08/2021;
9. Die Welt, BWHK-Präsident will Mindestlohn für Flüchtlinge aufwrichen, <https://www.welt.de/regionales/baden-wuerttemberg/article145573021/BWIK-Präsident-will-Mindestlohn-fuer-Fluechtlinge-aufweichen.html>, გამოქვეყნდა: 24/08/2015, ბოლო ნახვა: 26/08/2021;
10. Eddy, Melissa; Bilefsky, Dan; Austria, Slovakia and the Netherlands Introduce Border Controls, The New York Times, <https://www.nytimes.com/2015/09/15/world/europe/europe-migrants-germany.html>, გამოქვეყნდა: 14/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;
11. Euronews, Slovenia gives army more power amid migrant crisis, <https://www.euronews.com/2015/10/21/slovenia-gives-army-more-power-amid-migrant-crisis>, გამოქვეყნდა: 21/10/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;
12. European Commission, Internal Market, Industry, Entrepreneurship and SMEs, http://ec.europa.eu/growth/single-market/index_en.htm, ბოლო ნახვა: 26/08/2021;

13. Eurostat, Asylum and first time asylum applicants by citizenship, age and sex Monthly data, http://appsso.eurostat.ec.europa.eu/nui/show.do?dataset=migr_asyappctzm, ბოლო ნახვა: 05/09/2021;
14. Eurostat, Record number of over 1.2 million first time as asylum seekers registered in 2015, <https://ec.europa.eu/eurostat/documents/2995521/7203832/3-04032016-AP-EN.pdf/790eba01-381c-4163-bcd2-a54959b99ed6>, გამოქვეყნდა: 04/03/2016, 1.2 million first time asylum seekers registered in 2016, <https://ec.europa.eu/eurostat/documents/2995521/7921609/3-16032017-BP-EN.pdf/e5fa98bb-5d9d-4297-9168-d07c67d1c9e1>, გამოქვეყნდა: 16/03/2017, ბოლო ნახვა: 05/09/2021;
15. Federal Emergency Management Agency, Glossary, <https://www.fema.gov/about/glossary>, ბოლო ნახვა: 26/08/2021;
16. Frontex, Annual Risk Analysis 2015, [https://frontex.europa.eu/assets/Publications/Risk Analysis/Annual Risk Analysis 2015.pdf#page=21](https://frontex.europa.eu/assets/Publications/Risk%20Analysis/Annual%20Risk%20Analysis%202015.pdf#page=21), გვ. 19, 22, 24, გამოქვეყნდა: 27/04/2015, ბოლო ნახვა 05/09/2021;
17. Henry Ridgwell, Will Afghanistan Create Another Migrant Crisis for Europe?, Voice of America, <https://www.voanews.com/south-central-asia/will-afghanistan-create-another-migrant-crisis-europe>, გამოქვეყნდა: 23/08/2021, ბოლო ნახვა: 26/08/2021;
18. Human Rights Watch, The Mediterranean Migration Crisis, <https://www.hrw.org/report/2015/06/19/mediterranean-migration-crisis/why-people-flee-what-eu-should-do>, გამოქვეყნდა: 19/06/2015, ბოლო ნახვა: 26/08/2021;
19. International Rescue Committee (IRC), Afghanistan: What you need to know about one of the world's longest refugee crisis, <https://www.rescue.org/country/afghanistan>, გამოქვეყნდა: 08/09/2016, ბოლო ნახვა: 05/09/2021;
20. IOM, Irregular Migrant, Refugee Arrivals in Europe Top One Million in 2015: IOM, <https://www.iom.int/news/irregular-migrant-refugee-arrivals-europe-top-one-million-2015-iom>, გამოქვეყნდა: 22/12/2015, ბოლო ნახვა: 05/09/2021;
21. Judy, Dempsey, Understanding Central Europe's Opposition to Refugees, Carnegie Europe, <https://carnegieeurope.eu/strategieurope/61404>, გამოქვეყნდა: 25/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;
22. Kingsley, Patrick, Graham-Harrison, Emma, UN warns European unity at risk as borders close to refugees, The Guardian, <https://www.theguardian.com/world/2015/sep/19/refugees-croatia-hungary-borders-europe>, გამოქვეყნდა: 19/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;
23. Levin, Jonathan; Milgrom, Paul, Introduction to choice theory, <https://web.stanford.edu/~jdlevin/Econ%20202/Choice%20Theory.pdf>, გამოქვეყნდა: 2004, ბოლო ნახვა: 07/09/2021;
24. Lyman, Rick, Hungary to Close its Border With Croatia in Migrant Crackdown, The New York Times, <https://www.nytimes.com/2015/10/17/world/europe/hungary-croatia-refugees-migrants.html>, გამოქვეყნდა: 16/10/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;
25. Privitera, Alexander, Is Europe Facing a New Migrant Crisis? BRINK News, <https://www.brinknews.com/is-europe-facing-a-new-migrant-crisis/>, გამოქვეყნდა: 30/09/2021, ბოლო ნახვა: 09/07/2021;

26. Prvi interaktivni multimedijски portal MMC RTV Slovenija, Slovenian troops start erecting border fence, <https://www.rtv slo.si/news-in-english/slovenia-putting-up-fence-along-border-with-croatia-to-control-migrant-flow/378397>, გამოქვეყნდა: 11/11/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;
27. RadioFreeEurope/Radioliberty, EU Warns Against New “Walls” As Hungary Plans Fence on Serbia Border, <https://www.rferl.org/a/european-commission-hungary-serbia-wall-fence-illegal-migrants/27079829.html>, გამოქვეყნდა: 18/07/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;
28. Tan, Kim Hua; Perudin, Alirupendi, The “Geopolitical” Factor in the Syrian Civil War: A Corpus-Based Thematic Analysis, <https://journals.sagepub.com/doi/10.1177/2158244019856729>, გამოქვეყნდა: 12/07/2019, ბოლო ნახვა: 05/09/2021;
29. The Guardian; It’s not at war, but up to 3 % of it’s people have fled. What’s going on in Eritrea?, <https://www.theguardian.com/world/2015/jul/22/eritrea-migrants-child-soldier-fled-what-is-going>, გამოქვეყნდა: 22/07/2015, ბოლო ნახვა: 05/09/2021;
30. The World Bank, GDP growth (annual %), World Bank Open Data, <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG>, ბოლო ნახვა: 05/09/2021;
31. Wilson, Mark, Nigeria’s Boko Haram attacks in numbers – as lethal as ever, <https://www.bbc.com/news/world-africa-42735414>, გამოქვეყნდა: 25/01/2018, ბოლო ნახვა: 05/09/2021;
32. Zaragoza-Cristiani J., Analysing the Causes of the Refugee Crisis and the Key Role of Turkey: Why now and Why so many?, European University Institute: Robert Schumann Centre for Advanced Studies, https://cadmus.eui.eu/bitstream/handle/1814/38226/RSCAS_2015_95.pdf?sequence=1, გამოქვეყნდა: 2015, ბოლო ნახვა: 26/08/2021;

ევროკავშირის მიგრაციის პოლიტიკა და სამართალი

ამირან აბაშიძე

მაგისტრატურის სტუდენტი, საჯარო მმართველობა
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

ევროკავშირის არსებობის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიზანი მოქალაქეებისათვის ღირსეული ცხოვრების სტანდარტებით უზრუნველოებაა, რომლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი ღირსეული და უსაფრთხო შრომის პირობების შექმნაა, სწორედ ეს ყველაფერი ევროკავშირში პროდუქტიულ სამუშაო ძალის გარანტიას იძლევა, ამ კრიტერიუმმა მნიშვნელოვნად დააჩქარა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მიგრაციული პროცესები, რაც დაკავშირებულია, ისეთ ფაქტორებთან, როგორებიცაა: სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, დასაქმების პოლიტიკის ეფექტურობა, დემოგრაფიული პოლიტიკა, ტერორისტულ პროცესებთან ბრძოლის საკითხები და სხვ. მიგრანტთა მზარდი ტემპით შედინებამ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოება კითხვითი ნიშნის ქვეშ დააყენა, რომლის პასუხის გაცემაზეც წევრი სახელმწიფოები სხვადასხვა პოლიტიკური სტრატეგიებით ცდილობენ.

თემის აქტუალობას განაპირობებს ევროკავშირში მიგრაციის, როგორც ახალ გლობალურ პრობლემად აღქმა. კერძოდ, ცალკეული ქვეყნების მხრიდან განსხვავებული პოლიტიკური მიდგომები და განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნებში გლობალიზაციის შედეგად სოციალური და პოლიტიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით გამოწვეული პრობლემებისა და საერთაშორისო კონვენციებითა და სამართლის ნორმებით აღიარებული ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართების საკითხები, რომელიც არის საერთაშორისო მასშტაბის გამოწვევა.

პრობლემის არსი გლობალიზაციის შედეგად მოხდა სახელმწიფოთა შორის საზღვრების მოშლა, რამაც გამოიწვია მიგრაციული პროცესების ზრდა, და ძირითადად მიგრანტთა რიცხვის ზრდა ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებით, რის გამოც, ხშირად ირღვევა სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოება. მიუხედავად რიგი პრობლემებისა, ევროკავშირის ქვეყნები, როგორც

მიგრანტთა მიმღები, ლიბერალური ღირებულებების და საერთაშორისო სამართლის კონვენციების გამო ვერ ახდენენ მკაცრი ზომების მიღებას.

ნაშრომის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს თანამედროვე ეტაპზე პანდემიის შედეგად გამოწვეული პრობლემებისა და მიგრაციული პროცესების ურთიერთგავლენის ანალიზი. ჩამოყალიბებულია ისტორიული ფაქტებისა და სტატისტიკური მონაცემების შეჯამებით პერსპექტიული ხედვა მიგრაციის შედეგად გამოწვეული გლობალური პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: მიგრაციის პოლიტიკა, ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოება, ლიბერალური ღირებულებები.

შესავალი

მიგრაციული პროცესები ეს არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ინფორმაციულ-სატრანსპორტო პროცესების შედეგი, რომლის რიცხვიც დღითიდღე იზრდება, დღეს მსოფლიო მეცნიერთა აზრით, „მიგრაციის ეპოქაში“ იმყოფება. ეს არის მუდმივი საცხოვრებლის შეცვლის პროცესი, ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლა. სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულია მიგრაციის შემდეგი განმარტება: „მიგრაცია არის ცალკეული პირების, ან ჯგუფების მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ერთი რეგიონიდან მეორეში, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში, ან კიდევ მოსახლეობის პერიოდული გადინება-შემოდინება ერთი ადგილიდან მეორე ადგილას საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზნით“.⁷⁶

ბოლო წლებების განმავლობაში ევროკავშირი დიდი რისკის წინაშე აღმოჩნდა, გაიზარდა მიგრანტთა ტალღა, რომელმაც უკვე თანდათან პიკს მიაღწია, ამის გამომწვევი მიზეზები მრავალი ფაქტორითაა განმარტებული:


- წევრი სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხი განსაზღვრავს მოსახლეობის გადაადგილებას, რაც ნიშნავს, რომ რაც უფრო დემოკრატიულ-ლიბერალურია სახელმწიფო, მით უფრო შეინიშნება მიგრანტთა რიცხვის ზრდა.

⁷⁶ სამოქალაქო განათლების ლექსიკონი; <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6241> (ნანახია: 20.05.2020)

- თუ სახელმწიფოს მშპ-ს მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე დაბალი , მით უფრო მეტია მიგრანტთა გადინება ამ სახელმწიფოდან, მაგრამ თუ მაღალია მშპ-ს მაჩვენებელი მით უფრო მეტია მიგრანტთა შედინება ამ ქვეყანაში. სახელფასო ანაზღაურებაც ევროკავშირში უფრო მაღალია.
- ევროკავშირში მაღალია დასაქმების ალბათობა და უფრო მეტად შეინიშნება მიგრანტების გადაადგილება.
- თავიანთ სახელმწიფოსთან გეოგრაფიული სიახლოვე და მიმღებ ქვეყანაში მოხვედრის სიმარტივე.

დიაგრამა 1

მსოფლიოს მიგრანტთა განაწილება შემოსავლიანი ქვეყნების მიხედვით (2017 წელი)⁷⁷



ბოლო პერიოდის მანძილზე გამომწვევი მიზეზების შედეგად ევროკავშირში ყველაზე მეტი მიგრანტთა რაოდენობა მოდის ეკონომიკასა და განათლებაზე. სწორედ, რომ მიგრანტთა ამგვარი ჯგუფის მიღება სახელმწიფოს პრიორიტეტებში შედის. რადგან კვალიფიციური და იაფი მუშათა ხელის მიღებით ახორცილებენ სხვადასხვა ეკონომიკურ და ბიზნეს საქმიანობას ანუ ნაკლები დანახარჯებით აღწევენ მიზანს. ალბათ , საინტერესოა, თუ მიგრანტთა ჯგუფი სასიცოცხლო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ზოგიერთ სახელმწიფოს განვითარებაში, რატომ ხდება სახელმწიფოების შემფოთება და მათი მხრიდან ამ პროცესის გლობალურ პრობლემად აღიარება? შემფოთების მიზეზი ბევრია, ზოგიერთს მიაჩნია, რომ მიგრანტები მიმღებ

⁷⁷ ჯანგველაძე გვანცა, სამუშაო ძალის მიგრაცია და მისი მაკროეკონომიკური შედეგები, თსუ, თბილისი. 2019; გვ.12-13


სახელმწიფოში ისაკუთრებენ სამუშაო ადგილებს, რაც იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის უმუშევრობას. მიგრანტთა რიცხვის გაზრდის შედეგად გაიზარდა კრიმინალის რიცხვი და ტერორისტული საფრთხეები. სწორედ, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე ევროკავშირის ტერიტორიაზე მომხდარ მასშტაბური ტერორისტული აქტები, მიგრანტების სახელთან არის დაკავშირებული: 2017 წლის 17 აგვისტო- ბარსელონა, 2016 წლის 14 ივლისი - ტერაქტი ნიცაში, 2016 წელი, 19 დეკემბერი - ტერაქტი ბერლინში, 2015 წლის 13 ნოემბერი - ტერაქტი პარიზში;⁷⁸ მიგრაციის კრიზისი წამყვან სახელმწიფოებში და მასთან ბრძოლის მექანიზმები როგორც უკვე აღვნიშნეთ ბოლო პერიოდში ევროკავშირი მიგრაციის შედეგად ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. გარდა სხვა გამოწვეული პრობლემებისა, ერთ-ერთ მწვავე პრობლემად სახელმწიფოს უსაფრთხოება იყო. ეს უსაფრთხოება მრავლისმომცველი სფეროა და ერთიანებს ისეთ მნიშვნელოვან თემებს როგორცაა: სახელმწიფო ანუ ეროვნული უსაფრთხოება, ქვეყნის საზღვრებისა და მასში მოქცეული მოსახლეობის უსაფრთხოება, ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოება. ევროკავშირის სახელმწიფოებში მიგრანტთა რიცხვის ზრდასთან ერთად თანდათან გაძლიერდა ადგილობრივ საზოგადოებაში მიგრანტთა მიმართ უცხო ან სხვების შიში. სირიის სამოქალაქო ომის შედეგად იზრდება ლტოლვილების რაოდენობა ევროპაში, 2 მილიონ ნახევარზე მეტი ადამიანი ლტოლვილად იქცა, 9 მილიონამდე კი იძულებით გადაადგილებული პირია. გაეროს ინფორმაციით მსოფლიოში არსებული 60 მილიონი ლტოლვილიდან ყოველი მეხუთე სირიელია და ისინი 80 %- ს შეადგენენ ევროპაში მყოფი ლტოლვილების. ბოლო წლების მანძილზე მათი რაოდენობის დიდი ნაწილი თურქეთისა და იორდანის ბანაკებში ცხოვრობენ. გარდა ამისა, არსებობს მათი სპეციალურად სამიზნე ქვეყნები, სადაც მოხვედრა და ტრასპორტირება საკმაოდ რთულია , გადაადგილების დროს უამრავი ადამიანი იღუპება. 2015 წელს ხმელთაშუა ზღვაში 2700- მდე მიგრანტი დაიღუპა, ეს მაჩვენებელი კი ყოველწუთს იზრდება, ამ რიცხვს სირიელი მიგრანტების გარდა, აფრიკელი მიგრანტებით შეადგენენ.⁷⁹

დიაგრამა 2

⁷⁸ რუხაძე თამთა, ბოლო დროის ყველაზე მასშტაბური ტერაქტები ევროპაში, ტვ 1, 2017, <http://old.itv.ge/ge/news/view/186556.html>

⁷⁹ ხაჩიძე სალომე, თანამედროვე მიგრაციული პროცესები გლობალიზაციის კონტექსტში, თბილისი 2019, <https://openscience.ge/bitstream/1/872/1/samagistro%20khachidze%20salome.pdf> (ნანახია: 02.06.2020)

ემიგრანტთა რაოდენობა გამცემ ქვეყნებში (მლნ) 2017 წ.,⁸⁰



საინტერესოა აღბათ რა პოლიტიკური მექანიზმებით ცდილობს ევროკავშირი არსებული გამოწვევის გადაჭრას? ამაზე, რა თქმა უნდა, არ გვაქვს ერთგვაროვანი პასუხი, ადგილი აქვს როგორც ინდივიდუალურ სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ ბერკეტებს, ასევე საერთო სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ მიდგომებს. მანამ, სანამ ევროკავშირის გარე მიგრაციულ პროცესებზე დავიწყებდეთ საუბარს, აუცილებელია ვისაუბროთ ევროკავშირის შიდა მიგრაციულ პოლიტიკაზე. ჯერ კიდევ 1985 წელს ევროკავშირმა შიდა მიგრაციულ პოლიტიკასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. ევროკავშირის რამდენიმე სახელმწიფომ საფრანგეთმა, გერმანიამ, ლუქსემბურგმა, ჰოლანდიამ, ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც შიდა საზღვრების გაუქმებას და გარე ერთიანი სასაზღვრო კონტროლის დაწესებას ითვალისწინებდა. 1990 წლის 19 ივნისს ამ შეთანხმების საფუძველზე ხელმოწერილ იქნა საიმპლემენტაციო კონვენცია, რომელიც ითვალისწინებდა შეთანხმების მხარეების ტერიტორიაზე შემოსვლის და მოკლევადიანი ყოფნის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაციას. 1997 წელს ეს ხელშეკრულება ინტეგრირებული იქნა სწორედ ევროკავშირის პოლიტიკაში. დღეს უკვე ეს შეთანხმება 27 ქვეყანა აერთიანებს და არის ერთგვარი სახელმწიფო, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო ტურისტული ზონისთვის, მისი გარე საზღვრები მკაცრად კონტროლდება, მაგრამ შიდა საპასპორტო შემოწება არ ხორციელდება. ამ

⁸⁰ McAuliffe, M. and Rush, M, World Migration Report 2018, University of Oxford, 2018, https://publications.iom.int/system/files/pdf/wmr_2018_en.pdf

დებულებებით ქვეყნებმა აიღეს ვალდებულება ერთიანი პოლიტიკის შემუშავების მიგრაციის მიმართ, რაც გამომხატულია გარე მიგრაციულ მონაცემთა საერთო ბაზრისა და საერთო საპოლიციო სასამართლო სისტემის შექმნით. უვიზო მიმოსვლის დაწესების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროკავშირის ტერიტორიაზე შიდა მიგრაციული პროცესები. მუშა ხელის გადაადგილების თავისუფლების ფარგლებში შემოდებული იქნა დაფუძნების თავისუფლება, რაც აძლევდა საშუალებას კავშირის მოქალაქეს იცხოვროს კავშირის წევრ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, თუ ის, რა თქმა უნდა, აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს: ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეები, რომლებიც თვით-დასაქმებულის სტატუსით საქმიანობენ კავშირის სხვა წევრ ქვეყანაში;

- საწარმოები/სააგენტოები/ფილიალები/ოფისები, რომლებიც ფუძნდებიან ან ხსნიან წარმომადგენლობას კავშირის სხვა წევრ ქვეყანაში.

- თავისუფლება მოიცავს 3 ელემენტს ანუ მუშახელს აქვს შემდეგი ძირითადი უფლებები: დასაქმების შეთავაზებაზე გასცეს თანხმობა და დაიწყოს მუშაობა;

- კავშირის ტერიტორიის ფარგლებში თავისუფლად გადაადგილდეს დასაქმების მიზნებისთვის;

- დარჩეს დასაქმების სახელმწიფოში გარკვეული პირობების გათვალისწინებით.

შემდგომ, გარე მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს მიერ მიღებული იქნა სხვადასხვა მნიშვნელოვანი კონვენცია, რომლებიც შრომით მიგრანტთა დაცვას ისახავენ მიზნად. ამ კონვენციებიდან ყველაზე მეტად აღსანიშნავია ევროპის სოციალური ქარტია და შრომით მიგრანტთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ ევროპული კონვენცია, სოციალური უზრუნველყოფის კონვენცია და ევროპული კონვენცია სოციალური და სამედიცინო დახმარების შესახებ. ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია ეფუძნება „ადამიანის ღირსების, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის განუყოფელ და უნივერსალურ ფასეულობებს“, დემოკრატიის პრინციპებსა და კანონის უზენაესობას. ქარტია მხარს უჭერს ძირითადი უფლებებისადმი ერთიან მიდგომას, რაც ნიშნავს ადამიანის უფლებათა განუყოფლობასა და ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობას. ქარტიაში

ჩართულია უფლებათა ფართო სპექტრი, დაწყებული ევროპის საბჭოს კონვენციის მსგავსი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებიდან-თანასწორობისა და სოლიდარობის უფლებები -დასრულებული მოქალაქეთა უფლებების ჩამონათვლით საბჭოს მოქმედების მიმართ. ევროპის სოციალური ქარტია განსაზღვრავს სოციალურ, ეკონომიკურ უფლებებს, ჯანსაღ სამუშაო გარემოს, სამართლიან ანაზღაურებას, პროფესიულ სწავლებას, სოციალურ უზრუნველყოფას, სოციალურ და სამედიცინო დახმარებას, სოციალურ დაცვასა და შემწეობებს შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრებისათვის. რადგან ევროპის სოციალური ქარტია ვერ მოიცავს შრომითი მიგრანტების უფლებებს, ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ევროპული კონვენცია შრომითი მიგრანტების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, რომელიც კონკრეტულად შრომითი მიგრანტების უფლებებზეა ორიენტირებული. კონვენციაში მოქცეულია მთელი რიგი უფლებებისა: დაქირავების, შრომის და ცხოვრების, სამუშაო პირობებისა და ოჯახის ერთად ცხოვრების, მიგრაციიდან დაბრუნების სოციალური და სამედიცინო დახმარების შესახებ კონვენცია განსაზღვრავს ყველა სახის დახმარებას, რომლითაც ხდება ცხოვრებისათვის საჭირო არასაკმარისი რესურსების მქონე პირების უზრუნველყოფა, ასევე შემწეობები და მომსახურება, რაც გამომდინარეობს ამ პირთა ცხოვრების პირობებიდან. *მიუხედავად სხვადასხვა კონვენციების მიღებისა, ევროკავშირი კვლავ მეორედ აღმოჩნდა ლტოლვილების მასშტაბული კრიზისის წინაშე. ყველაზე მეტი განაცხადი 2015 წელს ევროსტატისტიკური მონაცემებით უნგრეთმა ჩაიბარა. ყველაზე მწვავე რეაგირება ამ პრობლემის წინაშე 2015 წელს მოხდა. ამ წელს გაიმართა ბრიუსელში საგანგებო სამიტი მიგრაციასთან დაკავრებით. მაგრამ ამ სამიტამდე ბულგარეთის, რუმინეთის და სერბეთის პრემიერ-მინისტრების საგანგებო შეხვედრა გამართეს, სადაც ბულგარეთის პრემიერმა, ბოიკო ბორისოვმა განაცხადა, რომ ბალკანეთის ქვეყნები მტკიცედ იცავენ თავიანთი ქვეყნის და მოქალაქეების უსაფრთხოებას, ამ მიზეზის გამო ეს სახელმწიფოები არ აპირებენ ბუფერული ზონის როლის შესრულებას, რის გამოც, იძულებულნი ხდებიან მიიღონ ზომები და ჩაკეტონ თავიანთი საზღვრები, ოღონდ მას შემდგომ თუ ამ მექანიზმს შემოიღებდა გერმანია და ავსტრია. ასევე ამ სამიტზე ევროპის სახელმწიფოებმა მიიღეს გადაწყვეტილება, 1.800000 ევრო გადაეხადათ თურქეთისთვის და აფრიკისთვის, იმისათვის, რომ შეეჩერებინათ ამ ქვეყნებს მიგრანტების გამოდინება მათი ტერიტორიებიდან. ასევე ევროკავშირმა დააწესა კვოტების სისტემა, რომლის მიხედვითაც ევროპის ქვეყნებში მიგრანტთა*

რაოდენობის აღრიცხვა დაიწყო, ამ სისტემის შემოღების წინააღმდეგნი იყვნენ უნგრეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, ფინეთი და სლოვაკეთი. რადგან 2015 წელს თავშესაფრის მიღების თაობაზე ყველაზე მეტი განცხადება უნგრეთმა ჩაიბარა, ამ სახელმწიფომ არაერთელ განიცადა მიგრაციული კრიზისი და სწორედ საერთო მიგრაციული პოლიტიკის შემუშავების მიზნით არაერთხელ მიმართა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, რადგან მიგრანტები ევროკავშირის უსაფრთხოების და მომავლისთვის საფრთხედ ჩათვალა. ამ მიზეზის გამო, გააძლიერა უსაფრთხოების დაცვის სისტემა, რის გამოც მიგრანტების ნაკადის შეჩერების მიზნით ჩამკეტი კედელი აღმართა სერბეთთან და ხორვატიასთან, რის გამოც მიგრანტებს გერმანიისკენ და ავსტრიისკენ მიმავალი გზა გაუგრძელდათ. ასევე „უნგრეთის მიერ ივნისში მიღებული კანონების თანახმად, სისხლის სამართლებრივ დევნას დაექვემდებარებიან არაკომერციული ორგანიზაციების თანამშრომლები, რომლებიც არალეგალურ მიგრანტებს თავშესაფრის მიღებაში ეხმარებიან. გარდა ამისა, უნგრეთის პარლამენტმა კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილება, რომელიც ქვეყანაში „უცხოური მოსახლეობის“ გადაადგილებას კრძალავს. ეს არის ევროკავშირისთვის გაცემული პასუხი, რადგან ევროპელი ჩინოსნები მუშაობენ ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე მიგრანტების უფრო თანაბარი გადანაწილების გეგმაზე⁸¹.

2016 წელს 6 მილიარდი ევროს ფინანსური დახმარება გამოყვეს ევროპის ლიდერებმა თურქეთისთვის, რადგან ამ სახელმწიფოს უნდა შეეკავებინა მიგრანტთა ტალღა, შესაბამისი კარგი გარემოს მოწყობით, მაგრამ არსებული პოლიტიკური მიდგომა თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა თავის სასიკეთოდ გამოიყენა, და მუქარის შემცველი განცხადებით, ევროპის ლიდერებს დამატებით ფინანსური დახმარებისკენ მოუწოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სახელმწიფო გახსნიდა მიგრანტების საზღვრებს. თავის მხრივ, ევროკავშირმა განაცხა, რომ 6 მილიარდიდან 5.6 მილიარდი ევრო გადახდილია, დარჩენილი თანხა კი უახლოეს დროში იქნება გადარიცხული. ასევე 2016 წლის მარტში ევროკომისიამ წარმოადგინა განახლებული „ევროკავშირის ლურჯი ბარათის დირექტივა“, რომელიც უფრო გამარტივებული და

⁸¹ მთიულთიშვილი, ნ. მიგრაციის პრობლემები დღეს

<https://geocodna.wordpress.com/2016/03/05/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%94/> (ნანახია 02.06.2020)

გაუმჯობესებული პროცესებით, მესამე ქვეყნების მოქალაქეს, მაღალკვალიფიკაციის მქონე პირებს საშუალებას აძლევდა ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლისა და იქ ცხოვრებას. ასევე ამ წელს ევროკავშირის საბჭოს და ევროპარლამენტის მიერ მიღებული იქნა შეჩერების მექანიზმი, რომელიც განსაკუთრებული გარემოების შემთხვევაში ნებას რთავდა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს დროებით შეჩერებინათ უვიზო მიმოსვლის რეჟიმი კავშირის არაწევრ სახელმწიფოსთან. მაგრამ არსებული მკაცრი მექანიზმების მიუხედავად, 2015 წლიდან მოყოლებული ევროკავშირი კვლავ აქტიურად განაგრძობს განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებას, რომელიც საშუალებას აძლევს აღნიშნულის საჭიროების მქონე ლტოლვილებს, ლეგალურად და უსაფრთხოდ შევიდნენ ევროკავშირში ისე, რომ თავიანთ სიცოცხლეს საფრთხე არ შეუქმნან საშიში მოგზაურობით. სწორედ რომ, პირველი განსახლების სქემის მიხედვით ევროკავშირის ტერიტორიაზე 19 452 ადამიანი გადასახლდა. თითქმის 44 000 ადამიანი გადასახლდა 2017 წლის მეორე განსახლების სქემის მიხედვით. 2016 წელს საბჭომ და პარლამენტმა ასევე მიიღეს დირექტივა, რომელიც განსაზღვრავს მესამე ქვეყნის მოქალაქეთა შემოსვლისა და ბინადრობის პირობებს კვლევის, სწავლის, ტრენინგის, ნებაყოფლობითი სამსახურის, მოსწავლეების გაცვლის სქემების ან საგანმანათლებლო პროექტებისა და დაოჯახების მიზნით. ევროკავშირისა და აფრიკის ლიდერები შეთანხმდნენ, რომ ხელს შეუწყობენ სტუდენტების, მკვლევარებისა და მეწარმეების მობილობას ორ კონტინენტს შორის. ეს ვალდებულება აღებული იქნა ვალეტაში 2015 წლის ნოემბერში გამართულ სამიტზე. ლიდერები შეთანხმდნენ, რომ 2016 წელს Erasmus + პროგრამის მეშვეობით სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის სტიპენდიების რაოდენობა გაორმაგდებოდა. ამ პოლიტიკური მექანიზმების შემდგომ ნაწილობრივ შემსუბუქებული იქნა მიგრაციული კრიზისი ევროპაში, მაგრამ ეს პრობლემა სრულად ვერ გადაიჭრა, პირველი პოლიტიკური მექანიზმების შემოღებიდან ორი წლის შემდგომ კვლავ მოიმატა მიგრანტთა ნაკადმა ევროპაში. 2018 წელს იტალიაში ჩავიდა 14,330 ათასი მიგრანტი, საბერძნეთში-11,763 და ესპანეთში 9,315. იტალიის ახალმა მთავრობამ ევროკავშირს შესაბამისი შემაკავებელი მექანიზმების შემოღებისკენ მოუწოდა, და დუბლინის ხელშეკრულების გაუქმება მოითხოვა, რომელიც ჯერ კიდევ მიღებული იქნა 1990 წელს და შემდგომ განახლდა 2003, 2013 წლებში, ამ ხელშეკრულების მიზანია ევროკავშირის ერთი წევრი ქვეყნის იდენტიფიცირება, რომელიც პასუხისმგებელია თავშესაფრის მოთხოვნის

განხილვაზე. ეს პროცედურა ემყარება რამდენიმე კრიტერიუმს, მათ შორის პირველი ქვეყნის შესვლის კრიტერიუმებს. პრაქტიკაში, ეს ნიშნავს, რომ წევრი ქვეყნების მცირე რაოდენობა იყო პასუხისმგებელი თავშესაფრის მოთხოვნების უმრავლესობის დამუშავებაზე. 2018 წლის 24 ივნისს გერმანიის კანცლერი ანგელა მერკერის ორგანიზატორობით ევროკავშირის მორიგი სამიტი გაიმართა ბრიუსელში, სადაც ანგელა მერკერმა განაცხადა, რომ მიუხედავად ევროპის ქვეყნების ძალისხმევისა ერთიანი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ აუცილებელია, რომ გაერთიანება მოხდეს სხვადასხვა სახელმწიფოთა ერთიანი მექანიზმების გარდა ამისა, კიდევ ერთხელ, დაადასტურა, რომ ევროპის ყველა სახელმწიფო ერთსულოვანი არიან არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე ამ სამიტის შემდგომ, გერმანიამ შეიმუშავა 64 პუნქტიანი საგზაო რუკა არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ანგელა მერკერმა არ აღიარა ერთი პუნქტი, რომლიც ეხება გერმანული პოლიციისთვის იმ დევნილების გაძევების უფლების მინიჭებას, რომლებმაც თავშესაფარი ევროკავშირის სხვა ქვეყნებშიც მოითხოვეს. მერკერის განცხადებით სწორედ ეს პუნქტი არღვევს და ეწინააღმდეგება ევროპულ ღირებულებებს.⁸²

ევროკავშირის მიგრაციული პროცესები გლობალური პანდემიის კონტექსტში.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლის განმავლობაში მსოფლიო პანდემიამ უშუალოდ გლობალიზაცია დაყენა ახალი გამოწვევების წინაშე, რამაც ასევე შეცვალა მიგრაციული პოლიტიკა. ეს განსაკუთრებით აისახა საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ და ეკონომიკურ ნაწილში. პანდემიის შედეგად თავისთავად მოხდა ქვეყნებს შორის საზღვრების ჩაკეტვა, უკუმიგრაციული პროცესების გააქტიურება, და ქვეყნებს შორის კავშირურთიერთობის ახალი პოლიტიკის ჩამოყალიბება. კორონავირუსის ეპიდემიამ გამოიწვია განსახლების ოპერაციების სერიოზული შეფერხება და თავდაპირველი ერთწლიანი პროგრამა გადაკეთდა ორწლიან პროგრამად, რომელიც მოიცავს 2020-2021 წლებს. ევროკავშირის განსახლების მცდელობების უწყვეტი გაგრძელების უზრუნველსაყოფად, განსახლების ახალი

⁸² Imedi news. თბილისი 2018, მიგრანტების გამო ევროპელი ლიდერები ვეღარ თანხმდებიან. რა საფრთხე ემუქრება ევროკავშირს.

<https://imedinews.ge/ge/theme/254/migrantebis-gamo-evropeli-liderebi-vegar-tankhmdebian-ra-saprtkhe-emuqreba-evrokavshirs> (ნანახია: 02.06.2020)

პროგრამები უნდა იქნას გათვალისწინებული 2022 წლიდან, წევრი ქვეყნების დაპირებების მხარდასაჭერად 2021-2027 წლების თავშესაფრისა და მიგრაციის ფონდში გამოყოფილი ფინანსური რესურსების გათვალისწინებით. ასევე უნდა ითქვას, რომ პანდემიის დაწყებიდან 2020 წლის 23 სექტემბერს ევროკომისიამ წარმოადგინა ახალი პაქტი მიგრაციისა და თავშესაფრის შესახებ და ხუთი ახალი საკანონმდებლო წინადადება ევროკავშირის თავშესაფრის წესების რეფორმირების შესახებ. ევროკავშირის მინისტრებმა განიხილეს პაქტის ძირითადი ელემენტები, მათ შორის საგარეო განზომილება, შემოთავაზებული წინა შესვლის ეტაპი, სოლიდარობის მექანიზმი, შიდა მიგრაცია და თავშესაფრის მენეჯმენტი, დაბრუნების გაუმჯობესების სხვადასხვა საშუალებები, სააგენტოების როლი, ევროპაში შესვლის სამართლებრივი გზები და ინტეგრაცია. ერთერთი საკანონმდებლო წინადადება მიზნად ისახავს დუბლინის რეგულაციის შეცვლას თავშესაფრისა და მიგრაციის მართვის ახალი რეგულაციით, რომლითაც უნდა: შეიქმნას ყოვლისმომცველი მმართველობა ევროკავშირის დონეზე, რათა უზრუნველყოს პოლიტიკის უკეთ მართვა და განხორციელება, უფრო ეფექტურად განსაზღვრონ ერთი წევრი ქვეყანა, რომელიც პასუხისმგებელია თავშესაფრის შესახებ განცხადების განხილვაზე და უზრუნველყონ წევრ სახელმწიფოებს შორის პასუხისმგებლობის სამართლიანი განაწილება სოლიდარობის ახალი მექანიზმის საშუალებით.

დასკვნა

ზემოთქმულზე დაყრნობით უნდა ითქვას, რომ მიგრაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გლობალური პრობლემაა. ეს არის გამოწვევა, რომლის გადაჭრის პროცესში ევროკავშირის ყველა სახელმწიფო არის ჩართული. ევროკავშირი ბოლო წლების განსაკუთრებული დილემის წინაშე აღმოჩნდა, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი ევროკავშირის სახელმწიფოები, ერთი მხრივ ცდილობენ თავი შეიკავონ მწვავე რეფორმების გატარებისკენ, რადგან ეს ქვეყნები წინა პლანზე ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას აყენებენ და შესაბამისად, ვერ ზღუდავენ ადამიანის იმ უფლებებს, რასაც თავისუფლება, თავისუფლად გადაადგილება და შრომითი თავისუფლება ეწოდება. მაგრამ იგივე დემოკრატიული ღირებულებების დაცვისა და სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია

ევროკავშირის უსაფრთხოება, რასაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მიგრაციის შეუქცევადი და ხშირ შემთხვევაში უმართავი სიტუაცია. შესაბამისად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამ ორი მნიშვნელოვანი ღირებულების (ლიბერალური დემოკრატია და უსაფრთხოება) ურთიერთმიმართებითი პოლიტიკის გატარება და ურთიერთთავსებადობა. ევროკავშირის სახელმწიფოები ყველაფერს აკეთებენ სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებისთვის, რადგან უსაფრთხოება სტაბილური განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა. მნიშვნელოვანია, ამ პრობლემის წინაშე მყოფმა ევროკავშირის სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ შეიმუშავონ ახალი პოლიტიკური სტრატეგია, რომელიც იქნება დაფუძნებული დემოკრატიულ ღირებულებებზე, და ასევე, გათვალისწინებული იქნება კავშირის უსაფრთხოება. რადგან გლობალური პანდემიის დასრულების შემდგომ არსებობს მაღალი რისკი ევროკავშირში მიგრანტთა შემოდინების, დღეს პანდემიამ შექმნა ის სოციალური პანიკა საზოგადოებაში, რომლის გამოც მთავარი საფიქრალი მოსახლეობისთვის უსაფრთხო და ეკონომიკურად შემოსავლიანი გარემოს ძებნაა, და ევროკავშირიც სწორედ, სხვადასხვა ადამიანის უფლებების დაცვის კონცენციებით უსაფრთხოების და კეთილდღეობის გარანტიად ითვლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ოფიციური, რ. ევროპის ეთნოლოგია, გამომცემლობა თბილისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2009;
2. სტიგლიცი, ჯ. გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, გამომცემლობა რადარამმა, თბილისი, 2013
3. Mcaulliffe, M. and Ruhs, M. World Migration Report 2018, University of Oxford, 2018, Retrieved from https://publications.iom.int/system/files/pdf/wmr_2018_en_chapter1.pdf
4. Goldin. L. How immigration has changed the world- for the better, Oxford Martin School, United Kingdom, 2016; Retrieved from <https://www.weforum.org/agenda/2016/01/how-immigration-has-changed-the-world-for-the-better/>
5. Imedi news. თბილისი 2018 , მიგრანტების გამო ევროპელი ლიდერები ვეღარ თანხმდებიან. რასაფრთხე ემუქრება ევროკავშირს. მოძიებულია <https://imedinews.ge/ge/theme/254/migrantebis-gamo-evropeli-liderebi-vegar-tankhmdebian-ra-saprtkhe-emuqreba-evrokavshirs>
6. რუხაძე, თ. ბოლო დროის ყველაზე მასშტაბური ტერაქტები ევროპაში, ტვ 1, 2017, მოძიებულია <http://old.1tv.ge/ge/news/view/186556.html>
7. მთიულიძევილი, ნ. მიგრაციის პრობლემები დღეს ,<https://geocodna.wordpress.com/2016/03/05/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%94/>
8. ჯანგველაძე, გ. სამუშაო ძალის მიგრაცია და მისი მაკროეკონომიკური შედეგები, თსუ, თბილისი, <https://openscience.ge/bitstream/1/919/1/samagistro%20jangveladze%20gvantsa.pdf>
9. ხაჩიძე სალომე, თანამედროვე მიგრაციული პროცესები გლობალიზაციის კონტექსტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2019, მოძიებულია <https://openscience.ge/bitstream/1/872/1/samagistro%20khachidze%20salome.pdf>
10. საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ, 22/04/2015
11. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, მოძიებულია <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6241>



**ადმონსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
მიგრაციისა და დიასპორის კვლევით ცენტრი**